პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეცხრე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რ ე დ ა ქ ც ი ა
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან დღის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხებს წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებ-სათვის — 1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—80 კაპ., ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კაპ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებული, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი“-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

დ ღ ი უ რ ი

- სასტიკი რეპრესიები საბჭ. მოქალაქეების წინააღმდეგ ჩინეთში
- გერმანიის პრესა ესალმება საბჭოთა ესკადრის სტუმრობას
- საბჭოთა ფირმების შეთანხმება ამერიკის სავაჭრო და ტეხნიკურ ორგანიზაციებთან
- შეწყდა გაფიცვა ინდოეთის ჯუტის მრეწველობაში
- სექტემბრიდან ეწყობა რეგულიარული საზღვაო მიმოსვლა შეერთ. შტატებსა და საბჭ. კავშირს შორის
- სირიაში მოელიან ახალ აჯანყებას
- დღეს თბილისში ჩამოვა პოლონეთის მშრომელთა დელეგაცია

სამშაბათი, 20 აგვისტო 1929 წ. ყ ო ვ ე ლ დ ღ ი უ რ ი გ ა ზ ე თ ი ფასი 5 კაპ. № 190 (2536)

დღეს, აგვისტოს 20-ს, დღის 12 ს. მთავრობის სასახლეში
შ ე ს დ გ ე ბ ა
სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიურ საბჭოს გაერთიანებული სხდომა
სსსრ სახკომსაბჭოს და ეკონ საბჭ. საქმეთა მმართველი პ. მეგრელიშვილი

კომუნისტი
მიიღება ხელისმოწერა სექტემბრისათვის
კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფონი 8—81.

ახალი სამოსწავლო წელიწადი

ჩვენი გრანდიოზული სოციალისტური მშენებლობა, სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის შესრულება, თავისთავად ცხადია, დიდძალ მაღალი კვალიფიკაციის ინჟენერებს, აგრონომებს, საერთოდ სხვადასხვა დარგების სპეციალისტებს მოითხოვს. ამავე დროს ჩვენ მწვავედ განვიცდით მათ ნაკლებობას. ეს შესამჩნევია ყოველ ფეხის ნაბიჯზე და დიდად აფერხებს საამშენებლო მუშაობას და მის რაციონალურად დაყენებას. ამასთან საქმე ტეხნიკურ კადრების მარტო სიმცირეში როდია. ჩვენ პირველ ყოვლისა გვესაჭიროება ნამდვილად საბჭოთა სპეციალისტები და საზოგადოებრივი მუშაკები. უდავოა, რომ ძველი ტეხნიკური ძალებიდან უმრავლესობა გულწრფელადაა ჩაბმული, ან ცდილობს ჩაებას ჩვენს მშენებლობაში, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ არიან ისეთი ელემენტები, რომელნიც გულგრილად და მტრულადაც უყურებენ მუშათა კლასის ბრძოლას სოციალიზმის გამარჯვებისათვის.

ყოველივე ეს განსაკუთრებულ როლს ანიჭებს უმაღლეს სკოლას, რომელმაც უნდა მოგვცეს ახალი ტიპის სპეციალისტების საკმაო რიცხვი. ჩვენი ხუთწლიანი გეგმა განათლების დარგში ზედმიწევნით უნდა იყოს შეფარდებული იმ ამოცანებთან, რომლებიც ჩვენს წინაშე სახალხო მეურნეობის დარგში დგანან.

მაგრამ ამჟამად ჩვენ გვაინტერესებს კერძოთ მომავალი სამოსწავლო წელიწადი. როგორც მოსალოდნელი იყო, უნივერსიტეტს რესპუბლიკის ყოველი კუთხიდან უამრავი ახალგაზრდობა მოაწყდა. სულ შემოსულია 1900 განცხადება, მაშინ როცა მიღებული იქნება მარტო 650 კაცი. აღსანიშნავია, რომ ყველაზე მეტი განცხადება (800) აგრონომიულ ფაკულტეტზე მოდის. ეს მოწმობს, რომ ჩვენში სულ უფრო იგნებენ ისეთი განათლების შეძენის საჭიროებას, რომელიც ჩვენი ქვეყნის მოთხოვნილებას შეეფერება.

რა თქმა უნდა, გამოცდებზე დაშვებულთა უდიდესი ნაწილი მუშების და გლეხების შვილებია. მაგრამ მაინც ერთ გარემოებას უნდა მიექცეს ყურადღება. მიმღები კომისია გვიან შეუდგა მუშაობას და განცხადებების განხილვა ნაუცბათევად მოხდა. ამასთან სათანადო ორგანიზაციებმა ვერ გამოიჩინეს ამ საქმისადმი ინტერესი: ბევრ მათგანს თავისი წარმომადგენლები არც კი გაუგზავნია მიმღებ კომისიაში, თუმცა ეს მათ ევალებოდათ. ასეთ პირობებში მოსალოდნელია უხეში შეცდომები მიმღებთა შერჩევაში; შესაძლებელია უნივერსიტეტში მოხვდნენ სრულიად შეუფერებელი და უცხო ელემენტები. სტუდენტების წმენდამ, რომელიც ამ რამოდენიმე თვის წინად ჩატარდა, გამოაშკარავა, რომ იქ შემძვრალი იყო მრავალი სოციალ-პოლიტიკურად მავნე პირი. ეს გარემოება ჩვენ ყოველთვის უნდა გვქონდეს მხედველობაში და ყოველი ღონე ვიხმაროთ სტუდენტთა შემადგენლობის გაუმჯობესებაზე. საბჭოთა სკოლა გახსნილი უნდა იყოს მხოლოდ ისეთი ელემენტებისათვის, რომელნიც მშრომელთა ბატონობის დამხობაზე კი არ ოცნებობენ, არამედ მისი განმტკიცებისათვის გამოიყენებენ იქ მიღებულ ცოდნას.

შემდეგი მომენტი, რომელსაც ჩვენ გვინდა ყურადღება მივაქციოთ, ესაა პროლეტარულ სტუდენტობის მატერიალური უზრუნველყოფის საკითხი. ხელისუფლება მის გადასაჭრელად შესაძლებლობის ფარგლებში ყოველგვარ ღონისძიებას ღებულობს. სტიპენდიების გაცემა უღარიბეს სტუდენტებისათვის, საერთო საცხოვრებელ შენობების აგება, იაფ-ფასიან სასადილოების მოწყობა და სხვ. — აი საითკენაა მიმართული ჩვენი საქმიანობა. მაგრამ რაც ამ დარგში დღემდე გაკეთებულა, ოდნავადაც არ არის საკმარისი. საჭიროა ამ მიმართულებით მუშაობის გაძლიერება და სოციალიზმის მომავალ მშენებელთა დახმარების საქმეში საზოგადოებრივი ორგანიზაციების აქტიურად მოზიდვა.

სხვათა შორის, სრულიად არ არის დამაკმაყოფილებელი სახელმძღვანელოებით სტუდენტობის მომარაგების საქმე. საჭირო წიგნები მეტად ძვირია და ხშირად ძნელი საშოვნელიც. ჩვეულებრივი მოვლენაა, როცა რამოდენიმე ათეული კაცი იძულებულია მორიგეობით ამა თუ იმ წიგნის ერთ ეგზემპლიარს დასჯერდეს, ზოგი კი მთელი წლის განმავლობაში სრულებითაც ვერ ეღირსება მას. რა ნორმალური აკადემიური მეცადინეობა შეიძლება ამგვარ პირობებში? ეს ნაკლი აუცილებლად უნდა გამოვასწოროთ.

ასევე ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს სხვადასხვა ლაბორატორიების და კაბინეტების მოწყობა - გაფართოებას. უამისოდ საფუძვლიან ცოდნას, ცხადია, სტუდენტობა ვერ შეიძენს. მდგომარეობა კი ამ მხრივ სერიოზულ გაუმჯობესებას მოითხოვს.

ფაქტია, რომ ჩვენი უმაღლესი სკოლა ჯერ კიდევ ვერ უშვებს სათანადოდ მომზადებულ მუშაკებს. ეს აიხსნება, არა მარტო ზევით აღნიშნული არახელსაყრელი პირობებით მეცადინეობისათვის, არამედ იმითაც, რომ ჩვენი უმაღლესი სკოლა ჯერ კიდევ არ არის მჭიდროდ დაკავშირებული წარმოებასთან. საწარმოო პრაქტიკა ერთ-ერთ უმთავრეს ელემენტად უნდა გახდეს ამა თუ იმ საგნის შესწავლისათვის. ამისათვის თავის მხრივ სამეურნეო ორგანოებმა უნდა შექმნან შესაფერი მოწყობილობა და ატმოსფერა. უნდა ვიცოდეთ, რომ პრაქტიკის გარეშე სკოლის კედლებში შეძენილი ცოდნა გამოუსადეგარი ხდება.

უმაღლეს სკოლის გარდა, ჩვენ აქ გვინდა მოკლედ მაინც შევეხოთ განათლების დაბალ ქსელს. არის თუ არა იდეოლოგიურად მისაღები სახელმძღვანელოები შერჩეული სკოლებისათვის? ამ მხრივ ჩვენ ვიცით, რომ წინა წლებში მრავალ შეუწყნარებელ მოვლენას ჰქონდა ადგილი. ჩაატარეს თუ არა ადგილობრივმა ორგანოებმა მზადება სამოსწავლო წლისათვის სკოლების შეკეთების და სხვა სახით? ღებულობენ თუ არა ისინი საჭირო ზომებს მასწავლებლობის ნივთიერ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, რამდენადაც ეს მათზე დამოკიდებულია? კიდევ მრავალი სხვა საკითხია მოსაწესრიგებელი.

სამოსწავლო წელიწადი იწყება. და ჩვენ ყველაფერი უნდა მოვიმოქმედოთ, რათა საბჭოთა განათლების სისტემა უფრო მაღალ საფეხურზე ავიყვანოთ და განვამტკიცოთ. ამას დაჟინებით გვიკარნახებენ სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის და კულტურული რევოლიუციის ამოცანები, რომელთა გადაჭრაში ჩვენმა სკოლამ უმნიშვნელოვანესი როლი უნდა შეასრულოს.

მედგრად დასძლიეთ ოპორტუნისტული ელემენტების წინააღმდეგობა

ცხოვრებამ მწარედ დასცინა მემარჯვენე ელემენტებს. პარტიის გენერალური ხაზის სისწორე დაადასტურეს იმ სამეურნეო - პოლიტიკურმა პროცესებმა, რომლებიც ჩვენს თვალწინ მიმდინარეობენ მშენებლობის ყველა დარგში. კერძოთ, გაზაფხულის თესვის კამპანიის წარმატება, მასიური გლეხური საზოგადოებრიობის მობილიზაცია სოფლის მეურნეობის გაშლილ - გაფართოებული მასიური კოლექტივიზაციის გაძლიერების ამოცანის გარშემო — უდავოდ ამოწმებენ იმას, რომ სოციალისტური მშენებლობის გზაზე მტკიცდება მუშათა კლასის კავშირი გლეხობასთან.

ფაქტები გვიჩვენებენ, რომ მემარჯვენე ოპორტუნისტები ყურს იყრუებენ და თვალს იბრმავებენ სოციალისტური მშენებლობის წარმატებაზე. მემარჯვენე ოპოზიციის იდეოლოგები იშვიათი ჯიუტობით განაგრძობენ იმის მტკიცებას, რომ პარტიის ხაზი დამღუპველია, რომ გლეხობა მუშათა კლასს არ მისდევს და რომ რევოლიუციის „ხსნის“ საიდუმლოება მემარჯვენე ელემენტების ხელშია. სამრეწველო მშენებლობის დარგში მემარჯვენე ოპორტუნისტები დაჟინებით „ვერ ამჩნევენ“ პარტიის გენერალური ხაზის სისწორის უდავო საბუთებს.

მიმდინარე სამეურნეო წლის მესამე კვარტალის განმავლობაში სამრეწველო მშენებლობის ტემპი აღემატა გათვალისწინებულ გეგმას, ხოლო საგეგმო ვარაუდი 1929-30 წლისათვის და მთელი შემდეგი ხუთი წლისათვის ხელ-ახლა უნდა გადაისინჯოს და გაფართოვდეს; ამის საჭიროებას ჰქმნის შეუწყვეტელი სამუშაო კვირის შემოღება, გაშლა - გაფართოება იმ დაუშრეტელი რეზერვებისა და წყაროებისა, რომლებიც ჩამარხულია მუშათა კლასის უფართოესი მასების შემოქმედებით თაოსნობაში. მემარჯვენე ელემენტები სრულებითაც არ აპირებენ თავისი შეცდომების აღიარებას, ისინი კვლავ იმეორებენ ამ შეცდომებს და პრაქტიკულ მუშაობაში ცდილობენ შეაფერხონ სოციალისტური რეკონსტრუქციის ტემპი. ეს თავს იჩენს განსაკუთრებით ისეთ უდიდეს საკითხში, როგორიცაა განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე გადასვლა.

მემარჯვენე ელემენტები აშკარად აფერხებენ ამ უმნიშვნელოვანეს ღონისძიებას და ახშობენ მუშათა მასების თაოსნობას. შრომის სახალხო კომისარიატის ხელმძღვანელს ამხ. უგლანოვს, ალბად, უფრო მნიშვნელოვნად მიაჩნია შექმნას და გაართულოს დაბრკოლებანი, რომლებიც განუწყვეტელი საწარმოო კვირის შემოღებას ელობებიან, ვიდრე მთელი ძალების მობილიზაცია მოახდინოს სიძნელეთა და დაბრკოლებათა დასაძლევად და იმ ამოცანის სწრაფად გადასაწყვეტად, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს რეკონსტრუქციის შემდგომი ტემპისათვის. ამ გარემოებასთან, უეჭველია, მჭიდრო კავშირი აქვს იმას, რომ მემარჯვენე ოპოზიციას არა სწამს მუშათა კლასის ძალები და რევოლიუციონური თაოსნობა. დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც კომკავშირის კონფერენციაზე ამხ. უგლანოვი ცდილობდა კომკავშირისათვის თავზე მოეხვია თავისი უიმედო შეხედულებანი მუშათა კლასის ძალებზე და არწმუნებდა კომუნისტურ ახალგაზრდობას, რომ მუშათა კლასის წინაშე პარტიის მიერ დასახული ამოცანები შეუსრულებელია. უდიდესი გარდატეხანი მუშათა მასებში, მუშათა მასების შემოქმედებითი თაოსნობის და რევოლიუციონური ენტუზიაზმის არაჩვეულებრივი გამოაშკარავება სოციალისტურ შეჯიბრებაში, ინდუსტრიალიზაციის დღის ჩატარებაში, განუწყვეტელი საწარმოო კვირის შემოღების საკითხში — ყოველივე ეს მემარჯვენე ოპორტუნისტების შეგნებას არ ეკარება.

მაგრამ ბოლშევიკების პარტია უფრო ენერგიულად მოახდენს მუშათა კლასის რევოლიუციონური თაოსნობის მობილიზაციას. ყოველგვარ ოპორტუნისტულ მერყეობას, მემარჯვენე ოპორტუნისტული ელემენტების მხრით მუშათა თაოსნობის ყოველგვარ შეფერხებას მხნედ და გადაჭრით შევებრძოლებით. ამავე დროს პარტიული ორგანიზაციების ყურადღების ცენტრს უნდა შეადგენდეს მეორე უმნიშვნელოვანესი სამეურნეო - პოლიტიკური ამოცანა — მთელი მუშათა საზოგადოებრიობა უნდა დაირაზმოს ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხზე ხელისმოწერის წარმატებით ჩატარების გარშემო. ეს საკითხი ჯერ-ჯერობით ქვედა პარტორგანიზაციების მუშაობის გეგმებში მიჩქმალულია. შეუწყვეტელი კვირა და ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხი — ორი უდიდესი სამეურნეო - პოლიტიკური ამოცანაა; ამ ამოცანათა წარმატებით გადაჭრა სასიკვდილო ლახვარს ჩასცემს ოპორტუნიზმს მის პრაქტიკულ მუშაობაში.

„პრავდა“, 17 აგვისტო.

ჩინელ და თეთრგვარდიელთა ბანდების თავდასხმა საბჭოთა საზღვარზე

საბჭოთა კავშირის სამხედრო ნაწილებმა გაჰფანტეს თავდამსხმელები

ჩრდილოეთ მანჯურიაში მთელი ეკონომიური ცხოვრება ჩაკვდა.—ბანკები და სავაჭროები იხურება

ჩინეთ-საბჭოთა კავშირის კონფლიქტის გარშემო

საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოსაგან

მოსკოვი, 19 აგვისტო. უკანასკნელ დღეებში აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის მოსაზღვრე რაიონში რუს თეთრგვარდიელებმა და ჩინელმა ბანდებმა გაახშირეს ჩვენ ნაწილებზე თავდასხმა. თავდასხმამ და ჩვენი ნაწილებისა და მშვიდობიანი მცხოვრებლებისათვის ტყვიის დაშენამ განსაკუთრებულ თავხედობამდე მიაღწია, ერთის მხრით, სადგურ მანჯურიას რაიონში, ხოლო მეორეს მხრით, პოლტავსკის რაიონში (პოგრანიჩნაიას სადგურიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 40 ვერსის მანძილზე). ამ თავდასხმებს ჩვენმა სანაპირო რაზმებმა სასტიკი პასუხი გასცეს. ჩინეთის ხელისუფლება ავრცელებს ხმებს, ვითომ თავდასხმის ინიციატივა გამომდინარეობდეს ჩვენგან. ამით სურთ დაფარონ თავიანთი ბანდების ყაჩაღური თავდასხმები.

საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს დავალებული აქვს განაცხადოს, რომ ყველა შემთხვევის დროს ჩვენი სანაპირო რაზმები კმაყოფილდებოდნენ მხოლოდ იმით, რომ მტკიცე და სასტიკ პასუხს აძლევდნენ თეთრი და ჩინელი ბანდების თავდასხმას, ხროლას და საზღვარზე გადმოსვლის ცდას. (ადს).

მოსკოვი, 19 აგვისტო. გრძელდება ჩინელთა და თეთრგვარდიელთა ბანდების პროვოკაციული თავდასხმები ჩვენს სანაპირო ნაწილებზე და ცდები ჩვენს ტერიტორიაზე გადმოსასვლელად. 17 აგვისტოს, საღამოს 8 საათზე, ჩინელების და თეთრგვარდიელების ბანდა გადმოვიდა ჩვენს საზღვარზე სოფელ პოლტავსკოეს (პოგრანიჩნაიადან 40 ვერსზე სამხრეთ-აღმოსავლეთით) რაიონში, შემოერტყა ჩვენს სადარაჯოს, რომელიც საზღვრიდან 3 კილომეტრის მანძილზე მდებარეობს (ნიკოლსკ-უსურიისკის მიმართულებით) და ასტეხა თოფის და ტყვია-მფრქვევის სროლა. მალე მოსულმა ჩვენმა ნაწილებმა მტრის შემოტევა სწრაფად მოიგერიეს. თავზარდაცემულმა ბანდამ სწრაფად დაიხია თავის ტერიტორიაზე.

მუკდენი საზღვრებზე ჯარს აძლიერებს

ტოკიო, 18 აგვისტო. როგორც „სიმბუნ რენგო“-ს სააგენტო მუკდენიდან იუწყება, მუკდენის ხელისუფლებამ გადასწყვიტა გაადიდოს საზღვრებზე მდგომი ჯარის რიცხვი. გენერალ ჩან-ძო-სანს ებრძანა—შეკრიბოს რამდენიმე ბრიგადა და გაგზავნოს საზღვარზე.

„საზღვრის საომრად მომზადება“

ტოკიო, 18 აგვისტო. ტოკიოს გაზეთები იუწყებიან: ხარბინში მუკდენისა და ნანკინის გენერალური შტაბების წარმომადგენელთა მისვლის მიზანია „საზღვრის საომრად მომზადება“. (ადს).

მუქარა საბჭოთა მოქალაქეების მიმართ

ტოკიო, 18 აგვისტო. ხარბინიდან მიღებულია ცნობა, რომ აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის აღმოსავლეთ და დასავლეთ ხაზებზე მოძრაობა სრულიად ჩაკვდა. მუშაობს მხოლოდ სამხრეთის პატარა მცირეშემოსავლიანი ხაზი. დათხოვნილებს ანგარიშს არ უსწორებენ და ამას ფინანსიური დაბრკოლებებით ამართლებენ. მატარებლები იგვიანებენ, ხოლო ერთხელ, ხიდის აფეთქებისა და მატარებლის გადაგდების გამო, მიმოსვლა სულ შესწყდა ერთი დღე-ღამის განმავლობაში. დაპატიმრებისა და გადასახლების მუქარის მიუხედავად, თავისი ნებით სამსახური მიატოვა 8000 საბჭოთა მოსამსახურემ.

ხარბინში ჩაკვდა ეკონომიური ცხოვრება. ბანკებმა შესწყვიტეს განაღდება, დაიხურა მრავალი მაღაზია და საწარმო, მრავალი თამასუქი პროტესტში წავიდა, გამრავლდა გაკოტრების შემთხვევები.

ხარბინის პოლიციამ საბჭოთა მოქალაქეებისადმი გამოსცა მიმართვა, რომელშიც აფრთხილებს მათ მავნებლობას არ მიმართონ და ემუქრება ახალი ღონისძიებებით.

ჩან-გო-შენმა გზის ყველა საბჭოთა მოსამსახურეს, აგრეთვე იმ სკოლების მასწავლებლებს, რომლებშიც საბჭოთა რკინის გზელების შვილები სწავლობენ, წინადადება მისცა დაუბრუნდნენ სამუშაოს 15 აგვისტომდე, წინააღმდეგ შემთხვევაში ახალი რეპრესიებით ემუქრება მათ.

მიღებულ ცნობებით, ცაი და ლი შაო-გენს აუკრძალეს მოლაპარაკებაში მონაწილეობა, რადგან ისინი არ იზიარებენ ნანკინის ხაზს (ადს).

საბჭოთა მოქალაქეებმა შიმშილობა გამოაცხადეს

ჩიტა, 19 აგვისტო. ხარბინიდან ჩამოსულნი იუწყებიან, რომ საკონსულოში დაპატიმრებულმა 39 საბჭოთა მოქალაქემ, ნიშნად პროტესტისა საპყრობილეში ცუდი პირობების არსებობის წინააღმდეგ, გამოაცხადა შიმშილობა, რომელიც ორ დღეს გაგრძელდა. დაპატიმრებულები ინახულა გერმანიის კონსულმა, რის შემდეგაც რეჟიმი შეიცვალა (ადს).

საკონცენტრაციო ბანაკები საბჭოთა მოქალაქეთათვის

ტოკიო, 18 აგვისტო. ხარბინიდან იუწყებიან: ჩინეთის ხელისუფალნი ციციკარსა და ხარბინში ჰქმნიან საკონცენტრაციო ბანაკებს საბჭოთა მოქალაქეთათვის. ბანაკებში გაგზავნიან „არასასურველ“ ელემენტებს აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის იმ თანამშრომელთაგან, რომლებიც დაითხოვეს სამსახურიდან ან რომლებმაც თავისი ნებით დასტოვეს სამსახური. ხარბინში ამჟამად დაპატიმრებულია საბჭოთა 1.500-ზე მეტი მოქალაქე. (ადს).

გაკოტრების გზაზე

ტოკიო, 18 აგვისტო. „სიმბუნ რენგო“-ს სააგენტო იუწყება ხარბინიდან: ადგილობრივი სავაჭრო-სამრეწველო წრეები ძალიან დაზარალდნენ შორეულ-აღმოსავლეთის ბანკის დახურვით გამოწვეული დეპრესიის წყალობით. ბანკის დახურვამ სხვა ბანკები გაკოტრების გზაზე დააყენა“. (ადს).

მონღოლეთთან ვაჭრობა ჩაკვდა

ტოკიო, 18 აგვისტო. ხარბინიდან იუწყებიან: შორეულ-აღმოსავლეთის ბანკის განყოფილებათა დახურვის გამო, ხაილარში და მანჯურიის სადგურზე ადგილობრივი ვაჭრობა მონღოლეთთან ჩაკვდა. (ადს).

ჯალაინორის მაღაროების წყლით ამოვსება

ტოკიო, 18 აგვისტო. ხარბინიდან იუწყებიან: ჯალაინორის მაღაროების წყლით ამოვსებისა და საბჭოთა 60 მოქალაქის დაპატიმრების შესახებ. (ადს).

ცაი იუნ-შენის იმედები

ტოკიო, 18 აგვისტო. განჩუნში მოვიდა მუკდენის დელეგატი, საგარეო საქმეთა კომისარიატის რწმუნებული ხარბინში **ცაი იუნ-შენი**, რომელიც მუკდენში მიემგზავრება. ცაი იუნ-შენმა პრესის წარმომადგენლებს განუცხადა: მუკდენიდან დაბრუნებისას, მას შემდეგ, რაც ის მოხსენებას გაუკეთებს ჩჟან სიუ-ლიანს, იმედი აქვს, რომ მოლაპარაკებას დაიწყებს საბჭოთა მთავრობასთან. (ადს).

უთანხმოება ნანკინსა და მუკდენს შორის

ტოკიო, 18 აგვისტო. როგორც იაპონური გაზეთები იუწყებიან, ნანკინსა და მუკდენს შორის უთანხმოება ჩამოვარდა იმ პოზიციის გამო, რომელსაც უნდა დაადგნენ საბჭოთა კავშირის მიმართ. „ტოკიო ასახი“-ს გადმოცემით, ნანკინის მთავრობამ ბრძანება გასცა ხარბინის საგარეო საქმეთა რწმუნებულის ცაის და აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის დირექტორის ლი შაო-გენის დაპატიმრების შესახებ. მათ უფლების გადაჭარბებას აბრალებენ (ადს).

ნანკინის მთავრობის „კურსი“

ტოკიო, 18 აგვისტო. ნანკინიდან იუწყებიან: ჩან-კაი-შის მონაწილეობით მინისტრთა თათბირზე გადასწყდა—უარყოფილ იქნას საბჭოთა მთავრობის მოთხოვნა სტატუს ქვოს აღდგენის შესახებ და განგრძობილ იქნას კურსი იმ მიმართულებით, რომ ჩინეთის რკინის გზა მთლიანად გადავიდეს ჩინეთის ხელში. როგორც გაზეთები აღნიშნავენ, ნანკინის ეს პოზიცია აიხსნება იმით, რომ ნანკინელებს სახელმწიფოების ჩარევის იმედი აქვთ იმ შემთხვევაში, თუ მდგომარეობა გამწვავდა. (ადს).

საბჭოთა კავშირის პასუხის მოლოდინში

ტოკიო, 18 აგვისტო. ცაი ხარბინიდან სამხრეთისკენ გაემგზავრა იმ მიზნით, რომ წარადგინოს მოხსენება მოლაპარაკების დეტალების შესახებ. ჩუ შაო-იანი ხარბინში რჩება. იგი აცხადებს, რომ ელოდება საბჭოთა კავშირის პასუხს, მაგრამ ეტყობა თვითონაც არ არის დარწმუნებული მაში, რომ საბჭოთა კავშირი პასუხს გასცემს (ადს).

ნანკინი იმედს არ ჰკარგავს

ტოკიო, 18 აგვისტო. „ტოკიო ასახი“-ს გადმოცემით ნანკინის მთავრობამ მუკდენელებს უბრძანა—დაიცვან მშვიდობიანი პოზიცია საბჭოთა კავშირის მიმართ, მიუხედავად იმ შეტაკებების, რომლებიც საზღვრებზე ხდება. ნანკინის მთავრობა იმედს არ ჰკარგავს, რომ კონფლიქტი მორიგებით დამთავრდება. ამავე დროს პეიპინში გაემგზავრა ჩან-კაი-შის მიერ გაგზავნილი მისია, რომელსაც მინდობილი აქვს თავდაცვისათვის მზადება საბჭოთა კავშირის მოსალოდნელი შეტევის წინააღმდეგ (ადს).

რეიტერის სიცრუე

ტოკიო, 18 აგვისტო. რეიტერმა გამოაქვეყნა დეპეშა ნანკინიდან, რომ ნანკინის მთავრობამ თავის ვაშინგტონელ წარმომადგენელს უ-ჩაო-ჩუს მიანდო—აცნობოს კელოგის პაქტის მონაწილე ყველა სახელმწიფოს, რომ საბჭოთა კავშირი მანჯურიაში შეჭრას აპირებს. ამ ცნობის შემოწმებამ გამოარკვია, რომ უ-ჩაო-ჩუს არ მიუღია არავითარი ინსტრუქცია (ადს).

ნანკინი სტატუს-ქვოს აღდგენის წინააღმდეგია

ტოკიო, 18 აგვისტო. „სიმბუნ-რენგო“-ს სააგენტო ადასტურებს თავის ცნობას იმის შესახებ, რომ ნანკინის მთავრობამ გადასწყვიტა უარჰყოს საბჭოთა კავშირის წინადადება სტატუს ქვოს აღდგენის შესახებ (ადს).

ნანკინი პროტესტს ამზადებს

ტოკიო, 18 აგვისტო. როგორც იაპონიის დეპეშათა სააგენტო შანხაიდან იუწყება, ნანკინის მთავრობამ გადასწყვიტა—გერმანიის მთავრობის საშუალებით გაუგზავნოს საბჭოთა მთავრობას პროტესტი „საზღვარზე მოწყობილი სამხედრო დემონსტრაციების“ წინააღმდეგ და „ზიანისათვის“ მთელი პასუხისმგებლობა დააკისროს საბჭოთა კავშირს.

რუსი თეთრგვარდიელი პროვოკატორის შიშკინის მოკვლის გამო

ტოკიო, 18 აგვისტო. ხარბინში რუსი თეთრგვარდიელი პროვოკატორის შიშკინის მოკვლამ ქალაქში უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა. შიშკინი აბეზღებდა საბჭოთა მოქალაქეებს და განსაკუთრებულ აქტიურ პროვოკატორულ მოქმედებას იჩენდა უკანასკნელ ხანებში. (ადს).

აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინის გზაზე თავდასხმამ ცუდი აზრი შექმნა ნანკინის მთავრობის პოლიტიკის შესახებ

თეირანი, 18 აგვისტო. „სეტარე-ე-ირან“-ი ეხება სახელმწიფოების უარს ექსტერიტორიალობის უფლების გაუქმებაზე ჩინეთში და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ აღმოსავლეთ – ჩინეთის რკინის გზის თავდასხმა ამართლებს ამ უარს.

„გარდა ამისა, — სწერს გაზეთი, — ხარბინის თავდასხმებმა ცუდი აზრი შექმნეს ნანკინის მთავრობის პოლიტიკის და ჩინეთში არსებული უფლებრივი მდგომარეობის შესახებ. ნანკინის მთავრობა თავისი მტრული გამოსვლით საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გადიქცა იმპერიალისტების იარაღად და ზიანი მიაყენა ჩინეთის საკუთარ ინტერესებს“ (ადს).

ჰააგის კონფერენციაზე

შეთანხმების ცდა

სახელმწიფოები საიდუმლოდ მოქმედებენ

ჰააგა, 17 აგვისტო. მთელი დღევანდელი დღის განმავლობაში გრძელდებოდა ფარული და კერძო მოლაპარაკება. მდგომარეობა კრიზისს უახლოვდებოდა; ატმოსფერა რამდენობამდე მხოლოდ შუაღამისას გაიწმინდა, როდესაც გამოირკვა, რომ შეთანხმება მოსალოდნელია. კომისიამ გადასდო გადამწყვეტი მნიშვნელობის სხდომები, რათა ხვალ შესაძლებელი გახდეს კერძო მოლაპარაკების განგრძობა.

სნოუდენს გადასცეს საფრანგეთის, იტალიის, ბელგიის და იაპონიის საერთო მემორანდუმი, რაზედაც სნოუდენმა სიტყვიერი პასუხი გასცა ბელგიის პრემიერს ჟასპარს. როგორც მემორანდუმს, ისე სნოუდენის პასუხს დიდის საიდუმლოებით ინახავენ. მაგრამ სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან, რომ მემორანდუმში აღნიშნულია: ხუთივე სახელმწიფო (საფრანგეთი, იტალია, ბელგია, იაპონია და გერმანია) თანახმაა მიიღოს იუნგის გეგმა და მხოლოდ ინგლისია წინააღმდეგი. პირველი წლების განმავლობაში ინგლისმა სარეპარაციო გადასახადებიდან იმაზე მეტი უნდა მიიღოს, რაც თვითონ ამერიკას უნდა გადაუხადოს.

ომის დროს ჩამორთმეული გერმანიის ქონების ლიკვიდაციის შემდეგ ინგლისმა, რეპარაციების გარდა, მიიღო თანხა, რომელიც აღემატება იმ თანხას, რასაც ამჟამად მოითხოვს (კერძო ცნობებით, ინგლისმა ამ გზით ერთი მილიარდი მარკა მიიღო). მიუხედავად, ამისა, ზემოაღნიშნულ სახელმწიფოებს სურთ დააკმაყოფილონ ინგლისი რამდენსამე საკითხში; ეს საკითხებია: ჯერ ერთი — ნატურით გადახდის საკითხი, მეორე — სარეპარაციო გადასახადების უდავო თანხების განაწილებაში მონაწილეობის საკითხი და მესამე — გერმანიის ექსპორტიდან მიღებული მოგების ანარიცხების საკითხი. (ადს).

ინგლისის პრესის კომენტარიები

ლონდონი, 18 აგვისტო. ინგლისის პრესა მხარს უჭერს სნოუდენის პოზიციას ჰააგის კონფერენციაზე. „დეილი ტელეგრაფი“ ეხება საფრანგეთის, ბელგიის, იტალიის და იაპონიის წინადადებას და სასაცილოდ სთვლის მას. გაზეთი აღნიშნავს, რომ ეს წინადადება ინგლისის მოთხოვნილებათა მიმართ ერთგვარ დათმობას წარმოადგენს მცირე სახელმწიფო-კრედიტორების ხარჯზე, ხოლო საფრანგეთისა, იტალიისა და ბელგიის ხვედრი რეპარაციები ხელუხლებელი რჩება. (ადს).

ინგლისის დელეგაცია მოითხოვს იუნგის გეგმის შეცვლას

ჰააგა, 18 აგვისტო. ინგლისის დელეგაციამ წერილობითი პასუხი გასცა ოთხ სახელმწიფოს (საფრანგეთის, ბელგიის, იაპონიის და იტალიის) მემორანდუმებს. ინგლისის დელეგაცია აცხადებს, რომ **ამ სახელმწიფოების წინადადებანი დამაკმაყოფილებელნი არ არიან.** ინგლისის დელეგაცია მოითხოვს „ყველა საკითხის ხელახლა განხილვას, რათა მიღწეულ იქნას სამართლიანი შეთანხმება“. პასუხს თან დართული აქვს წერილი, რომელშიაც ნათქვამია, რომ **ინგლისი მოითხოვს** მხოლოდ იმას, რაზედაც უფლება აქვს ძველი ხელშეკრულებებით. იგი მოითხოვს, რომ **მისი წილი რეპარაციებში გადიდებულ იქნას 2 მილიონი გირვანქა სტერლინგიდან 4 მილ.-მდე წელიწადში.** გარდა ამისა, იგი მოითხოვს, რომ **მას დაეთმოს თანხები სარეპარაციო გადასახადების უპირობო ნაწილიდან. შემდეგ ინგლისის დელეგაცია აცხადებს, რომ ინგლისი მოითხოვს იუნგის გეგმის ზოგიერთი დეტალის შეცვლას**, დელეგაცია ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „ფინანსიური დანაკლისის ანაზღაურება არ შეიძლება რაიმე შეთანხმებით ნატურით გადახდის საკითხში“. როდესაც ბელგიის დელეგატმა ჟასპარმა გადასცა მემორანდუმი სნოუდენს, ამ უკანასკნელმა სთქვა: „თუ მემორანდუმი უკანასკნელი სიტყვაა, შემდგომი მოლაპარაკება უსარგებლოაო“. ამის საპასუხოდ ჟასპარი არწმუნებდა სნოუდენს, რომ მემორანდუმი „უკანასკნელი სიტყვა არ არისო“.

ინგლისის და ამერიკის პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს სნოუდენმა განაცხადა:

„ჩვენ ვცდილობთ ისევ თავისი ადგილი მოუპოვოთ ინგლისის უფლებებს. ამ უკანასკნელ წლებში ინგლისი იმდენად დაადგა დათმობის გზას, რომ მას ანგარიშს აღარ უწევდნენ, და სხვები ამით სარგებლობდნენ. დადგა მომენტი, როდესაც ინგლისი იკავებს თავის ადგილს მსოფლიოში“ (ადს).

ფართოვდება საქმიანი ურთიერთობა

ამერიკა-საბჭოთა კავშირს შორის

ხელშეკრულებანი ამერიკულ ფირმებთან

ნიუ-იორკი, 18 აგვისტო. როგორც „ამტორგ“-ი იუწყება, „რეზინოტრესტ“-სა და „სეიბერლინგ სებბერ“-ის ფირმას შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლითაც ფირმამ ტეხნიკური დახმარება უნდა აღმოუჩინოს შინების საწარმოო ქარხნის აგებას იაროსლავლში.

ამავე დროს „ამტორგი“ იუწყება, რომ ამერიკულ ფირმებთან დადებულ ტეხნიკურ ხელშეკრულებათა რიცხვი 25-ს აღწევსო. ამჟამად ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატებში იმყოფება საბჭოთა კავშირის ტეხნიკოსა და მრეწველობის 200 წარმომადგენელი.

რეგულიარული მიმოსვლა ჩრდ. ამერ. შეერთ. შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის

ნიუ-იორკი, 18 აგვისტო. საზოგადოების „დერუტრის“ ამერიკის განყოფილებამ ხელშეკრულება დადო „ექსპორტ სტიმშიპ“-ის სანაოსნო საზოგადოებასთან. ხელშეკრულების თანახმად, კამპანია რეგულიარულ სასაქონლო-სამგზავრო მიმოსვლას აწყობს ნიუ-იორკს და ამერიკის სხვა ნავთსადგურებს და ოდესას, ნოვოროსიისკა და ბათომს შორის. მიმოსვლა დაიწყება სექტემბრის დამდეგს. დადებული ხელშეკრულების შედეგად შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის პირველად იწყება რეგულიარული ნაოსნობა (ადს).

ხელშეკრულებანი ტეხნიკური ხელშეწყობის შესახებ

მოსკოვი, 19 აგვისტო. საბჭოთა კავშირში ამერიკის სავაჭრო-სამრეწველო დელეგაციის ყოფნის დროს, დელეგაციის მონაწილენი და ამერიკის დიდი ელექტრო-ტეხნიკური ფირმის ვესტინგაუზის წარმომადგენლები აწარმოებდნენ „გლაველექტრო“-სთან მოლაპარაკებას საქმიანი თანამშრომლობის შესახებ. **ვესტინგაუზის ფირმა ძალიან დაინტერესებულია** იმით, რომ მიიღოს საბჭოთა კავშირში **მთელი რიგი კონცესიები დიდი ელექტრომშენებლობის სფეროში და ზოგიერთი წარმოების მოსაწყობად.** ფირმის წინადადების საპასუხოდ „გლაველექტრო“-მ წამოაყენა ელექტრომშენებლობის მთელი რიგი საკონცესიო ობიექტები, კერძოდ ზუევის და ნესვეტაევის რაიონული ელექტრო-სადგურების აგება დონბასში და ახალი ჰიდროსადგურის აგება საქართველოში. **ელექტრომრეწველობის** დარგშიაც „გლაველექტრომ“ ვესტინგაუზის ფირმას შესთავაზა მთელი რიგი საკონცესიო ობიექტები. ზოგიერთი ობიექტით ვესტინგაუზის ფირმა სერიოზულად დაინტერესდა. მოსალოდნელია პრაქტიკული წინადადებანი ფირმის მხრივ. (ადს).

ამხ. ბარინოვის ცნობები ამერიკიდან

მოსკოვი, 19 აგვისტო. „აზნავთ“-ის გამგეობის თავმჯდომარე ამხ. ბარინოვი, რომელიც ამჟამად ამერიკაშია, ამხ. კოსიორს ატყობინებს, რომ რამდენადაც იგი გაეცნო ნავთის მრეწველობის მოწყობილობის წარმოებას ამერიკაში, საბჭოთა კავშირში სავსებით შესაძლებელია ამ წარმოების მოწყობა (ამჟამად ეს მოწყობილობა თითქმის მთლიანად უცხოეთიდან შემოდის). კერძოდ, კრეკინგებისათვის საჭირო მოწყობილობის მნიშვნელოვანი ნაწილის დამზადება შეუძლია ყოველ ჩვენ ქვაბების დამამზადებელ ქარხანას. ამასთან დაკავშირებით, „გლავმაშტრესტ“-მ წინადადება მისცა „იუემშტრესტ“-ს და სამანქანო - ტეხნიკურ სინდიკატს—სასწრაფოდ მოაწყონ კრეკინგების მილების წარმოება.

„აზნავთ“-ის მონაწილეობა ამერიკის ნავთის მრეწველობის გამოფენაში

ბაქო, 19 აგვისტო. „აზნავთ“-ი მონაწილეობას იღებს ნავთის მრეწველობის იმ გამოფენაში, რომელიც ახლო მომავალში გაიმართება ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში — ქალაქ ტოლსაში. ამერიკაში გაიგზავნა საბჭოთა ნავთის პროდუქტების ნიმუშები და სამრეწველო ამოღების ზრდის დიაგრამები. გამოფენაზე ნაჩვენები იქნება ამხ. კაპელიუშნიკოვის მიერ გამოგონილი ახალი აპარატი „ტურბო-მბურღავი“, რომელიც თვალსაჩინოდ ამარტივებს ბურღვის პროცესს. ამხ. კაპელიუშნიკოვი ბურღვის ოსტატ ამხ. ვასილიევსა და ორ მუშასთან ერთად ამ დღეებში მიემგზავრება ამერიკაში. (ადს).

600 მუშა და 40 ინჟინერი ამერიკაში

ბაქო, 19 აგვისტო. „აზნავთ“-ი მომავალ წელს ჩრდილოეთ - ამერიკის ნავთის სამრეწველო რაიონებში კვალიფიკაციის ასაწევად გზავნის 600 მუშას და 40 ინჟენერს. კვალიფიკაციას მიიღებენ უმთავრესად ის მუშები და ინჟენერები, რომლებიც ამოღების საქმეზე მუშაობენ. წელს კალიფორნიიდან და ამერიკის სხვა ნავთის სამრეწველო რაიონებიდან დაბრუნდა „აზნავთ“-ის 20 მუშა. ეს მუშები ამჟამად ბაქოში პრაქტიკულად იყენებენ მიღებულ ცოდნას (ადს).

მღელვარება კრეისერ „ვალდეკ რუსო“-ზე

„ლიუმანიტე“ სამხედრო კრეისერზე მომხდარი მღელვარების შესახებ

პარიზი, 18 აგვისტო. „ლიუმანიტე“ აღნიშნავს მთავრობის ცნობას იმის შესახებ, რომ ჩინეთში მიმავალ კრეისერ „ვალდეკ რუსო“-ზე ადგილი არ ჰქონია ეპიდემიას და ამ ნიადაგზე არ დაწყებულა ეკიპაჟის მღელვარება. გაზეთი სწერს: **კრეისერზე მოკვდა 88 მეზღვაური, 200 მეზღვაურს კი პატიმრობა მიუსაჯეს 2 თვიდან 2 წლამდე.** ყოველივე ეს გამოცხადებული იყო ტულონის ნავთსადგურში, მაგრამ მთავრობის ცნობა ამის შესახებ არაფერს ამბობს, რაც „ლიუმანიტე“-ს მიაჩნია თავისი ინფორმაციის დადასტურებად (ადს).

სირია იბრძვის დამოუკიდებლობისათვის

სტამბოლი, 18 აგვისტო. სირიიდან იუწყებიან: ქარიატის უდაბნოში მოხდა სირიის აჯანყების ყოფილ მონაწილეთა თათბირი, რომელზედაც განხილულ იქნა სირიის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის განახლების საკითხი. (ადს).

ესალმებიან საბჭოთა ესკადრის მისვლას გერმანიაში

ბერლინი, 18 აგვისტო. გერმანიის ხელმძღვანელ წრეებში დიდის ინტერესით მოელიან საბჭოთა კრეისერების მისვლას სვინემიუნდეში. 20 აგვისტოს საბჭოთა ესკადრის უფროსს და მის შტაბს ბერლინში მოელიან. სვინემიუნდეში საბჭოთა კრეისერების მისვლასთან ერთად ილაუში მივა საბჭოთა ორი ნაღმოსანი. ცენტრის პარტიის ორგანო „გერმანია“ ეხება წითელი ფლოტის მისვლას გერმანიაში და სწერს:

„გერმანიის წყლებში საბჭოთა ფლოტის მოსვლა ჩვენ მიგვაჩნია გერმანიისა და საბჭოთა კავშირის მეგობრული კეთილმეზობლური ურთიერთობის საშუალებად. ჩვენ ვესალმებით საბჭოთა ფლოტის მოსვლას იმ სიხარულით, რომელიც ესოდენ ბუნებრივია იმათთვის, ვინც სტუმართმოყვარეობას იჩენენ; **ჩვენ სათანადოთ ვაფასებთ იმ მუშაობას, რომელიც საბჭოთა კავშირმა საკუთარის ძალ-ღონით გასწია“.** (ადს).

კონფლიქტი ინგლისის საფეიქრო მრეწველობაში

კონსერვატორი სვიფტი—საარბიტრაჟო კომისიის თავმჯდომარე

ლონდონი, 18 აგვისტო. ბამბის ქსოვილთა მრეწველობაში წარმოშობილი კონფლიქტის განმხილველი საარბიტრაჟო კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნა მოსამართლე სვიფტი, პარლამენტის ყოფილი წევრი, კონსერვატორი (ადს).

რეფორმისტები შლიან მთლიან ფრონტს

ცილისწამებით აღსავსე გალაშქრება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ

სტოკჰოლმი, 18 აგვისტო. ფეხსაცმელებისა და ტყავეულის მრეწველობის მუშათა ინტერნაციონალის კონგრესის სხდომაზე განხილულ იქნა საკითხი „რუსეთის აგიტაციისა სკანდინავიის ქვეყნებში“. კარლსონმა (შვეცია) განაცხადა კამათის დროს: „კომუნისტების ბრძოლას პროფმოძრაობის მთლიანობისათვის აქეზებს საბჭოთა კავშირი და ეს ბრძოლა ემსახურება საბჭოთა ინტერესებს“. კარლსონი ამტკიცებდა, ვითომ კომუნისტები „პროფმოძრაობის მტერნი“ არიან და მოითხოვდა კომუნისტების გამორიცხვას პროფკავშირებიდან. რაატიკაინენმა (ფინეთი) შეიტანა რეზოლიუცია, რომელიც დაფუძნებული იყო პროფმოძრაობის საერთაშორისო მთლიანობის პრინციპებზე; რეზოლიუცია მოითხოვდა საბჭოთა მეტყავეების კავშირის მიღებას ინტერნაციონალში.

რეფორმისტმა ლიდერებმა დემაგოგიური სიტყვები წარმოსთქვეს და გაილაშქრეს კომუნისტებისა და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. რაატიკაინენის რეზოლიუცია უარყოფილ იქნა (ადს).

საბჭ. კავშირის სახ. საგეგმო კომისიაში

კამათი განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე გადასვლის შესახებ

მოსკოვი, 19 აგვისტო. საკავშირო სახალხო კომისართა საბჭომ მოისმინა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის მოხსენება განუწყვეტელი საწარმოო კვირის შესახებ. სხვებთან ერთად ამ საკითხზე ილაპარაკა შრომის სახალხო კომისარმა ამხ. **უგლანოვმა**, რომელმაც, სხვათა შორის, აღნიშნა, რომ, მისი აზრით, განუწყვეტელი საწარმოო კვირის შემოღებას არ ელობება რაიმე დაუძლეველი ტეხნიკური დაბრკოლება, მაგრამ საკითხს უნდა მივუდგეთ ეკონომიური მიზანშეწონილობის თვალსაზრისით და იმ მხრივ, თუ რამდენად შეეგუებიან ღონისძიებანი ჩვენი მუშათა კლასის ყოფაცხოვრების პირობებს, რადგან ჩვენი მუშათა კლასი ჯერ კიდევ მჭიდროდ არის დაკავშირებული გლეხობასთან. ამ თვალსაზრისით ყოველგვარი აჩქარება მავნებელი იქნება, მით უმეტეს, როგორც ამხ. უგლანოვმა სთქვა, „თავზე წვიმა არ დაგვდის“. ამხ. უგლანოვის აზრით, განუწყვეტელ წარმოებაზე გადასვლა კვალიფიციური მუშა ხელის გადიდებას მოითხოვს, ამ მუშა ხელის მომზადებას კი, სულ ცოტა, ორი წელიწადი მოუნდება. მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ინჟენერ-ტეხნიკური პერსონალის უკიდურესი ნაკლებობა და ცვალებადობა. ყოველი ეს, აგრეთვე წარმოებაში ახალი მუშა ხელის ჩაბმა უეჭველად გამოიწვევს შრომის ნაყოფიერების დაცემას, რაც, თავის მხრით, გავლენას იქონიებს თვითღირებულების გადიდებაზე. მუშათა კლასის ყოფა-ცხოვრებითი პირობების გარდაქმნას შეუძლია გაადიდოს გაცდენილი დღეების რიცხვი და სხვ. საერთოდ, ამხ. უგლანოვი ფიქრობს, რომ ამჟამად საჭირო არ არის გადაჭარბებული სიჩქარე განუწყვეტელ სამუშაო კვირაზე გადასვლის საკითხის განხილვის დროს. მისი აზრით, საკითხი ჯერ კიდევ ტეხნიკურ დამუშავებას, ეკონომიურად დასაბუთებას და შესწავლას მოითხოვს და სხვ.

ამხ. უგლანოვის გამოსვლა სასტიკად იქნა გაკრიტიკებული.

ამხ. **შვარცმანმა**, როგორც მან აღნიშნა, შეკრება ყველა შესაძლებელი საბუთი განუწყვეტელი წარმოების პრინციპის დაუყოვნებლივ განხორციელების წინააღმდეგ. საბჭოთა კავშირის შრომის სახალხო კომისარმა მთელი თავისი ყურადღება მიაქცია არა იმ დადებით შედეგებს, რომლებსაც იძლევა განუწყვეტელ წარმოებაზე გადასვლა, არამედ იმ დაბრკოლებებს, რომლებიც ამ გადასვლის დროს ისახებიან. ასე, მაგალითად, შრომის სახალხო კომისარმა სრულიად უყურადღებოდ დასტოვა საკითხი იმის შესახებ, რომ განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე გადასვლა ჰქმნის დიდ დამატებით შესაძლებლობას უმუშევრობის წინააღმდეგ ბრძოლაში. ნაცვლად იმისა, რომ ისარგებლოს განუწყვეტელი საწარმოო კვირით რელიგიური ცრუმორწმუნეობის წინააღმდეგ ბრძოლისათვის, შრომის სახალხო კომისარი ერთ ადგილზე სტკეპნის.

ამხ. **ლარინის** სიტყვით, ამხ. უგლანოვის სულისკვეთება მეტად ნათლად არის დახასიათებული მისსავე სიტყვებში იმის შესახებ, რომ ამ საკითხში „წვიმა არ დაგვდის“ და რა საჭიროა ასეთი ფაცაფუციო“. ამხ. ლარინის აზრით, ეს საკითხი ფრიად სასწრაფოა და საჭიროა მისი დაუყოვნებლივ გადაწყვეტა. ამხ. ლარინი უარყოფს ამხ. უგლანოვის აზრს და აღნიშნავს განუწყვეტელი სამუშაო კვირის დადებით მნიშვნელობას საუკეთესო მოწყობილობათა შერჩევის, თვითღირებულების შემცირების, ხარისხის გაუმჯობესების და სხვ. თვალსაზრისით, კვალიფიციური მუშების საკითხში, ლარინის აზრით, ძირითადი კრიტერიუმს წარმოადგენს იმ ფაბრიკებისა და ქარხნების გამოცდილება, რომლებიც უკვე გადავიდნენ განუწყვეტელ სამუშაო კვირაზე. განუწყვეტელი საწარმოო კვირის შემოღების საკითხში ძირითად მომენტს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ განუწყვეტელ წარმოებაზე გადასვლა არ მოითხოვს არც საბრუნავი სახსრების გადიდებას, არც დამატებით კაპიტალურ მშენებლობას.

ამხ. **საბსოვიჩმა**, რომელიც განუწყვეტელი საწარმოო კვირის ჩატარების საქმეში საკავშირო ს. მ. უ. ს. საბჭოს რწმუნებულია, აღნიშნა, რომ ის დაბრკოლებები, რომლებსაც ტეხნიკური პერსონალი აყენებს განუწყვეტელ წარმოებაზე დაუყოვნებლივ გადასვლის წინააღმდეგ, მეტ წილად გამოგონილია. ამის დასამტკიცებლად ამხ. საბსოვიჩმა მოიყვანა მრავალი მაგალითი.

გაუკეთა რა ჯამი კამათს, ამხ. **რუძუტაკმა** აღნიშნა, რომ განუწყვეტელი წარმოების შემოღების საკითხს აქვს არა მარტო უდიდესი ეკონომიური მნიშვნელობა დღევანდელ გარდამავალ პერიოდისათვის, არამედ იგი ამავე დროს წარმოადგენს მთელი ჩვენი სამეურნეო მშენებლობის პრინციპიალურ საკითხს. მისი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენს მრეწველობას ბევრად უფრო ნაკლები ძირითადი კაპიტალით შეუძლია გაიღოს დაახლოვებით ერთი მეხუთედით მეტი პროდუქცია, ვიდრე ამჟამად. ამიტომ ამხ. უგლანოვის საწინააღმდეგო მოსაზრებანი მიზანს ვერ აღწევენ; ის არგუმენტები, რომლებიც მან განუწყვეტელი საწარმოო კვირის დაუყოვნებლივი შემოღების წინააღმდეგ წამოაყენა, ისეთივე საბუთით შეიძლება გამოყენებულ იქნას იმ მსხვილი კაპიტალური მშენებლობის წინააღმდეგ, რომელიც ეხლა მიმდინარეობს. კერძოდ, კვალიფიციური მუშა ხელის საკითხში თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს ტრანსპორტი. ამხ. უგლანოვის არგუმენტაცია, რომ სამართლიანი იყოს, მაშინ ეხლავე უნდა შევაჩეროთ რკინის გზის ტრანსპორტის მუშაობა, რადგან, მაგალითად, წევის დარგში არის ინჟენერ-ტეხნიკოსთა მხოლოდ 18 პროცენტი იმ ნორმისა, რომელიც მას შტატით ეკუთვნის, და სხვ.

ამავე დროს, ჩვენ ვიცით, რომ ნამდვილად რკინის გზის ტრანსპორტი არა თუ არ შეჩერებულა, არამედ, პირიქით, ფრიად ინტენსიურად ვითარდება. აქედან ის დასკვნა გამომდინარეობს, რომ საბჭოთა სამეურნეო სისტემა საშუალებას გვაძლევს არა მარტო განვავითაროთ მეურნეობა, არამედ ქვედა საფეხურის მუშაკთაგან შევქმნათ ისეთი კადრი, რომელიც გაუძლევა ამ გადიდებულ მეურნეობას. ამხ. რუძუტაკმა აღნიშნა, რომ განუწყვეტელი საწარმოო კვირის შემოღება არ ითმენს გადადებას თუნდაც იმიტომ, რომ ახლო დროში მთავრობამ უნდა დაამტკიცოს მომავალი წლის სახალხო მეურნეობის საკონტროლო ციფრები, ხოლო ამ კონკრეტულ ციფრებში განუწყვეტელი საწარმოო კვირის შემოღებამ უნდა ჰპოვოს შესაფერი გამოხატულება მრეწველობის დამატებითი გაშლის სახით. გარდა ამისა, მხედველობაში მიღებულ უნდა იქნას, რომ მომავალი წლის კაპიტალური მშენებლობა ისეთნაირად უნდა მიიმართოს, რომ მან მოგვცეს განუწყვეტელი წარმოების უფრო წარმატებით განხორციელების საშუალება (ადს).

პიონერთა საკავშირო შეკრება

შეკრების გახსნა

მოსკოვი, 19 აგვისტო. 19 აგვისტოს დინამოს სტადიონზე მოხდა პიონერთა სრულიად საკავშირო შეკრების გახსნა. გახსნას დაესწრო 12.000 პიონერი და 30.000 არა პიონერი. შეკრებილ პიონერებს მიესალმა პიონერთა შეკრების შტაბის თავმჯდომარე ამხ. სევერიანოვა. საბჭოთა კავშირის მთავრობის სახელით პიონერებს მიესალმა ამხ. რუძუტაკი. „უფროსი თაობა მოითხოვს ახალგაზრდა ლენინელებისაგან, —სთქვა ამხ. რუძუტაკმა,— რომ მათ მედგრად და უშიშრად იბრძოლონ იმ საქმისათვის, რომელიც დაიწყეს საუკეთესო პროლეტარებმა დიდი ბელადის ილიჩის ხელმძღვანელობით. თქვენ უნდა ისწავლოთ და მიეჩვიოთ ფაბრიკაში, ქარხანაში და მიწაზე მუშაობას, უნდა ისწავლოთ ფაბრიკებისა და ქარხნების მართვის, მთელ სახელმწიფოს მართვა-გამგეობის საქმე, უნდა გახდეთ მედგარი მებრძოლი ბოლშევიკები“.

საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის სახელით სიტყვა წარმოსთქვა ამხ. კაგანოვიჩმა. „თქვენ გყავთ ერთი მძლავრი ტოლი და მოკავშირე,—სთქვა მან.—ეს მოკავშირეა საბჭოთა კავშირი, რომელიც რამდენიმე თვის შემდეგ იდღესასწაულებს თავისი არსებობის 12 წლის თავს. ამ მოკავშირესთან ერთად თქვენ მალე განახორციელებთ ლენინის სანუკვარ ოცნებას—მსოფლიო პროლეტარულ რევოლიუციას. იმ პიონერისათვის, რომლის სახელიც საბჭოთა კავშირია, მზად იყავით იბრძოლოთ, იომოთ და, თუ საჭირო გახდება, სიცოცხლეც გასწიროთ“.

ამხ. კაგანოვიჩის მოწოდებას მრავალმა ათასმა პიონერმა ერთსულოვნად უპასუხა: „მუდამ მზად ვართო“.

საკავშირო კომპარტიის (ბ) მოსკოვის კომიტეტის და მოსკოვის საბჭოს სახელით მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა ამხ. ბაუმანმა, წითელი არმიის სახელით—ამხ. უნშლიხტმა.

შემდეგ საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხეების პიონერთა ორგანიზაციების წარმომადგენლებმა წაიკითხეს პატაკები. ბოლოს ტრიბუნაზე გამოჩნდა პატარა პიონერი ქალი, რომელმაც შეკრებას მოახსენა: „ჩვენ, საბჭოთა კავშირის პიონერები, ფიცსა ვდებთ გავაძლიეროთ ბრძოლა კომუნისტური აღზრდისათვის სკოლაში, 5 წლის განმავლობაში სავსებით მოვსპოთ ბავშთა შრომის გამოყენება 14 წლამდე, ყოველ წელიწადს წერა-კითხვა შევასწავლოთ 50.000 კაცს, მოვაწყოთ სკოლებში ბოსტნები და აქტიური მონაწილეობა მივიღოთ კოლმეურნეობათა მშენებლობაში. ჩვენ ვკისრულობთ ვალდებულებას ყოველ წელიწადს მოვსპოთ 500.000 მინდვრის თაგვი, რაც მოგვცემს 50.000 ვაგონი პურის ეკონომიას; 5 წლის განმავლობაში ყველა ბავშს უკლებლივ ჩავაბამთ პიონერთა ორგანიზაციაში“.

მიტინგის შემდეგ პიონერები გაემართნენ მოსკოვის საბჭოს შენობისაკენ, რათა დემონსტრაციით გამოეხატათ თავიანთი მზადყოფნა იმისათვის, რომ იბრძოლონ მსოფლიო ოქტომბრისათვის (ადს).

მისალმება ნორჩ ლენინელებს

მოსკოვი, 19 აგვისტო. საკავშირო ახალგ. ლენინური კომკავშირის ც. კ.-ი მიესალმა ნორჩი ლენინელების პირველ საკავშირო შეკრებას. მისალმებაში ნათქვამია:

„ნორჩო ლენინელებო! შეკრების დღეებში პირველი სიტყვით თქვენ უნდა მიმართოთ მთელი მსოფლიოს მშრომელებს, თქვენს მამებსა და დედებს, პროლეტარულ ბავშვებს, ჩვენს ამხანაგებს და ძმებს მუშათა საქმისათვის ბრძოლაში.

ნორჩო ლენინელებო! ჩვენთან, კომკავშირელებთან ერთად, ყველა მშრომელთან ერთად, თქვენ შეუტიეთ კულტურულ ლაშქრობას წ. კ. უცოდინარობის, სიბინძურის და ლოთობის წინააღმდეგ, შეუტიეთ ლაშქრობას მოსავლისათვის, კოლექტივიზაციისათვის; ჩვენთან ერთად იყავით შაბათობების ჩატარების დროს აგროვებდით რკინის ნამტვრევებს, აშენებდით საქარხნო-საფაბრიკო შვიდწლედებს, აწყობდით შეჯიბრებას; ჩვენთან ერთად იბრძვით შრომის სკოლისათვის, საყოველთაო სწავლებისათვის, დაქირავებული შრომის აღმოფხვრისათვის, სკოლის გარეშე მუშაობის გაშლისათვის, კომუნისტურ აღზრდაში მთელი საბჭოთა ბავშვების ჩაბმისათვის. შეკრების დღეებში თქვენ უნდა დასდოთ ფიცი, რომ განამტკიცებთ ჩვენი ქვეყნის თავდაცვის საქმეს, მილიონობით ჩააბამთ ბავშვებს სოციალისტური მშენებლობისა და ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულ სამუშაოთა განხორციელების საქმეში, გააორკეცებთ მახლობელი წლების განმავლობაში პიონერ-ორგანიზაციების რიგებს, მილიონობით ჩააბამთ ბავშვებს კულტურულ მუშაობაში.

ნორჩო ლენინელებო! თქვენ ლენინის სახელი დაირქვით და ამით იკისრეთ ვალდებულება—აშენოთ ახალი კომუნისტური საზოგადოება და დაამთავროთ კიდეც მისი აგება. შეკრების დღეებში ახალგაზრდა პიონერებმა უფრო მაღლა უნდა ასწიონ ლენინის დროშა, დროშა კოლექტივიზმისა, დროშა პროლეტარული პასუხისმგებლობისა საერთო საქმისათვის, დროშა ბრძოლისა ახალი კულტურისათვის, სოციალისტური ადამიანის კულტურისათვის. შეკრების დღეებში ჩვენ არა მარტო თქვენგან მოვითხოვთ ფიცსა და ვალდებულებებს, არამედ ჩვენც, კომკავშირელებიც, მთელი ქვეყნის წინაშე ვკისრულობთ: განვამტკიცოთ ხელმძღვანელობა პიონერთა მოძრაობის მხრით, გამოვყოთ მახლობელი თვეების განმავლობაში ბავშვებთან სამუშაოდ მრავალი ათასი კომკავშირელი, ხელი შევუწყოთ სახელოსნოებისა, სკოლებისა და საბავშვო მოედნების მოწყობაში, დავეხმაროთ იმაში, რომ კომუნისტური გავლენა გავრცელდეს უპარტიო ბავშვთა მილიონებზე. ყველა ასაკის ბოლშევიკების მიზანთა მთლიანობა და სამი თაობის განუწყვეტელი კავშირი იმის საწინდარია, რომ ნორჩი პიონერები, კომკავშირი და მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობა განახორციელებენ იმ ვალდებულებებს, რომლებიც მათ შეკრების დღეებში იკისრეს. კომკავშირი დარწმუნებულია, რომ ნორჩი ლენინელები, რევოლიუციის მესამე თაობა, არ შებღალავენ კომუნიზმის დროშას, რომელიც აღმართა ბოლშევიკების პარტიამ 1917 წლის ოქტომბერში, ისინი უფრო მაღლა ასწევენ მას და პროლეტარული რევოლიუციის დროშას მთელს მსოფლიოში განამტკიცებენ.

გაუმარჯოს პიონერ-ლენინელთა პირველს სრულიად საკავშირო შეკრებას! გაუმარჯოს ბოლშევიკების სამი თაობის განუწყვეტელ კავშირს, ბოლშევიკების, რომელნიც შეკავშირებულნი არიან საერთო მიზნით, საერთო შეხედულებებით! გაუმარჯოს სოციალისტური მშენებლობის ხელმძღვანელს—ბოლშევიკურ პარტიას!

ორი მილიონი თქვენი ამხანაგისა და ძმის სახელით მხურვალედ გესალმებათ საკავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი“. (ადს).

რეპრესიები საფრანგეთის მუშურ-გლეხურ ბანკის წინააღმდეგ

პარიზი, 18 აგვისტო. ჰავასის სააგენტო იუწყება: მუშურ-გლეხური ბანკის განყოფილებებში ლილსა და რუბეში მოხდა ჩხრეკა. წაიღეს საბუთები და კონფისკაცია უყვეს შესანახად მიბარებულ თანხებს, რომელთაგან უდიდესი თანხა 2000 ფრანკს უდრის.

პარიზი, 18 აგვისტო. გუშინ მეორედ გაჩხრიკეს მუშურ-გლეხური ბანკი პარიზში და მისი განყოფილებები ლილში, ტურში, [illegible] და სხვაგან. საბუთები და ფული წაიღეს, ბანკის სადგომები დაბეჭდეს.

მოხდა მე-46 ორგანიზაციის წარმომადგენელთა კრება, რომლებიც მუშურ-გლეხური ბანკის მეანაბარენი არიან. კრებამ დაადგინა—მოეწყოს მუშურ-გლეხური ბანკის დამცველთა კავშირი, იგი მოუწოდებს ბანკის ინდივიდუალურ და კოლექტიურ მეანაბარეებს—შევიდნენ ამ კავშირში (ადს).

მანიუს მთავრობის თვალთმაქცობა

ვენა, 18 აგვისტო. ბუქარესტიდან იუწყებიან: რუმინეთის მინისტრთა საბჭოს სხდომაზე განხილულ იქნა საგამომძიებლო კომისიის მოხსენება ლუპენის ამბების შესახებ. მინისტრთა საბჭომ სცნო, რომ პასუხისმგებლობა კონფლიქტისათვის ეკისრებათ მაღაროების პატრონებს, რომლებმაც მუშების საბუთიანი მოთხოვნები უარჰყვეს. მაგრამ მინისტრთა საბჭომ ამასთანავე განაცხადა ვითომ „მუშებს აღელვებდნენ პროფესიონალური აგიტატორები, რომლებმაც ისინი უკანონო გაფიცვაში ჩაითრიეს". მთავრობამ დაადგინა: სამსახურიდან დათხოვნილ იქნან ხელისუფლების წარმომადგენელნი, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ლუპენის ამბებში. გადაყენებულ იქნებიან აგრეთვე ჯარის ის უფროსები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს სამხედრო ნაწილების მოქმედებაში მუშების წინააღმდეგ.

ამხ. ნოელი მძიმე მდგომარეობაშია

იგი საავადმყოფოში გადაიყვანეს

პარიზი, 18 აგვისტო. „ლუმანიტე"-ს ყოფილი რედაქტორი 75 წლის კომუნარი ამხანაგი ნოელი, რომელიც სანტეს საპატიმროში იმყოფებოდა, მძიმე ავადმყოფობის გამო ექიმების მოთხოვნით, გადაყვანილ იქნა საავადმყოფოში. მეორე მოხუცი კომუნისტი ბრიუნე (71 წლისაა), რომელიც კომუნისტური გაზეთის რედაქტორია ნიმში, 26 ივლისიდან საპატიმროშია. მას ეპყრობიან ისე, როგორც სისხლის სამართლის დამნაშავეს.

ბრიუნე მძიმე ავადმყოფია (ადს).

ლატვიის ახალი ელჩი საბჭოთა კავშირში

რიგა, 18 აგვისტო. როგორც პრესა იუწყება, ლატვიის ყოფილი ელჩი რეველში ხეოკინი დაინიშნა ლატვის ელჩად მოსკოვში (ადს).

კილის მუშათა საპროტესტო დემონსტრაცია

ბერლინი, 18 აგვისტო. მთავრობამ კომისარმა კილში, სოციალ-დემოკრატმა კიურბისმა დარბაზობა გამართა კილში მისული იტალიის სამხედრო გემების ოფიცრების პატივსაცემად. ამ ამბავმა გამოიწვია კილის მუშების სტიქიური დემონსტრაცია. დემონსტრაციის ლოზუნგი იყო: „ძირს ფაშიზმი! ძირს სოციალფაშისტები!" დემონსტრაციის ბევრი მონაწილე პოლიციამ დაატუსაღა. (ადს).

ახალი გამარჯვება საბჭოთა აღმშენებლობის ფრონტზე

მოსკოვი, 19 აგვისტო. ნადეჟდინის ქარხნის მუშებმა დეპეშით მიულოცეს საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალურ კომიტეტს ახალი გამარჯვება სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე. „ჩვენ ავამუშავეთ,—ნათქვამია დეპეშაში,—ახალი, მეექვსე დომენის ღუმელი, რომელიც ჩვენს ქვეყანას წლიურად მისცემს 36.000 ტონა თუჯს. შრომის ფრონტზე ჩვენი გამარჯვების დღეს გიძღვნით პროლეტარულ სალამს. ნადეჟდინის მეღითონეებმა საკონტროლო ციფრების მიხედვით 800.000 მანეთი უნდა მისცენ სახელმწიფოს ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხით. დარწმუნებული იყავით, რომ ჩვენ არავის ჩამოვრჩებით და მივცემთ სესხად ჩვენს სახელმწიფოს 800.000 მანეთს. გაუმარჯოს საკავშირო კომპარტიას (ბ), სოციალისტური მშენებლობის ბელადს და ორგანიზატორს"! (ადს).

გადაფრენა მოსკოვი—ნიუ-იორკი

მოსკოვი, 19 აგვისტო. ამ დღეებში თავდაცვა - ავიაქიმის საზოგადოებასთან არსებულ გადაფრენათა კომისიაში საბოლოოდ გადაწყდება საკითხი მოსკოვიდან ნიუ-იორკში გადაფრენის შესახებ ძველი მარშრუტით. მოსკოვში მოხსენების გასაკეთებლად გამოწვეულ იქნა მფრინავი შესტაკოვი, რომელიც საჩქაროდ გამოფრინდება ირკუტსკიდან „დობროლიოტ"-ის სარეისო აეროპლანით. (ადს).

უკრაინელი მშრომელი მასების პროტესტი

რუმინელი მემაღაროების დახვრეტის წინააღმდეგ

ხარკოვი, 19 აგვისტო. საერთო საქალაქო ინტერნაციონალურმა მიტინგმა, რომელიც გაიმართა ჟილავის რაიონის რუმინელ მემაღაროეთა დახვრეტის წინააღმდეგ, ერთხმად მიიღო რეზოლუცია, რომელშიაც ხარკოვის პროლეტარიატი სასტიკ პროტესტს აცხადებს რუმინეთის ხელისუფლების სიმხეცის წინააღმდეგ და მოუწოდებს ყველა ქვეყნის მშრომელებს—განაცხადონ თავიანთი პროტესტი.

ამგვარივე საპროტესტო რეზოლუციები მიიღეს ორთქლმავლების ქარხნის, „კრასნაია ნიტ"-ის დონის რკინის გზის, ლითონის ჩამომსხმელი მექანიკური ქარხნის და სხვ. მუშებმა.

საბჭოთა აპარატის წმენდისათვის

საკავშირო პროფსაბჭოს [illegible] მი სახელმწიფო აპარატის წმენდაში პროფკავშირების მონაწილეობის შესახებ

მოსკოვი, 19 აგვისტო საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს იმ უყურადღებობას და გულგრილობას, რომელსაც საკავშირო და საკავშირთაშორისო პროფორგანოები იჩენენ აპარატის წმენდისადმი. როგორც საკავშირო პროფსაბჭო აღნიშნავს, კავშირების უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს ფართოდ გაშლილი მუშაობა იმისათვის, რომ მუშათა მასები და საბჭოთა მოსამსახურენი ნამდვილად ჩაბმულ იქნან სახელმწიფო აპარატის შემოწმებასა და წმენდაში. ეს ჩაბმა უნდა მოხდეს დაწესებულებათა მუშაობაში შემჩნეული დეფექტების გაბედული კრიტიკისა და ბიუროკრატიზმთან დაუნდობელი ბრძოლის ნიადაგზე. კავშირებმა ამ მხრივ სულ მოკლე ხნის განმავლობაში გარდატეხას უნდა მიაღწიონ. საკავშირო საბჭოს პრეზიდიუმი ურჩევს პროფორგანიზაციებს მოაწყონ დაწესებულებებში წმენდის ხელისშემწყობი სპეციალური ჯგუფები, რომლებშიც შევლენ მოსამსახურეთა საუკეთესო და აქტიური ელემენტები. ამასთან განუმარტონ მოსამსახურეებს, რომ შემცდარია ის აზრი, ვითომ წმენდა ხელაღებით ყველა მოსამსახურის წინააღმდეგ იყოს მიმართული. შემმოწმებელმა კომისიებმა ფართოდ უნდა მოაწყონ საწარმოებში მუშათა ბრიგადები. ყოველი დაწესებულების პირადი შემადგენლობის წმენდასა და შემოწმებას თან უნდა სდევდეს დაწესებულების მასიური დათვალიერება.

საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმი სოფელთან დაკავშირებული პროფორგანოების განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს იმას, რომ მათ შეუძლიათ უდიდესი ორგანიზაციული როლი ითამაშონ საბჭოთა ქვედა აპარატის წმენდის დროს, სადაც განსაკუთრებით საშიშია კლასობრივი ხაზის გამრუდება. კავშირებმა საბჭოთა ქვედა აპარატის წმენდაში უნდა ჩააბან სოფლის მოჯამაგირეები და მშრომელი გლეხობა, ამასთან მათ გადამჭრელი წინააღმდეგობა უნდა გაუწიონ კულაკს, რომელიც ცდილობს ჩაშალოს წმენდა ან ეს წმენდა თავისი მიზნებისათვის გამოიყენოს. (ადს).

დახვრეტა აქტივისტის მოკვლისათვის

კამენეც-პოდოლსკი, 19 აგვისტო. სასამართლომ გამოიტანა განაჩენი სოფელ დუბინკის საბჭოს თავმჯდომარის მარიამ მრაჩკოვსკის მოკვლის საქმის გამო. მთავარ დამნაშავეს მოლოტოვსკის მიესაჯა დახვრეტა, ხოლო დანარჩენ ოთხს—პატიმრობა 5-დან 8 წლამდე. (ადს).

ინჟ. კრისინის დაკრძალვა

ყაზანი, 19 აგვისტო. დაკრძალეს მოკლული ინჟ. კრისინი. დაკრძალვა გადაიქცა მუშებისა და ინჟინერების სოლიდარობის დიდ დემონსტრაციად. დაკრძალვას დაესწრო რამდენიმე ათასი კაცი. ყაზანის ყველა ფაბრიკისა და ქარხნის დელეგატებმა კუბო გვირგვინებით შეამკეს. (ადს).

საბჭოთა კავშირის ცაკის მიმართვა

მოკავშირე რესპუბლიკების ცაკებს

მოსკოვი, 19 აგვისტო. საბჭოთა კავშირის ცაკმა რუსეთის ს. ფ. ს. რესპუბლიკის, უკრაინის ს. ს. რესპუბლიკის, ბელორუსიის ს. ს. რესპუბლიკის, ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკის, უზბეკისტანის ს. ს. რესპუბლიკის და თურქმენისტანის საბჭ. სოც. რესპუბლიკის ცაკებს მიმართა წერილით საბჭოებისა და აღმასკომების მონაწილეობის შესახებ სადელეგატო კრებების გადარჩევის კამპანიაში. მიმართვაში ნათქვამია:

„სადელეგატო კრებების მორიგი გადარჩევა მოხდება კლასობრივი ბრძოლის გამწვავების პირობებში. მუშათა კლასისა და მშრომელ გლეხობისადმი მტრულად განწყობილი ელემენტები ეცდებიან დეზორგანიზაცია შეიტანონ ამ უაღრესად მნიშვნელოვან პოლიტიკურ კამპანიაში, რომლის დანიშნულებას შეადგენს მშრომელთა მთელი მასის ჩაბმა სოციალისტურ მშენებლობაში.

მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების ცაკებმა და ადგილობრივმა აღმასკომებმა და საბჭოებმა ყველა ზომა უნდა მიიღონ იმისათვის, რომ ამ კამპანიაში ჩააბან ყველა მშრომელი ქალი, პირველ რიგში მუშა, მოჯამაგირე და ღარიბი გლეხი ქალები და მათი გაზრდილი აქტივობა წარმართონ საბჭოთა ხელისუფლების ძირითადი ამოცანების გადაჭრისაკენ—ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის სწრაფი ტემპის განხორციელებისაკენ, სოფლის სოციალისტური გარდაქმნისაკენ, კულტურული მშენებლობის განვითარებისაკენ და ძველი ყოფა-ცხოვრების ნაშთების აღმოფხვრისაკენ.

სადელეგატო კრებების გადარჩევის კამპანიაში უნდა ჩაებან მშრომელ ქალთა ახალი ფენები, რომელნიც ჯერ კიდევ არ არიან ჩაბმულნი პრაქტიკულ სოციალისტურ მშენებლობაში და მათ მონაწილეობა უნდა მიეცეთ საბჭოების პრაქტიკულ მუშაობაში. სადელეგატო კრებების გადარჩევის ჩატარებასთან დაკავშირებით მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების ცაკებმა, აგრეთვე საოლქო აღმასკომებმა ყოველნაირი დახმარება უნდა გაუწიონ სოფელს მუშათა ბრიგადების, მოძრავ კინოების და აგიტატორების გაგზავნით. სადელეგატო კრებების გადარჩევასთან დაკავშირებით, საბჭოებმა და აღმასკომებმა თავიანთ მუშაობაში ანგარიში უნდა გაუწიონ ბრძოლას დახავსებული ყოფა-ცხოვრების ნაშთებთან, რასაც განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა აღმოსავლეთის რესპუბლიკებსა და ოლქებში. დახავსებული ყოფა-ცხოვრების ნაშთებთან ბრძოლაში და ამ ნაშთებიდან მშრომელ ქალთა განთავისუფლებისათვის მუშაობაში საბჭოები და აღმასკომები ყოველმხრივ უნდა ეყრდნობოდნენ სადელეგატო კრებებს და მათი დახმარებით უნდა ახორციელებდნენ ისეთ ზომებს, რომელნიც უზრუნველყოფენ მშრომელ ქალთა ფაქტიურ განთავისუფლებას. საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმი წინადადებას აძლევს მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების ცაკებს, ადგილობრივ აღმასკომებს და საბჭოებს მოაწყონ და ჩაატარონ თათბირები, რომლებშიაც მონაწილეობა უნდა მიიღონ ხელისუფლების სათანადო ორგანოებმა და საბჭოთა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა. (ადს).

ა.-კ. მრეწველობის დეფექტები

ამიერ - კავკასიის რესპუბლიკების სმუს საბჭოების წარმომადგენელთა მოხსენებები საკ. სმუს საბჭოში

მოსკოვი, 19 აგვისტო. საბჭოთა კავშირის ს.მ.უ. საბჭოს სამრეწველო-საქარხნო სამმართველოს კოლეგიამ მოისმინა აზერბეიჯანის, სომხეთის და საქართველოს ს.მ.უ. საბჭოების წარმომადგენელთა მოხსენებები რესპუბლიკანური მრეწველობის მუშაობის შესახებ, აგრეთვე თანამოხსენება ს.მ.უ. საბჭოს მთავარი ინსპექციისა, რომელმაც ამ ცოტა ხნის წინად გამოიკვლია ამიერ-კავკასიის მრეწველობა.

კოლეგიამ საერთოდ მიიღო ინსპექციის დასკვნები, რომლების საწინააღმდეგო აზრი არც რესპუბლიკის წარმომადგენლებს გამოუთქვამთ. კოლეგია აღნიშნავს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ს.მ.უ. საბჭოების აპარატების ფორმების სიჭრელეს და არამკაფიო აგებულებას, რაც გავლენას ახდენს გეგმიან ხელმძღვანელობაზე მრეწველობის მიმართ, რესპუბლიკანური ს.მ.უ. საბჭოების არასაკმაო ყურადღებას კაპიტალური მშენებლობის საკითხისადმი და სხ. ყოველსავე ამას თან სდევდა საწარმოო გეგმების არ შესრულება რესპუბლიკანური მრეწველობის მიერ. ცალკე რესპუბლიკური ტრესტები—„აზტექსტილ"-ი, „არმტექსტილ"-ი, „აზგოსტრესტ"-ი და საქართველოს სამთო მრეწველობის ტრესტი სდებდნენ ისეთ ხელშეკრულებებს, რომელნიც აღემატებოდნენ მათ საწარმოო შესაძლებლობებს. ეს ხელშეკრულებები მათ, რა თქმა უნდა, არ შეუსრულებიათ, რითაც დარღვეულ იქნა სხვა ორგანოების სამეურნეო საქმიანობა.

1927—28 წელს კაპიტალურ მშენებლობაში ადგილი ჰქონდა დიდი გადანახარჯებს დამტკიცებულ გეგმებთან შედარებით. თვით გეგმებს ხშირად ადგენდნენ ნედლეულის მარაგისა და სატრანსპორტო პირობების საკმაოდ აღურიცხავად. მთელ მშენებლობაში არა ჩანს ცენტრალიზაციაქმნილი გეგმიანი ხელმძღვანელობა.

დეფექტების აღმოსაფხვრელად კოლეგიამ საჭიროდ მიიჩნია გაძლიერდეს გეგმიანი ხელმძღვანელობა ამიერ-კავკასიის მრეწველობის მიმართ, რისთვისაც ყოველმხრივ უნდა განმტკიცდეს როგორც ფედერალური ს.მ.უ. საბჭოს, ისე ცალკე რესპუბლიკების ს. მ. უ. საბჭოების აპარატი. ა.-კავკასიის ს.მ.უ. საბჭოს უნდა შეექმნას მკვიდრი ეკონომიური დასაყრდენი, მრეწველობის ხელმძღვანელ დარგებში ფედერატიული ტრესტების შექმნით. ფედერატიულმა ს.მ.უ. საბჭომ, მთელი მრეწველობის მიმართ გეგმიანი ხელმძღვანელობის გაძლიერებასთან ერთად, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს კვალიფიციურ მუშათა, ტექნიკოსთა და ინჟინერთა კადრების მომზადებას და რაციონალიზატორული მუშაობის გაძლიერებას. თავის მხრივ კოლეგიამ საჭიროდ მიიჩნია დასვას საბჭოთა კავშირის ს.მ.უ. საბჭოს პრეზიდიუმის წინაშე საკითხი ამიერ-კავკასიაში სპეციალისტთა ჯგუფის გაგზავნისა და ადგილობრივი მრეწველობისათვის ფინანსების მიწოდების გაძლიერების შესახებ. კოლეგია, უწევს რა ანგარიშს განაპირა რესპუბლიკების მეურნეობის მაქსიმალური განვითარებისა და განმტკიცების საჭიროებას, მიზანშეწონილად სცნობს, რომ საბჭოთა კავშირის ს.მ.უ. საბჭოსთან შეიქმნას განსაკუთრებული თათბირი ნაციონალური რესპუბლიკის საკითხების განსახილველად; თათბირის შემადგენლობაში უნდა შევიდნენ ნაციონალური რესპუბლიკების მთავარ სამეურნეო სამმართველოების და ტრესტების წარმომადგენლები და სხვ. კოლეგია სავსებით იწონებს მთავრობის ორგანოების გადაწყვეტილებას იმის შესახებ, რომ თბილისში სასწრაფოდ გეოლოგიური კომიტეტის ფედერატიული განყოფილება საგამოკვლევო სამუშაოთა მაქსიმალურად განვითარების მიზნით. (ადს).

ამხ. ლანცუცკი—საპატიო ზეინკალი

დონის - როსტოვი, 19 აგვისტო. პოლონელ მუშათა და გლეხთა დელეგაციამ დაათვალიერა დონის თამბაქოს ფაბრიკა. დელეგატებზე განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ფაბრიკის ბაგამ და დისპანსერმა. დელეგატები აცხადებდნენ, რომ პოლონეთში არსად არ უნახავთ ისეთი ზრუნვა მუშებზე, როგორც საბჭოთა კავშირში. დელეგაციის უდიდესი ნაწილი გაემგზავრა საბჭოთა მეურნეობაში „გიგანტ"-ში. დელეგატები დაესწრნენ ლენინის სახელოსნოების საწარმოო კონფერენციას. მუშების წინადადებით ამხ. ლანცუცკი ჩაირიცხა საპატიო ზეინკლად. დელეგატების ჯგუფი გაემგზავრა შახტის რაიონის მაღაროებში (ადს).

შავი ზღვის ფლოტის ჰიდროპლანების გადაფრენა

სტალინგრადი, 19 აგვისტო. მოფრინდა შავი ზღვის ჰიდროპლანების ესკადრილია, რომლის გადაფრენის მარშრუტია სევასტოპოლი-სტალინგრადი - ბაქო, სტალინგრადი-სევასტოპოლი. მფრინავთა შემადგენლობამ ბრწყინვალედ შეასრულა უცნობ ადგილებზე გადაფრენა. გადაფრენამ 9 საათს გასტანა. (ადს).

ბაქო, 19 აგვისტო. დღის, ნაშუადღევის 3 საათზე სტალინგრადიდან მოფრინდა შავი ზღვის სამხედრო ფლოტის ჰიდროპლანების ჯგუფი. ეს ჰიდროპლანები ასრულებენ პირველ უდიდეს გადაფრენას საბჭოთა კავშირში.

სევასტოპოლიდან ბაქოში და უკან, გადაფრენის საერთო მანძილი 5.000 კილომეტრია. „დორნიე-ვალ"-ის სისტემის ჰიდროპლანებმა, რომლებიც დღეს დილის 6 საათზე გამოფრინდნენ სტალინგრადიდან, 9 საათის განმავლობაში გაიარეს კასპიის ზღვას ჩრდილოეთიდან სამხრეთის მიმართულებით. თითქმის მთელი გადაფრენის დროს ჰიდროპლანებს ხელს უშლიდა მოპირდაპირე ქარი, ნისლი და ცუდი ამინდი, მაგრამ მიუხედავად ამისა, მფრინავთა შემადგენლობამ გამოიჩინა უდიდესი სიმტკიცე და უცნობ პირობებში გარკვევის უნარი.

ზღვის პირის ბულვარზე გაიმართა მიტინგი, რომელზედაც წითელ მფრინავებს მიესალმნენ ბაქოს მუშები, აზერბეიჯანის პროფსაბჭოს და კასპიის ფლოტის სამხედრო-საზღვაო სარდლობის წარმომადგენლები.

მისალმების საპასუხოდ ჰიდროპლანების ჯგუფის სარდალმა ამხ. ბერქსტრომმა სთქვა: „ინგლისის ბურჟუაზია ემზადება საბჭოთა კავშირზე და პირველ რიგში ბაქოზე თავდასასხმელად, რათა გაიტანოს აქედან ნავთი. ამის საპასუხოდ ჩვენ ვაშენებთ ჩვენს საჰაერო ძალებს. წითელი არმია საკმაოდ ძლიერია იმისათვის, რომ საჭირო მომენტში ღირსეული პასუხი გასცეს ყოველი მტრის იერიშს". ჰიდროპლანები ორ დღეს დარჩებიან ბაქოში. გაიმართება მუშების ექსკურსიები ჰიდროპლანების დასათვალიერებლად. მფრინავები საწარმოებში მოხსენებებს გააკეთებენ. (ადს).

ამხ. ბლიუხერი

შორეული აღმოსავლეთის განსაკუთრებული არმიის სარდალი

პურის დამზადება

უკრაინაში

ხარკოვი, 19 აგვისტო. უკრაინაში მასიური ხასიათს ღებულობს მოძრაობა, რომლის მიზანსაც შეადგენს მთავრობისათვის პურის კოლექტიურად ჩაბარება. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ადგილობრივმა ორგანიზაციებმა საჭირო საორგანიზაციო ფორმებში ვერ ჩამოაყალიბეს ეს მოძრაობა, ვერ შესძლეს შეჯიბრების გამართვა ამ იდეის გარშემო და ვერ მოახერხეს პურის კოლექტიურად ჩატარება გადამწყვეტ ფაქტორად გაეხადათ პურის დამზადების საქმეში. იმ ცნობებთან ერთად, რომლებიც მასიურ წითელ ქარავნებს შეეხებიან, მოდის ცნობები იმის შესახებაც, რომ პურის დამზადების ტემპი ჯერ კიდევ არ არის დამაკმაყოფილებელი. (ადს).

აზერბეიჯანში

ბაქო, 18 აგვისტო. უკანასკნელი დღეების განმავლობაში პურის დამზადების ტემპი აზერბეიჯანში რამდენადმე გაძლიერდა, თუმცა ეს ტემპი ძალიან ჩამორჩება გეგმით გათვალისწინებულ ტემპს. აგვისტოს პირველი ათი დღის განმავლობაში დამზადდა 1.638 ტონა, აგვისტოს გეგმის 18 პროცენტი. მთლად ჩაიშალა პურის დამზადების საქმე ლენქორანის ოლქის ასტრახან - ბაზრის რაიონში; რაიონი იძულებულია პერიოდიულად დახუროს ჩასაბარებელი პუნქტები, რადგან „სოიუზხლებ"-ს ფული არა აქვს. გლეხებს უკანვე მიაქვთ პური. აგვისტოს პირველი ხუთი დღის განმავლობაში პური დამზადდა სამნახევარჯერ ნაკლები, ვიდრე ივლისის უკანასკნელ ხუთი დღის განმავლობაში. ბაქოდან ზეგავლენა მოახდინეს და „სოიუზხლებ"-მაც ფული გადაზავნა, მაგრამ სალიანსა და ლენქორანში ფულის ნიშნები არ მოიპოვება და ამიტომ ფულის მიცემაც არ შეიძლება. „სოიუზხლებ"-მა სალიანის დამამზადებელ რაიონში გადაზავნა 100.000 ტომარაზე მეტი, რომლებიც მტვრიანი აღმოჩნდნენ. ამხანაგობები იძულებული არიან გასწმინდონ ეს ტომრები, რაც აფერხებს პურის დამზადების საქმეს. მიუხედავად კულაკების აგიტაციისა, ჩასაბარებელ პუნქტებში პურის მოტანის საქმე საკმაო სიცხოველით მიმდინარეობს, მაგრამ პუნქტები მეტად უხეიროდ არის დანაწილებული და სათანადო შენობებიც არ მოიპოვება. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია, როგორც წინად, საზოგადოებრიობისაგან სრულიად განცალკევებით მუშაობს (ადს).

პურის დამზადებას ჩაშლა მოელის

ბაქო, 19 აგვისტო. პურის დამზადების გეგმას სალიანის ოლქში ჩაშლის საფრთხე მოელის. ივლისის და აგვისტოს გეგმა—75.000 ტონა ქერის დამზადება — შესრულებული არ არის. გეგმის შესასრულებლად ყოველმა საკრედიტო ამხანაგობამ ყოველ-დღიურ უნდა დაამზადოს 165 ტონა ქერი, ამხანაგობები კი მხოლოდ 21—23 ტონას ამზადებენ დღეში. ამრიგად, დამზადება ჩაშლილად ჩაითვალოს. ჩაშლის მიზეზია საბჭოთა და პარტიული საოლქო ორგანოების უყურადღებობა დამზადების საკითხებისადმი. რაი-აღმასკომებმა, დირექტივების უქონლობის გამო, კერძო ვაჭრებს აძლევდნენ პურის გატანის ნებას. გამოირკვა მთელი რიგი ბოროტმოქმედებანი.

აეროპლანი „ზემლია ი ფაბრიკა" ბაქოში

ბაქო, 19 აგვისტო. ბაქოში მოფრინდა აზერბეიჯანის ს. ს. რესპუბლიკის თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების აეროპლანი „ზემლია ი ფაბრიკა". აეროპლანი ორ კვირას დაჰყოფს აზერბეიჯანში და მოახდენს საგიტაციო გადაფრენებს ბაქოში, აღდამში, ევლახში, განჯაში, ქიურდამირში და გეოქჩაიში. (ადს).

ხანძარი ოსიაურის კოლექტივში

ხაშური, (საკ. კორ.) 19 აგვისტო. სოფელ ოსიაურის კოლექტივს დაეწვა ერთი ძნა ხორბალი. ზარალი 900 მანეთამდეა. მიზეზი გამოურკვეველია. სწარმოებს სასწრაფო კვლევა-ძიება ბოროტმოქმედთა აღმოსაჩენად.

პალმახელიძე.

ახალი საქართველო*)

ორმოცდაათ ათას ადამიანს თბილისის ერთ - ერთ სახალხო პარკში მოუყრია თავი. ზოგი ზის, ზოგი სდგას, ზოგიც დასაჯდომ ადგილის ძებნაშია.

ესტრადის მახლობლად მდგარი ხეები ბავშვებითაა დახუნძლული. აქაც ზოგი ზის, ზოგი სდგას, ზოგიც ხეს მობღაუჭებია, ან ხის შტოებს.

სცენაზე, წითლად გადაფენილ მაუდებს გარს მოსხდომიან სრ. საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის პირველი სახალხო ოლიმპიადის ჟიურის წევრები. შეჯიბრებაში 32 სხვადასხვა პროვინციიდან ჩამოსული ხორო მონაწილეობს. ყველანი ეროვნულ ტანისამოსით მორთულან. მთიელები ტრადიციულ იარაღში ჩამჯდარან.

ქართული სიმღერა, საერთოდ, სამხმოვანია.

ზოგი მამაკაცთა ხოროა, ზოგიც შერეული. თვითეულში 15 — 60-ამდის მომღერალია.

ეს ხალხური სიმღერები სრულიად თავისებურ მეთოდიკას და რიტმს ამჟღავნებენ. უნებურად გაგონდებათ არაბებისა და ზანგების მუსიკა. უდიდესი შთაბეჭდილება აჭარისტანის ხორომ დასტოვა. სამაგიეროდ უდიდესი ჯილდოც მან მიიღო ამ შეჯიბრებაში. ამავე ხორომ წარმოგვიდგინა ხანჯლებით ცეკვა.

ორჯერ გაამეორებინეს.

აჭარისტანის ხორო გურულ სიმღერების ორხმოვან ფიგურებს ასრულებს ფრიად მაღალ რეგისტროვან ხმების შემწეობით. უნდა ითქვას, რომ მთელს დედამიწის ზურგზე ვერ გაიგონებთ ამის მინაგვარ სიმღერას.

ორი 80 წლის მოხუცი გლეხი მღერის.

ნამდვილი კარუზოსებური ტრიუმფია.

ხალხი აბორგვდა, აჩოჩქოლდა. ზღვასავით აწვება ესტრადას. ტაში გრიალებს და ასე გგონიათ, საცაა ესტრადას დაღეწავენო. რამოდენიმე ბავში ხეებიდან ჩამოცვივდა.

უსტვენენ. მილიცია იქვე გაჩნდა, კვლავ წესრიგი დაამყარეს. აქ ბერლინი არ გეგონოთ. ბერლინში ასეთ შემთხვევაში პოლიციის ლეიტენანტი სინათლეს დააქრობინებდა და მომღერალს შეაჩერებდა, ვიდრე აღტაცებული საზოგადოება თავის ძვირად ნაყიდ ადგილებზე არ დაიჭერდა.

აქ ხელოვნებისათვის მხოლოდ ხუთ-ხუთ შაურს იხდიან და ამავე დროს მილიცია პედაგოგიურ - ფილოსოფიური ხასიათის დარიგებას აძლევს საზოგადოებას. გულდასმით უმტკიცებს ხალხს, რომ ყველაფერი აურ - ზაური სრულიად მიზანშეუწონელია. წარმოიდგინეთ, ამ დარიგებას ნაყოფი მოაქვს.

ასე გასინჯეთ, ხიდან ჩამოვარდნილ ბავშვებს ისევ მილიცია შველის, რათა კვლავ ხეზე აცოცება მოახერხონ მათ.

კონცერტი 6 საათის განმავლობაში გრძელდება. თბილისელები დიდად აფასებენ ხელოვნებას.

ცარიზმი ძლიერ მოწადინებული იყო საქართველო გაერუსებინა, მაგრამ მან ეს ვერ შესძლო.

ესეც ცნობილია, რომ ბატონი კაუცკი ძლიერ გულნაწყენია საქართველოზე, რადგან ქართველებმა მის რჩევას ყური არ ათხოვეს და „მისგან ნაცნობი" დემოკრატ. მთავრობა თავის ტახტიდან გადმოაბრძანეს.

ამჟამად საქართველოს მთავრობის თავმჯდომარეა ძველი ბოლშევიკი ფილიპე მახარაძე, რომელიც 1899 წლიდან ემსახურება რევოლიუციის საქმეს. იგი ფრიად მაღალნიჭიერი ადამიანია, ფოლადის ენერგიით დაჯილდოებული მუშაკი, წრფელი ადამიანობა ახასიათებს მას და ფრიად მომხიბვლელ შთაბეჭდილებას სტოვებს.

გამარჯვებულ პროლეტარიატს თვალისმომჭრელ სიდიადის სხივი მოუფენია ქალაქ თბილისისათვის.

ამ ხალხს შეთვისებული აქვს ცხოვრების გარეგანი და შინაგანი თავისუფლების ფორმები, ამას ზედ ერთვის ბუნებრივად თანდაყოლილი ესთეტიკა.

სტუმართმოყვარეობის ექსტაზი.

ქალაქიდან რამოდენიმე ვერსის მანძილზე მდინარე მტკვარზე გამართულია ლენინის იდეით ნაშენები მათი სიამაყე ჰიდრო - ელექტრო სადგური „ზაჰესი".

ლენინის სადგური დღის თბილისსა და მის მიდამოებს ორჯერ მეტ სინათლეს აწვდის, ვიდრე ამ ქალაქს წინად ჰქონდა.

მთელ სადგურს შვიდი მუშა უვლის.

სადგურის წინ სალ კლდეზე ლენინის ძეგლია აღმართული. სამანქანო ფარდულებს შორის ტროპიკული ბაღები გაუშენებიათ. ელსადგურის გარშემო დამყარებული სისუფთავე ისევე კრიალებს და ვარვარებს, როგორც თავათ მზე, ზეცაზე მოკიანთე.

ისევ ქალაქისაკენ ვბრუნდები.

უნივერსიტეტს ჩაუარე. ამ უნივერსიტეტს 6.500 მსმენელი ჰყავს.

თვალი გადავავლე ეროვნულ გალერეას. იშვიათი სპარსული მინიატიურები მე-16 საუკუნისა. მშვენიერი, სპარსული სურათები მე-19 საუკუნიდან. სამწუხაროდ ქართულ მხატვრობას მრავალი შეცდომა გადმოუღია ევროპიულ მხატვრობის ტრადიციებიდან. სამხატვრო აკადემიაში ჯერაც მიუნხენის სკოლის ზეგავლენა სჭარბობს. თურმე ასეთი ცოდვები საბჭოთა კავშირშიაც ვერ აღმოუფხვრიათ.

აი ნამდვილი ხელოვანი, ორიგინალური ტალანტი, ნამდვილი გენიოსი—ფიროსმანიშვილი. იგი 1918 წელს გარდაიცვალა 60 წლისა.

ფიროსმანის სიკვდილამდის რამოდენიმე წლით ადრე, თბილისში ამ მხატვარს ყურადღება მიაქცია რამოდენიმე ლიტერატორმა. სხვადასხვა ბნელ ჯურღმულებში გამოძებნეს მისი სურათები, დაიწყეს მის შესახებ წერა, ხოლო სურათებს მუზეუმში მოუყარეს თავი.

ამ ხელოვანის ცხოვრება და ბედი ჰენრი რუსსოსას მოგვაგონებს. ფიროსმანიშვილის პიროვნული ცხოვრება უფრო საოცარი იყო და თავისებური, ვიდრე რუსსოსი, იგი მეტად დაკავშირებულიც იყო ხალხთან. ამჟამად მთელი მისი შემოქმედების ნიმუშები სახელმწიფოს ხელშია.

აჰა, რევოლიუციის მუზეუმიც.

ამ მუზეუმში წარმოდგენილია საქართველოს პროლეტარიატის გმირული ბრძოლა თავისუფლებისათვის, სურათებისა, ფოტოგრაფებისა, საბუთებისა, გაზეთებისგან ამონაჭრებისა და მოწოდებების სახით.

განსაკუთრებით ძლიერ შთაბეჭდილებას სტოვებენ ძველ ტერორისტის კამოს ცხოვრების გამაშუქებელი საბუთები. ეს რევოლიუციონერი ექვსჯერ შეუპყრიათ, იგი სამჯერ გაქცეულა, ოთხჯერ სიკვდილი მიუსჯიათ მისთვის და ბოლოს სრულიად უბრალო ხიფათის მსხვერპლი გამხდარა 1922 წელს. ორი ფოტოგრაფიული სურათით წარმოდგენილია ორი კომუნისტის ნახშირად ქცეული ცხედარი. ეს რევოლიუციონერები ცეცხლში დაუწვავს მენშევიკურ მთავრობას.

საქართველოს რესპუბლიკის კინოს ქარხანა — სახკინმრეწვი, მთელს კავშირში მეორეა თავისი სიდიდის მიხედვით. აქაური ატელიეში ერთბაშად 6 ჯგუფს შეუძლია მუშაობის წარმოება.

ამჟამად კავკასიის მთის ხალხების ცხოვრებას ფილმავენ. წლიური პროდუქცია 20 ფილმს უდრის.

როზა ლიუქსემბურგის სახელობის თუთუნის ქარხანა ყოველთვიურად 76 მილიონ პაპიროზს ამზადებს. ამ ქარხანაში 330 მუშა შრომობს. ქარხანაში შვიდი საათის სამუშაო დღეა. ეს ნაციონალიზაციაქმნილი ქარხანა უკანასკნელი ტექნიკის მიხედვითაა გამართული.

უწინდელი პატრონის საცხოვრებელ ბინაზე მუშების კლუბი და დასასვენებელი სავანეები მოუწყვიათ. განსაკუთრებით კარგს შთაბეჭდილებას სტოვებს ბავშთა თავშესაფარი. მუშა ქალებს თან მიჰყავთ თავიანთი თოთო ბალღები და ბავშთა ბაგებში აბარებენ. როცა დედები ქარხნებში მუშაობენ, მათ პატარებს განსწავლული ძიძები უვლიან. ხოლო ის მუშა - ქალები, რომელნიც თავიანთ აწოვებენ ბავშებს ძუძუს, ორი-სამი საათის შეღავათს ღებულობენ ყოველდღიურად. ბავშთა ბაგებს შესაძლებელი კომფორტი არ აკლია.

მთელი დღის განმავლობაში ექიმი უწევს ამ ბავშებს ზედამხედველობას.

ამ თეთრ საგებში გამოფუნთულე ბავშების ჯანსაღი, ფუნთუშა გამომეტყველებაც ჩინებულად ამოწმებს პროლეტარიატის დიქტატურის მორალურ გამარჯვებას.

აბრეშუმის ქარხანა: „წითელი მქსოველი" 105 კაცს ამუშავებს—ორ წყებად, დღეში 8 საათი. ქარხნის თვიური პროდუქცია 8.000 მეტრს უდრის. აქ ამზადებენ უცხოელნაირი ფერის კრეპ-დე-შინს, სერჟს, აბრეშუმ - ტილოს და დარაიას. თბილისის უდიდესი ინდუსტრიალურ მიღწევად ახლად აგებული პირველი საქსოვი ქარხანა ითვლება.

ამზადებენ: შალსა და კამვარს. 1.300 მუშა სამ წყებად მუშაობს. ყოველი წყება 7 საათის განმავლობაში.

ქარხნისა და მუშათა საცხოვრებლების აგება 6 მილიონი ოქროს მანეთი დაჯდა.

ეს ქარხანა ტექნიკური ხუროთმოძღვრების შედევრად უნდა ჩაითვალოს. გენიალური კონსტრუქციის წყალობით უდიდესი პრობლემა გადაუწყვეტიათ: ქარხანაში აუარებელი სინათლე იქნება, მაგრამ შიგ მზეს არ უშვებენ.

საგანგებო მიზნებისათვის მიკუთვნებული სივრცეები ლოგიკურად და რაციონალურად გაუნაწილებიათ.

მუშებისათვის ტანისამოსის უზარმაზარი შესანახი და აბაზანები მოუწყვიათ. აქვე საუცხოვოთ მორთული სასადილო და დასასვენებელი დარბაზები გაუმართავთ.

ამ ტიპის ახალ ქარხნებში ყოველივე ისე ჰიგიენურად და ესტეტიურად მოუწყვიათ, რომ აქ მუშაობა უკვე სამსახური აღარ არის. აქ ნახავთ უახლესი კონსტრუქციის გერმანულსა და ინგლისურ მანქანებს.

თითქმის ყოველ კავშირს თავისი საზამთრო კლუბი და საზაფხულო ბაღი მოეპოვება.

მათ შორის უმშვენიერესია მბეჭდავთა კავშირის კლუბი, რომელსაც 2.000 წევრი ჰყავს, კლუბის საზაფხულო ბიბლიოთეკა 20.000 წიგნისაგან შესდგება.

საქართველოს რესპუბლიკაში ორმოცამდე სხვადასხვა ეროვნების ხალხი ცხოვრობს. უნდა ითქვას, ნაციონალური სოლიდარობა აქ მეტად მტკიცეა. ყოველი ეროვნება თავის ენაზე ლაპარაკობს, ნაციონალურ ერთეულებს სავსებით ავტონომიური მართველობა აქვთ მინიჭებული, მათ შორის შუღლსა და მტრობას ადგილი არა აქვს.

საქართველო მართლაც სანიმუშო ქვეყანაა, პოლიტიკურისა და სოციალისტური კულტურის გამომსახველი.

ჰერბერტ ვალდენი.

---

*) წერილის ავტორია უცხოეთთან კულტურული კავშირის საზოგადოების გერმანულ სექციის თავმჯდომარე პროფ. ჰერბერტ ვალდენი. წერილი გამოგზავნილია სპეციალურად „კომუნისტი"-სათვის.

რედ.

დღეს თბილისში ჩამოვიდნენ პოლონეთის მშრომელთა წარმომადგენლები

მხურვალე ძმური სალამი

დღეს თბილისში ჩამოვა პოლონეთის, დასავლეთ უკრაინის და დასავლეთ ბელორუსიის მუშებისა და გლეხების დელეგაცია. საქართველოს მშრომელი მასები დიდი ინტერესით ადევნებენ თვალყურს იმ გმირულ ბრძოლას, რომელსაც აწარმოებენ პოლონეთის მუშები და გლეხები თავაწყვეტილ ფაშისტური რეაქციის წინააღმდეგ. არც ისე დიდი ხანია მას შემდეგ, როცა პოლონეთის მშრომელნი ყოფილ რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ეროვნებათა მშრომელებთან ერთად თავგანწირვით იბრძოდნენ საუკეთესო მომავლისათვის. ოქტომბრის რევოლიუციამ დაამსხვრია ყოველგვარ მონობის ბორკილები, ძველი რუსეთის ჩაგრული მშრომელი ხალხი თავის ბედ-იღბლის სრული ბატონ - პატრონი შეიქნა, ის თამამად შეუდგა ახალი ქვეყნის მშენებლობას, განთავისუფლდნენ საბოლოოდ თვითმპყრობელობის მიერ ორნაირად დაჩაგრული მცირე ეროვნებათა მუშები და გლეხები.

პოლონეთის მუშებსა და გლეხებს დიდი დამსახურება მიუძღვით ოქტომბრის რევოლიუციის მომზადების საქმეში, მაგრამ ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვარი ხელმიუწვდომელი შეიქნა მათთვის. პოლონეთმაც მოიპოვა „დამოუკიდებლობა". ეს არის „დამოუკიდებლობა" პოლონეთის მემამულეებისა და კაპიტალისტებისათვის. „დამოუკიდებელ" პოლონეთმა თავის საზღვრებში მოაქცია სხვა ხალხით დასახლებულ ტერიტორიათა დიდ რაოდენობა.

ომამდე დაქუცმაცებული, რუსეთ-გერმანია - ავსტრია - უნგრეთის იმპერიალიზმის ქუსლით გაქელილი პოლონეთი აღსდგა და თვით გადაიქცა მრავალ სხვა ეროვნებათა მჩაგვრელ სახელმწიფოდ. პოლონეთის მოსახლეობის 40 პროცენტზე მეტი არაპოლონელებია. მცირე ეროვნებათა ყოველნაირად ჩაგვრა, მოსახლეობის იძულებითი პოლონიზაცია,—აი პოლონეთის ბურჟუაზიული მთავრობის კლასიური პოლიტიკის ერთ - ერთი მთავარი დამახასიათებელი თვისება. პოლონეთის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ეროვნებათა მუშები და გლეხები გმირულად იბრძვიან ფაშისტური რეჟიმის წინააღმდეგ. ის ფაქტი, რომ პოლონეთის კომუნისტური პარტია ერთ - ერთი უძლიერესი მასიური ორგანიზაციაა ევროპაში, მჭერმეტყველურად მოწმობს პოლონეთის ქალაქისა და სოფლის მშრომელი მოსახლეობის კლასობრივ და პოლონეთის თვითშეგნების ზრდას. მიუხედავად იმისა, რომ პილსუდსკის მთავრობა სისხლში ახრჩობს რევოლიუციონურ მოძრაობას, პოლონეთის მუშები და გლეხები შეუპოვარნი და მოუდრეკელნი რჩებიან.

ამხ. სტ. ლანცუცკი

დელეგაციის მდივანი

დღეს საქართველოს მუშებსა და გლეხებს ეწვევა პოლონეთში მცხოვრებ მუშებისა და გლეხების დელეგაცია. პოლონეთის მშრომელი მასები ხშირად არ გზავნიან თავიანთ წარმომადგენლებს საბჭოთა კავშირში. ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავზე მოსკოვში ჩამოვიდა პოლონეთის მუშათა დელეგაცია 10 კაცის შემადგენლობით. ბევრი მათგანი ამჟამად გამომწყვდეულია პოლონეთის ციხეებში. ლოძის ფეიქართა გაფიცვის დამარცხების შემდეგ არჩეულ იქნა მეორე ასეთივე დელეგაცია, მაგრამ მან ვერ შესძლო საბჭოთა კავშირში გამომგზავრება, რადგან პილსუდსკის მთავრობამ ყოველივე ზომები მიიღო დელეგაციის გამომგზავრებისათვის ხელის შესაშლელად და კიდევაც მიაღწია მიზანს. ეხლანდელი დელეგაცია არჩეულ იქნა 100 კაცის შემადგენლობით. პოლონეთის მთავრობა ეხლაც შეეცადა დელეგაციის გამომგზავრების ჩაშლას, მაგრამ აქ მან მიზანს მთლიანად ვერ მიაღწია. 100 კაცისაგან 20 კაცმა მაინც შესძლო საბჭოთა კავშირში ჩამოსვლა.

პოლონეთის დელეგატებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საქართველოში ჩამოსვლას. აქ ისინი გაეცნობიან არა მარტო საბჭოთა აღმშენებლობას. საზოგადოთ—მათ საშუალება ექნებათ საკუთარი თვალით დარწმუნდნენ, თუ რას წარმოადგენს პრაქტიკულად საბჭოთა ეროვნული პოლიტიკა. საქართველოს და მთელი ამიერ - კავკასიის მაგალითით პოლონეთის, დასავლეთ უკრაინის და დასავლეთ ბელორუსიის მუშებისა და გლეხების წარმომადგენლები ერთხელ კიდევ დარწმუნდებიან იმაში, რომ ნამდვილი ეროვნული თავისუფლება, ყველა ხალხთა ნამდვილი ნაციონალური შემოქმედების გაშლა - განვითარება შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ საბჭოთა სახელმწიფოებრივ წყობილების პირობებში.

პოლონეთი ქართულ კონტრ - რევოლიუციის ნამსხვრევების ერთ-ერთ მთავარ თავშესაფარს წარმოადგენს. ყველამ იცის, თუ რა უდიდესი აღშფოთება გამოიწვია საქართველოს მუშებსა და გლეხებში იმ მორიგ პროვოკაციამ, რომელიც პილსუდსკის მთავრობამ მოაწყო ქართული ემიგრაციის დემონსტრატიული მფარველობის სახით. პოლონეთის მუშათა დელეგაცია გაეცნობა ჩვენს ადგილობრივ ვითარებას და უკან დაბრუნებისას ყოველ ზომებს მიიღებს ისტორიის სანაგვე ყუთში გადასროლილი მენშევიკური ემიგრაციის პროვოკაციულ გამოსვლების წინააღმდეგ.

მხურვალე ძმური სალამი პოლონეთის მშრომელ მასების რევოლიუციონურ პროლეტარიატისა და გლეხების წარმომადგენლებს!

გუშინ საქართველოს პროფსაბჭომ და რემედასის ცენტრალურმა კომიტეტებმა მიიღეს ცნობა, რომ 20 აგვისტოს დილით კავკავიდან საქართველოს სამხედრო გზით თბილისისაკენ გამოემგზავრება პოლონეთის მუშათა და გლეხთა დელეგაცია.

დელეგაციაში შედიან პოლონეთში მცხოვრებ ყველა ეროვნებათა და მემარცხენე პოლიტიკურ პარტიების წარმომადგენლები. დელეგაციასთან ერთად მოემგზავრება პოლონეთის სეიმის ყოფ. წევრი ამხ. ლანცუცკი.

დელეგაციას თბილისში შეხვდებიან საქ. პროფსაბჭოს, საქ. რემედასის ცენტრალური კომიტეტის და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები. სასტუმრო „ორიანტალ", სადაც შეჩერდება დელეგაცია, თავს მოიყრიან რემედასის და პროფკავშირების წევრები. სასტუმროსთან დელეგაციის ჩამოსვლისას გაიმართება სახელდახელო მიტინგი, რომელზედაც პოლონეთის დელეგაციას მიესალმებიან საქ. რემედასის და მუშათა ორგანიზაციების წარმომადგენლები.

დელეგაცია თბილისში დარჩება ორი დღე.

პარტიაში

ახლოვდება სამოსწავლო წლის დასაწყისი. გავაფართოვოთ მუშაობა პარტგანათლების ქსელის გასაშლელად

პარტმასის პოლიტმომზადების დონის ამაღლებისათვის

კომუნისტური პარტიის წინაშე დღეს უდიდესი ამოცანები სდგას გადასაჭრელად. ამ ამოცანებს შორის უმთავრესია ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, სოფლის მეურნეობის კოლექტიურად გარდაქმნა, თავდაცვის უნარიანობის გაძლიერება და კულტურული რევოლიუციის განხორციელება, რომლის გარეშე შეუძლებელია სოციალიზმის საბოლოო გამარჯვება. ყველა ამ ამოცანების განხორციელების საქმეში პარტიის თვითეული წევრი მოწინავე რიგებში უნდა იდგეს, ის მაგალითის მიმცემი, გზის მაჩვენებელი უნდა იყოს უპარტიო მასებისათვის. კომუნისტისათვის აუცილებელია კარგად იცნობდეს პარტიის წარმოშობას, მისი ბრძოლისა და გამარჯვების ისტორიას, რაც საშუალებას მისცემს მას ადვილად გაერკვეს დღევანდელ რთულ პოლიტიკურ და ეკონომიურ საკითხებში.

პარტიის წევრების პოლიტიკური დონის ამაღლებისა და მათი გათვითცნობიერებისათვის, ჩვენ ყოველწლიურად ვხსნით სხვადასხვა საფეხურის პარტსკოლებს, სადამოს კურსებს, სემინარიებს, გვაქვს მთლიანი პარტსკოლა, კომუნისტური უნივერსიტეტი და სხვ. მიუხედავად ამისა, პარტიის წევრთა მნიშვნელოვანი პროცენტის პოლიტიკური დონე ჯერ კიდევ ძალზე დაბალია. რომ არაფერი ვთქვათ სასოფლო და დაწესებულებათა უჯრედებზე, თვით საწარმოო უჯრედებშიაც კი, სადაც აბსოლიუტურ უმრავლესობას მუშები შეადგენენ, რომლებიც პოლიტიკური თვითშეგნებით გლეხებზე გაცილებით მაღლა უნდა იდგნენ, აქაც კი პოლიტიკური მომზადების მხრივ უნუგეშო მდგომარეობაა.

ეს გარემოება სხვათა შორის ნათლად გამოაშკარავა პარტიის რიგების მიმდინარე შემოწმებამ, მართალია, პარტიის წმენდა პარტიის წევრთათვის პოლიტიკური გამოცდის ნიშნის ქვეშ არ მიმდინარეობს, მაგრამ იმ თითო-ოროლა პოლიტიკური შეკითხვებზედაც კი, რომლებსაც პარტიის ამა თუ იმ წევრს აძლევდნენ შემმოწმებელ კომისიის წევრები, შესამოწმებელი ამხანაგები ვერ იძლეოდნენ გარკვეულ პასუხს და ზოგჯერ სავალალო მდგომარეობაშიც კი ვარდებოდნენ.

ზემოთქმულის დასადასტურებლად ჩვენ მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს. მე-5 სტამბის უჯრედში, რომელშიაც გაერთიანებულია სხვებთან შედარებით, უფრო გათვითცნობიერებული მუშები, შემმოწმებელი კომისიის თავმჯდომარე ეკითხება პარტიის ერთ-ერთ წევრს (სხვათა შორის, ეს ამხანაგი ერთ დროს უჯრედის ბიუროს წევრადაც ითვლებოდა), თუ ვინ არის საქართველოში მთავრობის თავმჯდომარე. ხსენებული ამხანაგი დადებით პასუხს ვერ იძლევა. მან დღემდისაც არ იცის აგრეთვე, თუ ვინ ითვლება საკავშირო ცაკის თავმჯდომარედ. ამავე უჯრედში პარტიის წევრთა შორის იშვიათად აღმოჩნდა ისეთი ამხანაგი, რომელიც წიგნებს კითხულობდეს სისტემატიურად. არიან ისეთებიც, რომლებიც ზოგჯერ გაზეთებსაც არ ათვალიერებენ და ამ გარემოებას მოუცლელობით, ზედმეტი დატვირთვით და სხვ. ხსნიან.

უფრო სავალალო მდგომარეობაა, როგორც ჩანს, არც სხვა უჯრედებშია. გაზ. „რაბოჩაია პრავდა"-ში (№ 168) მოთავსებულია ტრამვაიელთა უჯრედის წმენდის შედეგები. აქ პარტიის ერთ-ერთი წევრი, შემმოწმებელი კომისიის თავმჯდომარის შეკითხვაზე, თუ საბჭოთა კავშირს გარდა კიდევ სად არსებობს საბჭოთა წყობილება, მიუთითებს ინგლისზე, სადაც მაკდონალდის ცრუ „მუშათა" მთავრობა, როგორც შინაურ, ისე საგარეო საკითხებში აშკარად ატარებს ბოლდუინ-ჩემბერლენის კონსერვატიული მთავრობის პოლიტიკას. ჩვენი გაზეთები ყოველდღიურად სავსეა ცნობებით მაკდონალდის მთავრობის პოლიტიკის შესახებ, იტალიური კომპარტიის ბრძოლის შესახებ და ტრამვაიელთა უჯრედის წევრმა დღემდისაც არ იცის, თუ როგორი წყობილებაა ინგლისში.

დიდძალი ასეთი კურიოზების მოყვანა შეიძლება, მაგრამ ზემოთქმულიც საკმარისია იმის დასადასტურებლად, თუ რაგვარ დაბალ დონეზე სდგას პარტიის წევრთა მნიშვნელოვანი ნაწილის პოლიტიკური თვითშეგნება.

თავისთავად ცხადია, პარტიის წევრი, რომელმაც არ იცის თუ როგორი წყობილებაა ინგლისში, ვინ არის საქართველოს მთავრობის და საკავშირო ცაკის თავმჯდომარე, მით უმეტეს ვერ გაერკვევა პარტიის პოლიტიკის რთულ საკითხებში, მის გენერალურ ხაზში.

ეს გარემოება ფრიად დამაფიქრებელია, რასაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პარტიის ხელმძღვანელი ორგანოების მიერ. პარტიას დღეს მიზნად აქვს დასახული სამი წლის განმავლობაში საქართველოში აღმოფხვრას წერა-კითხვის უცოდინარობა. კერძოდ, პარტიის და კომკავშირის რიგებში წერა-კითხვის უცოდინარობა უნდა აღმოიფხვრას მომავალ 1929 — 30 სამოსწავლო წელში. ამ ამოცანის განხორციელებასთან ერთად, აუცილებელია გადამჭრელი ზომების მიღება პარტიის წევრთა პოლიტდონის ასამაღლებლად. მომავალ სამოსწავლო წელში უჯრედების ბიუროებმა ზედმიწევნით სისწორით უნდა აღრიცხონ პარტიის ისეთი წევრები, რომლებიც ჩაბმული უნდა იქნენ სხვადასხვა საფეხურების პარტსკოლებში და პოლიტწრეებში, მაგრამ არაა საკმაო პარტიის წევრთა მარტო პოლიტსკოლაში მიზიდვა. ამასთან ერთად საჭიროა უჯრედების ბიუროების მიერ მუდმივი და ფხიზელი კონტროლი, თუ რამდენად რეგულიარულად აწარმოებენ მეცადინეობას პოლიტსკოლებში, ესწრებიან თუ არა მეცადინეობას სკოლებში მივლინებული ამხანაგები და სხვ.

პარტიის წევრთა პოლიტცოდნის ამაღლების საქმეში მომავალი სამოსწავლო წლიდან უნდა მოხდეს რადიკალური გარდატეხა.

ვ. მ.

პარტგანათლების სისტემა 1929-30 წელს

(თბილისის ორგანიზაცია)

პარტიული განათლების საქმე გასულ სამოსწავლო წელს მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, გაიზარდა პარტიის წევრთა პროცენტი სკოლებში, უკეთეს ნიადაგზე იქნა დაყენებული პროგრამულ-მეთოდიური ხელმძღვანელობა, საპროგრამო საკითხების დამუშავება სწარმოებდა პარტიის პოლიტიკის საკითხებთან დაკავშირებით და სხვ. სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ პარტგანათლებამ ფრიად სერიოზული როლი ითამაშა ტროცკიზმის, მემარჯვენე გადახრის და მათთან შემარიგებლობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

რასაკვირველია, პარტგანათლების ქსელის მუშაობას ამ მიღწევებთან ერთად ახასიათებდა ნაკლოვანებები: პროგრამის საკითხები არ იყო დაკავშირებული მსმენელთა მოთხოვნილებებთან და წარმოების ცხოვრებასთან, მიმდინარე კამპანიები სათანადო გამოხატულებას ვერ პოულობდა პოლიტსკოლების მუშაობაში სასოფლო-სამეურნეო მუშები და მოჯამაგირენი სუსტად იყვნენ ჩაბმულნი პარტგანათლების ქსელში და სხვ.

ყველა ეს ნაკლი ბევრგან იწვევდა წრეებისა და სკოლების დაშლას, ბევრგან კი—მსმენელთა დიდი ნაწილის ჩამოშორებას—გაცხრილვას.

უნდა ითქვას, რომ აღნიშნული დეფექტები უმთავრესად პარტგანათლების სათანადოთ შეუფასებლობის შედეგი იყო. კომუჯრედების დიდი ნაწილი სრულიად არ ხელმძღვანელობდა სკოლებს და წრეებს, ან ამ ხელმძღვანელობას მხოლოდ აგიტპროპორგანიზაციებს ავალებდა.

ცხადია, ამ დეფექტების გამოსწორება აუცილებელ პირობას წარმოადგენს პარტგანათლების საბოლოოდ გასაჯანსაღებლად მომავალ სამოსწავლო წლისათვის. განსაკუთრებით დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ხელმძღვანელობის გაუმჯობესებასა და პროპაგანდისტების შერჩევას. ამ უკანასკნელი საკითხის გადაჭრისათვის საჭიროა გადათვალიერებულ იქნას პროპაგანდისტთა კადრები და შევსებ ისინი თეორიულად მომზადებულ მუშებით და სხვა პასუხისმგებელ ამხანაგებით.

პარტგანათლების სისტემა პირველ ყოვლისა უნდა აგებულ იქნას პარტიული მასების მოთხოვნილებათა აღრიცხვის საფუძველზე. სწორედ ამ გარემოებას ეყრდნობა მთავარი ყურადღება გასულ წელს და ამის მიხედვით იწარმოებს მუშაობა მომავალ წელსაც.

თბილისის ორგანიზაციაში უდაბლეს საფეხურად ერთეულად რჩება პოლიტცოდნის მთლიანი სკოლა. ამ სკოლას გაივლიან პარტიაში ახლად მიღებული კანდიდატები და ის მოწინავე უპარტიო მუშები, რომელთაც სურთ პარტიის რიგებში შემოსვლა.

საშუალო საფეხურის ძირითად სასწ. ერთეულად სადამოს საბჭოთა-პარტიული სკოლა ითვლება. ის ნავარაუდევია ისეთ ამხანაგებზე, რომელთაც მიღებული აქვთ ელემენტარული პოლიტიკური ცოდნა. სდ. პარტსკოლის პროგრამა მრავალფეროვანია, აქ საზოგადოებრივ-საგანმანათლებლო საკითხებთან ერთად მსმენელები საერთო განვითარების მომცემ დისციპლინებსაც სწავლობენ.

სდ. საბჭ. პარტსკოლის პირველ კურსზე მიიღებიან ის ამხანაგები, რომელთაც დაამთავრეს მთლიანი პოლიტცოდნის სკოლა და აქვთ სწავლის გაგრძელების სურვილი.

სდ. საბჭოთა პარტსკოლის სასწავლო გეგმა ასეთია: პირველ წელს—მშობლიური ენა, მათემატიკა, ეკონომიური გეოგრაფია, საკ. კ. პ. (ბ) ისტორია, პოლიტ-ეკონომია; მეორე წელს—ბუნების მეტყველება, ლენინიზმი, ეკონომიური პოლიტიკა, კლასთა ბრძოლის ისტორია.

საშუალო საფეხურის სასწ. ერთეულებია აგრეთვე საგნობრივი და მიმდინარე პოლიტიკის წრეები, თემატიური წრეები და ძირითადი აქტივის მომზადებელი კურსები.

პარტგანათლების უმაღლესი სასწავლო ერთეულია სადამოს კომუნისტური უნივერსიტეტი, რომელშიაც მიიღებიან ის ამხანაგები, რომელთაც წარმატებით დაასრულეს სდ. საბ. პარტსკოლები ან საგნობრივი წრეების კურსი.

მთლიან პოლიტ-სკოლებში მეცადინეობა სავალდებულოა იმ კომუნისტებისათვის, რომელთაც არა აქვთ ელემენტარული პოლიტიკური მომზადება, დანარჩენ ერთეულებში კი წვრთნა ნებაყოფლობითი პრინციპის საფუძველზე სწარმოებს.

პარტიულმა უჯრედებმა ადრევე უნდა მოჰკიდონ ხელი სასწავლო წლისათვის მზადებას. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ვერ შევძლებთ საჭირო გარდატეხის მოხდენას პარტგანათლების საქმეში.

ჯ—ილი.

სოციალისტური შეჯიბრება

შეჯიბრების შედეგები ქუთაისის მაზრაში

აცანის ჩაის ქარხნის მშენებლობაში ადგილი აქვს უთავბოლო მუშაობას

შეჯიბრების შედეგები

(წერილი ქუთაისიდან)

სოციალისტური შეჯიბრების ჩატარება ქუთაისსა და მის მაზრაში, ცოტა დაგვიანებით დაიწყო, მაგრამ მიუხედავად ამისა, ამ მიმართულებით მუშაობამ მაინც მასიური ხასიათი მიიღო. ყველა წარმოება-დაწესებულებების [illegible] უაღრესი აქტიობით ჩაებნენ სოციალისტურ შეჯიბრების ფერხულში. თითქმის არც ერთი დაწესებულება, არც ერთი ფაბრიკა-ქარხანა არ დარჩენილა შეჯიბრების გარეშე. ქუთ. მაუდის ფაბრიკას შეჯიბრებაში გამოწვეული ჰყავს განჯის მაუდის ფაბრიკა. თამბაქოს ქარხანას—ბათომის თამბაქოს ქარხანა, ფოსტა-ტელეგრაფს—ბათომის, ფოთის და ზუგდიდის ფოსტა-ტელეგრაფი; რკინის გზას ჩრდილოეთ რკინის გზა; ხონის ძაფ-სახვევ ფაბრიკას სამტრედიის ძაფსახვევი ფაბრიკა; სამტრედიის ძაფ-სახვევ ფაბრიკას ოზურგეთის ძაფსახვევი ფაბრიკა, კოოპერაციას თბილისის მუშკოოპი, რიონჰესს—ზაჰესი, ტყიბულს—ჭიათურა.

დროებით საკონტროლო კომისიები ჩამოყალიბებულია, მხოლოდ ტყიბულის მაღაროებში, რიონჰესში, მაუდის საქსოვ ფაბრიკაში და ხონის და სამტრედიის ფაბრიკებში. განზრახულია დროებითი საკ. კომისიები ჩამოყალიბდეს თამბაქოს ქარხანაში, ძაფ-სახვევ ფაბრიკაში და ბარიტის წარმოებაში.

სოციალისტურ შეჯიბრებას ფაბრიკა-ქარხნებში ხელმძღვანელობს საწარმოო კომისიები, რომლებიც ჩამოყალიბებული არიან საწარმოო თათბირებთან. დღემდე საწარმოო კომისიების მიერ გამორკვეულია შემდეგი წარმოება-დაწესებულებანი: სამტრედიის ძაფსახვევი ფაბრიკა, სადაც გაირკვა შემდეგი: შეჯიბრების გამოცხადებამდე ყოველდღიური გაცდენა არა საპატიო მიზეზით საშუალოდ უდრიდა 4,1 პროცენტს, შეჯიბრების შემდეგ დაყვანილი იქნა 2 პროცენტამდე. შრომის დისციპლინის დარღვევისათვის მოხსნილია სამი მუშა. ქუთ. მაუდის საქსოვ ფაბრიკაში შეჯიბრების გამოცხადებამდე გაცდენები უდრიდა 3 პროცენტს, შეჯიბრების შემდეგ კი დაყვანილი იქნა 1,2 პროც-დე, ძაფსახვევ ფაბრიკაში, სანამ გამოცხადდებოდა შეჯიბრება, გაცდენები შეადგენდა 6 პროცენტს, შემდეგ დაყვანილი იქნა 3 პროცენტამდე, ფოსტა-ტელეგრაფში შრომის ნაყოფიერებამ აიწია 25 პროც. და უფრო ელასტიურად მოეწყო პაკეტების და უწყებების ჩაბარება. ტყიბულის ხაზზე, მე-5 საოსტატო შეჯიბრებამდე სცვლიდა 4 ცალ შპალს, შეჯიბრების დაწყების შემდეგ კი სცვლის 7, ტყიბულის მაღაროებში შეჯიბრებამდე გაცდენები უდრიდა საშუალოდ 19 პროცენტს, შეჯიბრების შემდეგ ეს ციფრი დაყვანილ იქნა 13 პროცენტამდე. მაღაროებიდან ნახშირის გამოტანა დღეში უდრიდა 11 ფუთს ერთ მუშა ხელზე. შეჯიბრების შემდეგ ერთი მუშის მიერ გამოღებული ნახშირი უდრიდა 17 ნახ. ფუთს.

დროებით საკონტროლო კომისიებმა დააყენა საკითხი წარმოების თვითღირებულების შესახებ: სამტრედიის ძაფსახვევ ფაბრიკაში, რიონჰესის სამუშაოებზე, ტყიბულის მაღაროებში და თამბაქოს ქარხანაში შეჯიბრების მსვლელობის დროს საწარმოო თათბირების მუშაობაში აღმოჩნდა მთელი რიგი ნაკლოვანებანი, რომლის მოგვარება შეეძლო ადგილობრივ ადმინისტრაციას. მაგ. მაუდის და აბრეშუმის ძაფსახვევ ფაბრიკებში ზოგიერთი მანქანის ნაწილების შეკეთება, ვენტილიაციის მოწყობა, „ფრიზენიტის" საჩარშავის გაფართოება და სხვა. ბარიტის წარმოებაში — ბარიტის გადმოსაზიდი გზის გაკეთება და ტრანსპორტის მოგვარების საკითხი—ტყიბულის მაღაროებში გვირაბის გაწმენდა, დასამაგრებელ მასალის დროზე მოწოდება, სამუშაო იარაღების შეძენა. კირის ქარხანაში ნაგვის გადასაყრელი ვაგონებისათვის ვიწრო ლიანდაგიანი რკინის გზის დაგება და ქარხნისათვის ქვის მიწოდება. თამბაქოს ქარხანაში პაპიროსის კოლოფების თავის დროზე მიწოდება, მუშკოოპის პურის საცხობ ფურნეებში ზოგიერთ ფურნის შეკეთება „ფორსუნკების" მოწყობა და მრავალი ასეთი.

ნაწილობრივ ეს ნაკლი მოგვარებულია, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი დეფექტები აქვს წარმოება-დაწესებულებებს, რომლებიც ხელს უშლის სოციალისტურ შეჯიბრების წარმატებით ჩატარებას. აქვე უნდა ითქვას სიმართლე, რომ სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელები სავსებით მოუმზადებელი შეხვდნენ შეჯიბრებას და სამწუხაროდ ზოგიერთი მათგანი დღესაც ვერ არის გარკვეული სოციალისტურ შეჯიბრების ამოცანებში. სუსტია აგრეთვე ინჟინერ-ტექნიკოსთა ძალების მონაწილეობა.

ივანე ბუხაიძე.

ჩვენი მიღწევები

(თელავის აბრეშუმის ფაბრიკა)

თელავის აბრეშუმის ძაფ-სახვევი ფაბრიკა გაიხსნა 1926 წელს და ისტორიულ-ფეოდალურ ქალაქის ციხე-გალავნის ნანგრევებზე აღმოცენდა ახალი ქალაქი ინდუსტრიალიზაციის ჩანასახით, რომელიც დღითი-დღე ფართოვდება და სოციალისტურ მშენებლობის ერთ უძლიერეს ფაქტორად ჩაითვლება მთელს კახეთში. ფაბრიკაში ჩაბმულია 300 მეტი მუშა. მუშაობა სწარმოებს ორ წყებად, თვეში მუშავდება 16—17 ათასი კილოგრამი აბრეშუმის პარკი.

1 მაისიდან ფაბრიკა გადაყვანილ იქნა 7 საათის სამუშაო დღეზე, ხოლო 1 ივლისიდან ჩაება სოციალისტურ შეჯიბრებაში და გამოწვეული ჰყავს საქართველოს 4 ასეთივე აბრეშუმის ფაბრიკა.

7 საათის სამუშაო დღეზე გადასვლას და სოც. შეჯიბრებას წინ უძღოდა მთელი რიგი მოსამზადებელი თათბირები და საუბრები. ეხლა, ასეთი მუშაობის ერთი პერიოდის ჩატარების შემდეგ, შესაძლებელი გახდა ჯამის გაკეთება, რამაც ბრწყინვალე შედეგები მოგვცა.

შესადარებლად აღებულია მიმდინარე წლის ივლისი გასულ 1928 წლის ივლისთან, როცა ერთნაირ პირობებში სწარმოებდა მუშაობა ნედლ პარკზე. 1928 წლის ივლისი 8 საათის აუზ-დღის საშუალო ნაყოფიერება უდრიდა—695,4 გრამს. ხოლო 1929 წ. ივლისის 7 საათის უდრის 739,8 გრამს, ე. ი. შრომის ნაყოფიერება გაზრდილა 6,3 პროცენტით. აუზ-საათის ნაყოფიერება კი 1928 წ. ივლისში იყო 90 გრ. 1929 წლის ივლისში არის 108 გრ. ე. ი. 20 პროცენტით მეტი.

საერთო პროდუქციის გამომუშავება ერთ-კაცს დღეში ომის წინა დროის მანეთებში — 1928 წ. ივლისში იყო 6 მან. 06 კაპ. ხოლო 1929 წ. ივლისში არის 6 მან. 26 კა. ე. ი. გაიზარდა 25,9 პროცენტით. ამავე 10 თვის განმავლობაში წარსულ წელს თუ ერთ-კაც დღეში პროდუქციის ღირებულება გამოიხატებოდა ომის წინა დროის მანეთებში 4 მან. 34 კ., წელს გაიზარდა 5 მ. და 25 კ. ე. ი. 21,7 პროცენტით. ამნაირად შარშანდელთან შედარებით წელს ყველა დარგში დიდი მიღწევები აქვს ჩვენს ფაბრიკას.

რაც შეეხება საერთო წლიურ საწ. გეგმის შესრულებას, შარშან 10 თვეში შესრულებული იყო 82,2 პროც., ხოლო წელს 1 ოქტომბრიდან 1 აგვისტომდე, ე. ი. 10 თვეში უკვე შესრულებულია 99,9 პროცენტი, თითქმის 100 პროც., და ორ მომავალ თვეში კიდევ 100 პროცენტს გადააჭარბებს.

ასეთი ბრწყინვალე მიღწევები აიხსნება, ჯერ ერთი ფაბრიკის მუშების შეგნებულად შეხვედრით, როგორც 7 ს. სამუშაო დღეზე გადასვლის, ისე სოც. შეჯიბრებისადმი. შემდეგ შრომის პირობების გაუმჯობესებით, მუშახელის კვალიფიკაციის აწევით და მათ შორის დისციპლინის განმტკიცებით.

შარშან 10 თვეში ქარხანაში არა საპატიო მიზეზით გაცდენილია 585 კაცდღე, წელს 1 ოქტომბრიდან 10 თვეში გაცდენილია მხოლოდ 115 კაც-დღე.

1928—29 საბიუჯეტო წლის პირველ ნახევრის მიღწევებისათვის ოზურგეთის, ხონის, სამტრედიის და ქუთაისის ასეთივე ფაბრიკებთან შედარებით თელავის ფაბრიკას მიღებული აქვს ჯილდო—გარდამავალი დროშა. ამ დროშის მიღების დროს, ფაბრიკის მუშებმა აღთქმა დადეს, რომ არ დაზოგავენ მუშაობას, შრომას და ენერგიას ამ დროშის საბოლოოდ შენარჩუნებისათვის.

ფაბრიკის წითელ დირექტორად ამჟამად იმყოფება დაწინაურებული მუშა-ზეინკალი ამხ. ნ. ნონიკაშვილი, რომელიც ღირსეულად უძღვება საქმეს.

ვან—ლი.

ასეთი მუშაობით შორს ვერ წავალთ

(წერილი აცანიდან)

აცანის თემში ამჟამად მიმდინარეობს ჩაის ქარხნის მშენებლობა. უნდა ითქვას, რომ საერთოდ აღმშენებლობის დარგში საქმე ვერ არის თავის დონეზე დაყენებული. სახელმწიფო ფულების რაციონალურად გამოყენების ნაკლები ყურადღება აქვს მიპყრობილი. ადგილობრივი ტრესტი და საბჭოთა ორგანოები ხშირად ხელს უწყობენ ზედმეტ და უმიზნო ხარჯების გაწევას. აი ამის მაგალითები:

მასალების ამოსაზიდათ საჭირო იყო გზის შეკეთება. შესაკეთებლად გამოყვანილი იქნა ადგილობრივი მოსახლეობიდან 20 მუშა. მუშებმა იმუშავეს დაახლოებით 1 საათი, რის შემდეგ ინჟინერი ეკითხება მუშებს თუ რამდენი გამოუწერონ მათ ფული. თხოვენ დღის ხელფასს, ადმინისტრაცია ეთანხმება ამაზე და უწერება მათ თითო დღის ხელფასი. გარდა ამისა როგორც გამოირკვა აღმშენებელთა ხელმძღვანელებს ორი კაცისათვის გამოუწერია 11—15 დღის ფული უკანასკნელი დღის მუშაობის გამო. ალბად ასეთ შემთხვევას კიდევ ექნება ადგილი.

ადმინისტრაცია სისტემატიურად ხსნის მუშებს სამუშაოდან და აგზავნის მათ მარწყვისა და სხვა ხილეულის საჭმეზე. ყველა ამას ადგილობრივი ხელისუფლება ნაკლებ ყურადღებას აქცევს.

თემში შექმნილია ძლიერი უკმაყოფილება, როგორც პარტწევრებში, ისე უპარტიო მასაში. თემკომის მდივანი მუშაობს შეთავსებით საკრედიტო ამხანაგობის გამგეობის თავმჯდომარეთ. იგი უხეშად ეპყრობა ადგილობრივ საქმეს. როგორც საქმიდან სჩანს გურკომის მიერ 1928 წელში აღძრული ყოფილა შუამდგომლობა საქართველოს „ჩაი"-ს წინაშე, რათა ბეგლარ ქინქლაძის ძმა ემელიანე ქინქლაძე დაწესებული ყოფილიყო ქარხანაში უფროს მუშად. ამის შესახებ მიწერილობა მისულა ქარხნის გამგეს ქ. ნინიძეს, რომელსაც თავის მხრივ აღუძრავს შუამდგომლობა საქართველოს „ჩაი"-ში ამის შესახებ საქართველოს „ჩაი"-ს შუამდგომლობა არ დაუდასტურებია და ამის გამო ბეგლარს ჩხუბი დაუწყია. ყველა ასეთი შემთხვევებით ქარხანაში შექმნილია ინტრიგა, რომელიც აფერხებს ყოველდღიურ მუშაობას.

საქ. „ჩაი"-ს აქვს ფული საკრედიტო ამხანაგობაში სათანადო ხელშეკრულებით, რისთვისაც საქართველოს „ჩაი" იხდის 3 პროცენტს. 1 ივნისისათვის საკრედიტო ამხანაგობაში „ჩაი"-ს თანხა უდრიდა 3.500 მან., მაგრამ კასაში ფული სრულებით არ აღმოჩნდა. ეს თანხა მას დაუხარჯავს საკრედიტო ამხანაგობის სხვა ოპერაციებისათვის.

ქარხანაში 6 თვის განმავლობაში მხოლოდ 2 კრებაა ჩატარებული. სხვა კომისიების კრება სრულებით არ ყოფილა. ფულად ანგარიშის საქმეში დაუდევრობაა. შემოსული 110 მანეთი შემოსავალში არ არის გატარებული.

გარდა ამისა როგორც კერძო საუბარში განაცხადეს მუშებმა ბეგლარ ქინქლაძე გაკულაკებულია; მაგ.: მას შეუძენია 4 თვალი სახლი, 2 ძროხა, 12 ხარი, 150 მანეთიანი შკაფი. კედლის სარკე, სტოლი და სხვა ავეჯეულობა. ასეთი პიროვნება რასაკვირველია, რომ საქმეს ვერ წაიყვანს სწორ გზაზე.

დ. ხელაძე.

გავაძევოთ უღირსი ელემენტები საბჭოთა აპარატიდან

ზოგიერთი თემაღმასკომების მდივნები ხელს უშლიან ნაყოფიერ მუშაობას

დაუზოგავათ ვამხილოთ ანტისაბჭოთა ელემენტების გამხრწნელი მუშაობის ფაქტები

კანდიდატები დაწესებულებათა წმენდისათვის

(სოფ. საგვაზავო, სენაკის მაზრა)

საგვაზავოს 7 წლედის გამგეთ ითვლება ყოფ. დეკანოზი, ნიკოლოზის დროის, ჯაშუში ნიკო მიმინოშვილი. ხსენებული პიროვნება ცნობილი იყო წინეთ და ეხლაც გაიძვერობით და თავისი საქმის მოხერხებულად დაბოლოებით. ძველ დროში ის ინსპექტორ სუდაკოვის წყალობით ერთ და იმავე დროს მღვდელიც იყო და მასწავლებელიც, რადგან სუდაკოვი მისი ნათლიმამა გახლდათ. [illegible] მთხოვნელ მასწავლებლებმა ეს ბატონის ოლქის მზრუნველს, მაგრამ სუდაკოვმა მასწავლებლების თხოვნა მაგიდის ქვეშ ამოსდო. 1913 წ. დაიწვა ნაესაკოვის ორკლასიანი სკოლის შენობა და კანცელარია, რის მთავარი მიზეზი მიმინოშვილისა და მღ. ჯაველიძის შორის კინკლაობა იყო. დაითხოვეს ყველა მასწავლებლები, სულიერ მამებს კი არას კადრებდენ.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგაც მიმინოშვილმა ერთხანს ატარა ანაფორა, მაგრამ როცა გლეხობამ უარი განუცხადა შენახვაზე, გაიხადა და შეუდგა მასწავლებლობას. პირველად ის სუჯუნის 7 წლედში დანიშნეს გამგეთ, სადაც კინკლაობა დაუწყო ერთგულ მასწავლებელ გ. მიმინოშვილს, რის გამო გადაყვანილ იქნა ონტოფოს 7 წლედში ისევ გამგეთ. 1924 წ. მონაწილეობა მიიღო აგვისტოს ავანტიურაში, ამისთვის სამსახურიდან დაითხოვეს, მაგრამ მალე ამოჰყო თავი საგვაზავოს 7 წლედში გამგის თანამდებობაზე ნათლიმამა ვ. ქობულიას წყალობით. მიმინოშვილი არა პედაგოგიურად ექცევა სკოლაში მისულ მოსწავლეთა მშობლებს: ცარიელი რატომ მოსულხართ, რისთვის არ მომიტანეთ ან ხაჭაპური, ან გადაზელილი, ჩვენ ხომ ვალდებული არა ვართ უფასოთ ვასწავლოთ თქვენს შვილებსო. შარშან 1 მაისს ვ. ქობულია დაპატიჟა თავის სახლში მისი ამალით. ამ კამპანიაში მიმინოშვილს საგრძნობი თანხა დაეხარჯა, მაგრამ რას აგებდა? ის უფრო მეტ მოგებას მოელოდა ქობულიასაგან. ქობულიამ წარადგინა მიმინოშვილი შრომის ორდენზე, მაგრამ განათლების კომისარიატმა გაიგო მისი საიდუმლოება და შუამდგომლობა უკანვე დაუბრუნა საყვედურით. მიმინოშვილმა წელს სიტყვიერი შეურაცყოფა მიაყენა იმავე სკოლის მასწავლებელ ქალს ხაბურზანიას.

მიმინოშვილი მშვენივრად აგვარებს თავის შინაურ საქმეებსაც, ის სახლობდა ისეთი ადგილზე, რომელსაც ბევრი. დღესაც ნატრობს და გადმოსახლდა დ. აბაშის მახლობლად საკუთარი ნამოსახლევის ფონდში გადაურიცხავად. წელს კი ხელი შეუწყო მის შვილსაც მის გვერდით მიწის მიღებაში და დასახლებაში იმ დროს, როდესაც წლობითაა განცხადებები აღმასკომში შემოტანილი ქვრივ-ობლების და უფრო ღარიბებისაგან და უყურადღებოდ დატოვებული.

მიმინოშვილს აღმასკომშიაც გამოუჩნდა მეგობარი ნიკოლოზის დროის ოფიცერი და ამჟამად მასწავლებელი ივ. კაჭარავა, რომელიც ხელს უწყობს ყოველივე საქმის მოგვარებაში. ყველაფერი ეს იცის თემის გლეხობამ და მასწავლებლობამ და სამართლიანად გამოსთქვამენ უკმაყოფილებას. საჭიროა ასეთი პირების გაწმენდა საბჭოთა სკოლებიდან.

„თვალი".

თემაღმასკომის უღირსი მდივანი

(ხუნწის თემი, სენაკის მაზრა)

ხუნწის თემის აღმასკომის მდივნათ მსახურობს ძველი აფერისტი და ქურდების ორგანიზატორი კოლია დიანოსის ძე მონიავა. ამ ვაჟბატონს ბნელი წარსული აქვს. ჯერ კიდევ ნიკოლოზის დროს იყო სასამართლოს ჩინოვნიკი, სადაც ერთის მხრივ ქურდებს ართმევდა ქრთამს, ხოლო მეორეს მხრივ კი გლეხობას, ბოლოს კი მონიავასთან მოტყუებული გლეხობა პირში ჩალა გამოვლებული გამოდიოდა სასამართლოს კარებიდან. ასეთივე „ღვაწლი" მიუძღვის მას ყველგან, სადაც კი იმსახურა.

მონიავამ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ ხანებში გაიტაცა მუშების ფული, რომელიც უნდა დაერიგებია მათთვის წყალში ხეების ჩამოცურებისათვის და 3—4 წლის განმავლობაში მიიმალა. შემდეგ ისევ დაუბრუნდა თავის კუთხეს და თემის უმოქმედო მესვეურების მეოხებით მოახერხა საბჭოთა აპარატში შეძრომა. მათ არ ესმოდათ ალბათ თავიანთი ფუნქციები, მთელი თემის ორგანიზაცია აფერისტის გავლენის ჩიხში იყო მომწყვდეული. ამ ნიადაგზე მან გადაიბირია თემკომის მდივანი ამხ. თოფურია, შეასწავლა კარტის თამაში და ლოთობა, რასაკვირველია, ზოგიერთ უვიც გლეხობის ხარჯზე. ეს ყველაფერი დაუმტკიცდა ამხ. თოფურიას და მონიავასთან კავშირის დაჭერისათვის გამორიცხეს პარტიის რიგებიდან. მონიავა კი კვლავ განაგრძობს თარეშს. საკვირველია აფერისტი რატომ დასტოვეს აღმასკომში, მაგრამ აპარატის წმენდის დროს ალბად მონიავასაც გააძევებენ თემაღმასკომიდან.

გლეხის შვილი.

სასამართლოს მუშაობას აფერხებენ

(ვანი, ქუთაისის მაზრა)

ვანის უბნის სახალხო სასამართლოს მუშაობას ძალზე აფერხებს რაიონში შემავალ აღმასკომების დაუდევრობა და გულგრილობა. სასამართლოს მიერ გაგზავნილი უწყებები ან არ ბარდება დანიშნულებისამებრ, ან თუ ჩაბარდა, სასამართლოს დაგვიანებით უბრუნებენ, დანიშნულ დროის შემდეგ. ასე მოიქცა თემაღმასკომი, რის გამო 15—20 კილომეტრიდან მოსული გლეხები ხშირად საქმის გადადების გამო უკან ბრუნდებიან. ეს გარემოება გლეხობაში სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს.

საყულიის აღმასკომმა მიღებულ უწყებიდან ცალკე გადააწერინა დაბარებულების სახელი და გვარები, აღნიშნულ პირებს გამოუცხადა დაბარებული ხართო, სესიაზე მოსულ მოსამართლეს გადასცეს ხელმოწერილი უწყებები, რის გამო საქმე კვლავ გადაიდო, რაც ყოვლად დაუშვებელია.

მიწის ყიდვა-გაყიდვის შესახებ შედგენილი ზოგიერთი საქმეების დამთავრება ძალიან გაჭიანურებულია პასუხისგებაში მიცემულ პირების გამოუცხადებლობის გამო. სასამართლოს დადგენილება, მათი იძულებითი წესით მოყვანის შესახებ, ყოველთვის ვერ აღწევს მიზანს.

ასეთ პირობებში სასამართლომ როგორ უნდა შეასრულოს მისი მოვალეობა-დანიშნულება? საჭიროა აღმასკომებს მიეცეს გაფრთხილება. ადმინისტრაციამაც დაეხმაროს, რომ სასამართლოს მუშაობა არ იქნეს შეფერხებული.

მეთვალყურე.

ზეკრის თემის „რაინდი"

(ქუთაისის მაზრა)

ზეკრის თემში აღმასკომის მდივნად მსახურობს ქუთაისის მცხოვრები იონა კობახიძე, რომელმაც თემში სახელი გაითქვა სხვადასხვა ხულიგნური გამოსვლებით. ამ ვაჟბატონს თავისი თავი წარმოუდგენია თვითმპყრობელური დროის „მწერლად" და ყოველმხრივ ავიწროვებს მშრომელ მოსახლეობას.

მიმდინარე წლის 24 მაისს, ზეკრის თემის აფთიაქის გამგის მიერ ნაქირავები პლატონ გორგოძის ცხენი, მდივანმა კობახიძემ დამქირავებლისა და პატრონის დაუკითხავად წაიყვანა ჯერ ზეკრის აბანოზე—კავასხოდიდან და შემდეგ მეორე დღეს 50 კილომეტრზე ბაღდათი მოარონია. ცხენის პატრონმა გაასაჩივრა ეს საქმე, მაგრამ ყურადღება არავინ მიაქცია.

გასულ ზამთარში სოფ. ხვალისკურის მცხოვრებ ისიდორე გორგოძეს მოსტაცა ცხენი, წაიყვანა ქუთაისში და მხოლოდ მეშვიდე დღეს 100 კილომეტრის გავლის შემდეგ მოუყვანა პატრონს; ამ დროს კი გლეხი გაჭალებით დარბოდა ზეკარსა და ბაღდათში ცხენის საძებრად. პატრონის მიერ ქირის მოთხოვნაზე კობახიძემ ლანძღვა-გინებით მიმართა გლეხს და ეუბნებოდა: ფულს ვერ მოგცემ, სამაგიეროთ გზის ბეგარაში ჩაგითვლიო. რამდენიმე დღეს უდიერად მოპყრობის გამო ცხენმა კვიცი შვა უდროოდ, მაგრამ დაშინებული გლეხი ვერ ბედავს გასაჩივრებას.

გასულ ზამთარში აღმასკომის მილიციელათ მსახურობდა ვლადიმერ ნატრიაშვილი, რომელიც კობახიძემ ღამით რაღაც დავალებით გაგზავნა სოფ. ხანში, თვად კი წინასწარი განზრახვით შევიდა მილიციელის ოჯახში მოტყუილებით და მოინდომა ძალდატანებით მილიციელის ცოლის გაუპატიურება. ქალმა წინააღმდეგობა გაუწია და ამ ნიადაგზე ჭრილობაც კი მიაყენა მას.

კობახიძემ წინასწარ გაუპატიურების მიზნით დააყენა თავის ცოლშვილის ბინაზე ადგილობრივი სამკითხველოს გამგე ლ. ბ—ძე, როდესაც კობახიძემ თავის განზრახვის პრაქტიკულად განხორციელება სცადა, კოვზი ნაცარში ჩაუვარდა და ქალმა თავს უშველა სხვაგან გადასვლით. კობახიძე მივიდა ამავე თემის სახაზინო დარაბაში მცხოვრებ ქვრივ გაიმოვთან, რომელიც ობლებს ზრდის მეწველი თხების საშუალებით და მოსთხოვა სისტემატიურად მიეწოდებია კობახიძისათვის უფასოდ ყველი და რძე. სამაგიეროთ მე შენს ექიმბაშობრივ მოქმედებას დავფარავო.

ეს ვაჟბატონი ადგილობრივ გლეხობასა და მუშა-მოსამსახურეებში ყოყოჩობს და გაიძახის: სულ დიდი ორი თვე დამრჩენია კიდევ აქ ჩემ განკარგულებაში, მერე თემებს მაინც აუქმებენ და თუნდაც აქ ქვა-ქვაზე დადუღებულაო.

კობახიძის „საგმირო" საქმეები იცის თემსაბჭოს თავმჯდომარემ ალექსანდრე ჯაფარიძემ, მაგრამ ზომების მიღების მაგიერ ძმაბიჭურად ხელს აფარებს. დროა ასეთი ხულიგანი, მკვლავაძისებური „გმირი" და ანტისაბჭოთა ელემენტი მოვაშოროთ საბჭოთა აპარატს.

წითელი ისარი.

ლენრაიონის მუშათა ფართე კონფერენცია

ტრამვაელთა მუშათა კლუბში შეიკრიბა რამოდენიმე ასეული მუშა ლენინის რაიონიდან. მათ უნდა განიხილონ და შეისწავლონ ჩვენი დღევანდელი პოლიტიკური და სამეურნეო მდგომარეობა და ამოცანები.

7 საათი სრულდება. პროფსაბჭოს წარმომადგენელი ამხ. ანთიძე მოკლე შესავალი სიტყვით კონფერენციას გახსნილად აცხადებს. ირჩევენ საქმიან პრეზიდიუმს, სამდივნოს, სამანდატო კომისიას. მუშების წინადადებით საქმიან პრეზიდიუმში ერთხმად ასახელებენ ამავე კონფერენციაზე დამსწრე კომინტერნის წევრს და „როტე ფანე"-ს რედაქტორს ამხ. გირშს. აირჩიეს საპატიო პრეზიდიუმი ამხ. სტალინის, ვოროშილოვის, ორჯონიკიძის, რუძუტაკის, კალინინის, რიკოვის, მოლოტოვის, მამია ორახელაშვილის, ტელმანის, კახიანის, მახარაძის და ლანცუცკის შემადგენლობით.

დღის წესრიგში დასმულია შემდეგი საკითხები: 1) მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობაზე; 2) სახ. მეურნეობის ხუთწლიანი გეგმა.

გერმანიაში პირველი მაისის დღეს მომხდარ ამბებისა და 1 აგვისტოს —საერთაშორისო წითელის დღის ჩატარების შესახებ სიტყვა ეძლევა ამხ. გირშს.

„ამხანაგებო,—ამბობს ამხ. გირში,—ევროპის მუშათა კლასზე კომუნისტური პარტიის გავლენა დღითი-დღე ძლიერდება, მტკიცდება. ევროპის მუშათა მასებში ფართედ შეიჭრა რევოლუციონური მოძრაობის ტალღები და ისინიც თანდათანობით თავს აღწევენ ბურჟუაზიის მაჩანჩალა სოციალ-დემოკრატიის გავლენას. ამის საუკეთესო დამამტკიცებელია ბერლინში პირველ მაისს მომხდარი ამბები, რომლის დროსაც გერმანიის პროლეტარიატის საუკეთესო ნაწილი ერთსულოვნად და გმირულად გაუმკლავდა ბურჟუაზიისა და სოციალ-დემოკრატების მოღალატურ გამოსვლას მუშათა კლასის წინააღმდეგ. ბურჟუაზიას და სოციალ-ფაშისტებს ერთხელ და სამუდამოთ უნდოდათ საშინელი რეპრესიების საშუალებით წამოეჩოქებინათ გერმანიის მუშათა რევოლუციონური ნაწილი, მაგრამ მათ იმედები გაუცრუვდათ, პირველი მაისის ამბებმა უფრო შემჭიდროვა და დარაზმა კომინტერნის დროშის ქვეშ გერმანიის პროლეტარიატი. 1 აგვისტოს ჩატარებამ ყველაფერი ეს ნათელჰყო. მიუხედავათ სოციალ-ლაქიების ცდისა, არ მისცემოდა მუშათა კლასს 1 აგვისტოს გამოსვლის საშუალება, ვეღარ გაბედეს პირველი მაისის ამბების განმეორება და გერმანიის პროლეტარიატმა შესძლო რამოდენიმე ასიათასი მუშის მონაწილეობით ბრწყინვალედ ჩატარებია საერთაშორისო დღე. გერმანიის პროლეტარიატმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ის, მთელი ქვეყნის მუშათა კლასთან ერთად, იბრძვის იმპერიალისტური ხოცვა-ჟლეტის წინააღმდეგ, პროლეტარული სამშობლოს—საბჭოთა კავშირის დასაცავად და მსოფლიო რევოლუციის გასამარჯვებლად".

შემდეგ ვრცელი მოხსენებით საერთაშორისო მდგომარეობაზე გამოდის ს. კ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. მამია ორახელაშვილი.

ამხ. ორახელაშვილი ეხება რა დღევანდელ პერიოდს, აღნიშნავს რომ დღეს საბჭოთა კავშირის მუშათა კლასისათვის უდიდეს ინტერესს წარმოადგენს გაიგოს ის, თუ რა ხდება მთელს ქვეყანაზე.

— ჩვენს ქვეყანაში,—ამბობს ამხ. მამია,— შრომის მეფობაა, სადაც ბატონობს გამარჯვებული პროლეტარიატი, რომელსაც არ შეუძლიან ზურგი შეაქციოს მთელი ქვეყნის რევოლუციონურ მოძრაობას, საბჭოთა კავშირის და მთელი მსოფლიო მუშათა კლასმა სოციალისტური მიჯნა უნდა გადაიტანოს ეხლა სხვა ქვეყანაში, წალეკოს ბურჟუაზიული წესწყობილება და დაამყაროს პროლეტარიატის დიქტატურა.

შემდეგ მომხსენებელი ეხება, თუ რა პირობებში უხდება საბჭოთა კავშირის მშრომელთა ცხოვრება და მუშაობა, რა გვაძლევს პროლეტარული რევოლუციის მოახლოების იმედს, რა არის ომის გამომწვევი მიზეზები, ვინ არიან მომავალი ომის ფალავნები; ეხება აგრეთვე ჰააგის კონფერენციაზე იმპერიალისტების ლაყბობას, სოციალ-დემოკრატების გამცემლურ როლს და სხ.

კონფერენციის მეორე სხდომა შესდგება დღეს სალ. 6 საათზე.

უმსგავსოებანი ქობულეთის აგარაკზე

წელს აგარაკ ქობულეთს დიდძალი ხალხი მოაწყდა (უკვე გატარებულია რეგისტრაციაში 13.000 კაცი). ამით ისარგებლეს კერძო ბინების პატრონებმა,—საშინლად აჭირვებენ ბინების დამქირავებლებს. თუ წინა წლებში ბინას დაიქირავებდით 20—30 მანეთად, ეხლა 60, 80 და 100 მანეთი უნდა მისცეთ ამავე ბინაში. ხშირია შემთხვევა, რომ მოაგარაკეს დაუქირავებია ბინა თვეში 30—40 მანეთად, მაგრამ შემდეგ თვეში ბინის პატრონი ქირას უმატებს,—ვინც არ თანხმდება მომატებაზე, მას გარეთ მიერეკებიან. არის ისეთი შემთხვევებიც, როცა მოაგარაკე წინდაწინვე შეუთანხმდა ბინის პატრონს და უტოვებს მას ბეს, მაგრამ მიუხედავად ამისა, თუ შემდეგში ვინმე მეტი შეაძლია, შეთანხმება ირღვევა, ბინა სხვას ეძლევა. ერთი სიტყვით ბინების პატრონები ყოვლად უმსგავსო სპეკულიაციას ეწევიან. საჭიროა ასეთი თავაშვებული ბინის პატრონები პასუხისგებაში იქნან მიცემული. საერთოდ კი ბინებზე დაწესებული უნდა იქნას მტკიცე ქირა, როგორც ეს არის საკურორტო სამმართველოს ბინებზე.

რანაირ მდგომარეობაშია ქობულეთის აგარაკი სანიტარული მხრით? ქუჩები, ბაზრის მოედანი, ბინები, ეზოები და განსაკუთრებით საპირფარეშოები აუწერელ ანტისანიტარულ მდგომარეობაშია. ასეთ მდგომარეობას არავინ აქცევს ყურადღებას, არც ჯანმრთელობის კომისარიატი და არც შინსახკომი. ღამე მოაგარაკენი ფანჯარას ვერ აღებენ, რადგან ირგვლივ უსუფთაობის სუნი დგას.

ზღვის ნაპირებიც, სადაც უამრავი ხალხი იყრის თავს მზის ვანების მისაღებათ, ძალიან ჩაბინძურებულია.

არ არის მოწესრიგებული სურსათ-სანოვაგის საქმეც, ქობულეთში რძის დიდი მოთხოვნილებაა, მუშკოოპი ყველას ვერ აკმაყოფილებს, არის დიდი რიგები, და მასთან, რაც ყველაზე უფრო დიდი დანაშაულობაა, ეს ის, რომ ყიდიან წყალნარევ რძეს. ამ მხრივ არც მუშკოოპის რძე შეიძლება ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად.

პური ცხვება ცუდათ. ამას გარდა უნდა გადიდდეს პურის გასაყიდი პუნქტების რაოდენობა, რომ დიდი რიგები მოიშალოს.

არის ორი-სამი კერძო სასადილო, რომელნიც ცუდათ აკეთებენ კერძს და ძვირადაც ვაჭრობენ. კარგი იქნება მუშკოოპმა ორ-სამ ადგილას გახსნას სასადილო, საიდანაც მოაგარაკენი უმთავრესად სახლში წაიღებენ სადილს. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ აგარაკ ქობულეთის მუშკოოპი ვერ უწევს ისეთ სამსახურს მოაგარაკეებს, როგორც ეს საჭიროა. ქობულეთის მოაგარაკეებს სურსათ-სანოვაგეს უმთავრესად კერძო ვაჭრები აწვდიან. ორი-სამი თვით ქობულეთში საზოგადო სამრეცხაო კარგათ იმუშავებდა, მაგრამ ამაზე არავის უფიქრია.

აჭარისტანის საკურორტო სამმართველოს აგარაკ ქობულეთში აქვს პარკი ბუფეტით, მაგრამ, სამწუხაროდ, ხსენებულ პარკში არ არის საჭირო რაოდენობის ჭურჭლეულობა და ავეჯეულობა, რაც იწვევს უკმაყოფილებას მოაგარაკეებში.

ერთი სიტყვით საჭიროა ამ მცირე შენიშვნას დროზე გამოეხმაურონ ყველა ორგანიზაციები—„უკეთესია გვიან ვიდრე არასდროს". ქობულეთის აგარაკი ღირსია იმის, რომ მას შესაფერი ყურადღება მიაქციონ.

ქ. ხომერიკი.

პელაგრასთან ბრძოლა

ჩვენს პრესაში არა ერთხელ იყო მოთავსებული წერილები მალარიასა და სხვა ტროპიკულ სნეულებებზე, რომლებიც ასუსტებენ ჩვენი მოსახლეობის ჯანმრთელობას. დღეს ამ სნეულებებს შეგვიძლია მივუმატოთ კიდევ ერთი ავადმყოფობა—პელაგრა, რომლის შესახებაც ჩვენს პრესაში ჯერ-ჯერობით არაფერი დაწერილა, გარდა უმნიშვნელო შენიშვნებისა, რომლებშიც ლაპარაკია პელაგრის ფართოდ გავრცელების შესახებ დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონში. ამჟამად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენში პელაგრის ეპიდემია არის ზუგდიდის მაზრაში, სადაც ავადმყოფთა რიცხვი ათასს აღემატება; ავადმყოფები აღრიცხულია ზუგდიდის ტროპიკული სადგურის მიერ. ზუგდიდის ტროპსადგური, რომელსაც ექიმი ჩხოლარია ხელმძღვანელობს, აწარმოებს ენერგიულ მუშაობას. მან ჯერ კიდევ მაისში თბილისში შემდგარ სამალარიო კონფერენციაზე მოიყვანა მრავალი მითითება, რომლებითაც დასტურდებოდა პელაგრის არსებობა ზუგდიდის მაზრაში. ექ. ჩხოლარია, რომელიც აწარმოებდა მუშაობას იმის გამოსაკვლევად, თუ რამდენადაა დაავადებული მოსახლეობა მუცლის ჭიით, წააწყდა მასიურ დაავადებას პელაგრით, რომელიც მეტად იშვიათ ავადმყოფობათ ითვლებოდა. ჩვენში პელაგრა პირველად აღწერა ექიმმა გაუდელიძემ, ხოლო შემდეგ ექიმმა მზარეულოვმა. აღწერილია სულ სამი შემთხვევა. 1923 წელში ექიმმა მახვილაძემ აღწერა პელაგრის რამდენიმე ათეული შემთხვევა, რომელთაც ადგილი ჰქონდათ ჩოხატაურში, ოზურგეთის მაზრაში. მან უკვე მაშინ გამოსთქვა აზრი—შეიძლება ჩვენში პელაგრით დაავადებულთა დიდი რაოდენობა იყოსო. ამ რაიონების უკანასკნელი გამოკვლევა ადასტურებს იმ გარემოებას, რომ იქ პელაგრით დიდი ხანია დაავადებული არიან და რომ ავადმყოფთა 80 პროც. ქრონიკებია. ეს ავადმყოფები მეტ წილად მიდიოდნენ საექიმო პუნქტებში, სადაც ამ ავადმყოფობას, ეტყობა, კანის ავადმყოფობად სთვლიდენ.

პელაგრა, ზოგიერთი მეცნიერის სიტყვით, ღარიბთა ავადმყოფობაა, ზოგიერთის სიტყვით კი მზის ავადმყოფობა. პელაგრა ლათინური სიტყვაა და ნიშნავს კანი (agria) ხორკლიან კანს, ვინაიდან კანის ფორმა ჩნდება მზის სხივების ზეგავლენით—ერიტემას სახით. კანი რამდენიმე ხნის შემდეგ სქელდება და მუქ-რუხ ან მოშავო ფერად იქერცლება. ავადმყოფობას კიდევ ბევრი სხვა სახელწოდება აქვს.

პელაგრა მძიმე ქრონიკული ავადმყოფობაა, რომლითაც ავადდება იმ რაიონების მოსახლეობა, სადაც მეტ წილად სიმინდით იკვებებიან. ავადდება უმთავრესად მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც საერთოდ სუსტად იკვებება და ერთგვარი, მცენარეული საზრდოთი სარგებლობს. ავადმყოფობის მიზეზი დანამდვილებით გამორკვეული არ არის.

ლიტერატურაში არსებობს მრავალი სხვადასხვა მოსაზრება პელაგრის წარმოშობის შესახებ. ყველაზე ძველი მოსაზრებაა—კვება უვარგისი სიმინდით, რომელსაც უჩნდება ერთგვარი სოკო, რაც სიმინდში ადამიანის ორგანიზმისათვის მავნე შხამს აჩენს. ამჟამად ფიქრობენ, რომ მიზეზი შეიძლება იყოს ავიტამინოზი, ე. ი. ისეთი საჭმელის ხმარება, რომელშიც ვიტამინები არ არის. არსებობს კიდევ პარაზიტარული თეორია. სხვებს ავადმყოფობის მიზეზად მიაჩნიათ ხამი წყალი, რომელშიც სილიკატების დიდი რაოდენობაა, და სხვ.

ავადმყოფობა მიმდინარეობს სხვადასხვა ფორმით, აზიანებს კანს, კუჭ-ნაწლავების ტრაქტს და ნერვიულ სისტემას. დაძველებული, თავმინებებული ავადმყოფობა იწვევს კუჭ-ნაწლავების, კანის და ნერვიულ-ფსიქიურ მძიმე მოვლენებს, რასაც შედეგად სიკვდილი მოსდევს.

ამჟამად ამ ავადმყოფობამ რამდენსამე მაზრაში მასიური ხასიათი მიიღო. ზუგდიდში სამალარიო სადგურის მიერ, როგორც ვსთქვით, აღრიცხულია ათასზე მეტი შემთხვევა. სენაკის მაზრის სოფელ ბანძაში აღრიცხულია 70 პელაგრით ავადმყოფი. ქუთაისის მაზრაში აღრიცხულია 150 ავადმყოფი. ავადმყოფები აღმოჩენილია ოზურგეთის, გორის და სხვა მაზრებში.

პელაგრა მძიმე ქრონიკული ავადმყოფობაა, რომელსაც მოსდევს მძიმე ფსიქიური დაავადება და სრული დეგენერაცია. იგი რაც შეიძლება მალე უნდა იქნას მოსპობილი.

ჯანსახკომმა გამოიკვლია აღნიშნული რაიონები სპეციალური ექსპედიციის საშუალებით, რომელმაც დაადასტურა პელაგრის გავრცელების ფაქტი, რამაც მიიღო ეპიდემიის ხასიათი და რის წინააღმდეგაც საჭიროა დაუყოვნებლივ იქნას დაწყებული ბრძოლა.

ამ მიზნით ჯანსახკომმა, პელაგრის შესახებ არსებულ თანამედროვე მეცნიერული აზრის საფუძველზე, დაამუშავა მთელი რიგი ღონისძიებანი, სახელდობრ:

მოწყობილ უნდა იქნას ორი მეცნიერულ-პრაქტიკული საგამოკვლევო ექსპედიცია, რომელშიც შევლენ: ტერაპევტი, ნევროპათოლოგი, დერმატოლოგი, სეროლოგი, ჰემატოლოგი და ჰიგიენისტი. ექსპედიციები იმუშავებენ ზუგდიდში, სენაკში, ოზურგეთში და ქუთაისში.

პრაქტიკული დახმარება მოსახლეობას აღმოეჩინება ადგილებზე უმთავრესად საკვები პუნქტების მოწყობით, მკურნალობით და ცხოვრების სანიტარულ-ჰიგიენურ პირობების გაუმჯობესებით.

საკვებ პუნქტებზე, მეტადრე ღარიბს მოსახლეობისათვის უნდა მოწყობილ იქნას დიეტეტიური და საერთო სუფრა და აგრეთვე მიწოდება დაავადებულ მოსახლეობისათვის სათანადო სანოვაგისა, სახელდობრ: უმი ხორცის წვენი, ადუღებული რძე, ყურძნის წვენი, ბრინჯის ქატო, სტაფილოს წვენი, კარტოფილი, მწვანეულობა, ხილეულობის წვენი, გამომცხვარი პური და სხვა. უნდა მოეწყოს მომარაგება მედიკამენტებით: მიშიაკი, ოსარსოლი, ფიტინი, თევზის ქონი, ქინა-ქინა, ტიმოლი, ქინოჰხოლდიუმი, ლუმინალი, ხლორისტიკალები და სხვა.

უნდა მოეწყოს საშუალო საექიმო პერსონალიდან შემდგარი რაზმები, რომლებიც ექიმის მეთვალყურეობით უშუალოთ სამკურნ. დახმარებას აღმოუჩენენ დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა რაიონებში დაფანტულ ავადმყოფთ. ყოველ თვითეულ პელაგრით დაავადებულ მაზრაში ასეთი რაზმები უნდა მოეწყოს ოთხ-ოთხი.

სტაციონალური დახმარება უნდა გაუწიონ ადგილებზე სამაზრო საავადმყოფოებმა, რომლებიც უნდა გადიდებულ იქნან 20 საწოლით მძიმე ავადმყოფთათვის. საწოლები გამოყოფილ უნდა იქნან თბილისის კლინიკებშიაც, სადაც ადგილებიდან უნდა გადიგზავნონ ისეთი ავადმყოფები, რომლებიც საინტერესო იქნებიან სამეცნიერო-პრაქტიკული მხრივ.

სანიტარულ განათლების ორგანომ უნდა გამოსცეს პოპულიარული ბროშურები, პლაკატები, დარიგებები და სხვა.

პროფილაქტიკის მიზნით ავადმყოფთ უნდა მიეცეს წითელი ფერის ქსოვილი, რომ დაიფარონ ახდილი სხეულის ნაწილები ულტრა იისფერი სხივების ზეგავლენისაგან.

სიმინდი უნდა ინახებოდეს ისეთ ადგილას, რომლის განიავება შეიძლება. საეჭვო სიმინდი უნდა მოიხალოს ცეცხლზე ან ჩაიშვას ადუღებულ წყალში, რის შემდეგ უნდა გაშრეს და ისე იხმარებოდეს საჭმელში.

ავადმყოფთ უნდა აეკრძალოს სიმინდის ხმარება და წინადადება მიეცეთ ისარგებლონ საკვები პუნქტებიდან მიღებულ სანოვაგით.

უნდა შემოღებულ იქნას პელაგრით დაავადებულთა განსაკუთრებული აღრიცხვა და რეგისტრაცია. პელაგრასთან ბრძოლაში უნდა ჩაბმულ იქნან მშრომელთა ფართო მასები და საბჭოთა საზოგადოებრიობა.

ყველა ეს ღონისძიება თხოულობს განსაკუთრებულ ხარჯებს და ამიტომ პელაგრას საწინააღმდეგო ბრძოლაში, ისევე როგორც მალარიის წინააღმდეგ, მონაწილეობა უნდა მიიღოს ყველა ორგანომ, ვისაც კი კავშირი აქვს მოსახლეობის ჯანმრთელობის და მეტადრე მოსახლეობის ნორმალურ კვების საკითხებთან.

იძ. ნაზარეტიანი.

წითელი არმიის მანევრების წინ

მანევრები წითელი არმიის საომარი მომზადების და ძლიერების დემონსტრაციაა

წინ! ახალი გამარჯვებისაკენ

ამხანაგო წითელ-არმიელებო!

ჩვენი ქვეყანა სოციალისტური მშენებლობის უდიდეს ხანაში იმყოფება. ლენინის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, მუშათა კლასი ფართო სოციალისტურ მშენებლობას აწარმოებს. ამ მუშაობაში მუშათა კლასი ემყარება ღარიბ გლეხობას და კავშირი აქვს სოფლის მშრომელთა ძირითად მასებთან—საშუალო გლეხობასთან. შენდება ახალი ქარხნები, ფართოდ ვითარდება კოლექტიურ მეურნეობათა მშენებლობა.

უდიდეს სოციალისტურ მშენებლობის ასეთ დროს, როცა ხდება კაპიტალიზმის ფესვების ამოფხვრა, როცა ქვეყნის შიგნით კლასობრივი ბრძოლა მწვავე ხასიათს იღებს,—ასეთ პირობებში მსოფლიო იმპერიალიზმი გაფაციცებით ემზადება ახალი ომებისთვის.

ომის საშიშროება დღეს განსაკუთრებით თვალსაჩინო ხდება, ომის საშიშროება დღეს მეტია. ვიდრე ოდესმე ყოფილა.

ვის წინააღმდეგ ემზადებიან საომრად იმპერიალისტები?.

გახსოვდეთ, ამხანაგო წითელ-არმიელებო, რომ ისინი ემზადებიან საომრად, უპირველეს ყოვლისა საბჭოთა ქვეყნის წინააღმდეგ.

ყველა ქვეყნების კაპიტალისტებმა იციან, თუ რა საფრთხეს უმზადებს კაპიტალიზმის არსებობას საბჭოთა კავშირის გაძლიერება, როცა საერთაშორისო პროლეტარიატის რევოლუციონური ბრძოლა თანდათან ღრმავდება და ფართო ხასიათს იღებს.

იმპერიალისტების საომარი მზადების საპასუხოდ, გავაძლიეროთ ჩვენი მუშაობა სოციალისტური მშენებლობის საქმეში, გავაძლიეროთ ჩვენი სამხედრო მომზადება.

ჩვენი ეხლანდელი მანევრები შემოწმებაა იმის, თუ როგორია კავკასიის წითელ-დროშოვანი არმიის ნაწილების სამხედრო მომზადება.

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური და თბილისის კომიტეტები და საქართველოს პროფესიონალური კავშირების საბჭო ღრმად არიან დარწმუნებული, რომ კავკასიის წითელდროშოვან არმიის მებრძოლნი და მეთაურთა შემადგენლობა სრულის შეგნებით შეხვდებიან მათ წინაშე მდგომ ამოცანებს და ამ.-კავკასიის მშრომელთა მასებს დაანახვებენ თავის საომარ და პოლიტიკურ მომზადებას.

კავკასიის წითელდროშოვან არმიის მებრძოლნო!

გახსოვდეთ: ამიერ-კავკასიის სოც. ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკის მშრომელთა მასების ძმობა-ერთობაზეა დამოკიდებული საბჭოთა ხელისუფლების ძლიერება. მხოლოდ მშრომელთა ერთობას ძალუძს უზრუნველჰყოს კულტურული და სოციალისტური მშენებლობა, როგორც ამიერ-კავკასიის ფედერ. საბჭოთა რესპუბლიკაში საერთოდ, ისე ყოველ ცალკე რესპუბლიკაში.

თქვენი მანევრები არის კავკასიის წითელ-დროშოვან არმიის საომარი მომზადების და ძლიერების დემონსტრაცია.

ეს მანევრები უნდა გადაიქცეს ინტერნაციონალური კავშირის დემონსტრაციათ, რომელიც საქართველოს მუშებსა და გლეხებს აერთებს ამიერ-კავკასიის მშრომელთა მასებთან მრავალ ეროვნებათაგან შემდგარ კავკასიის წითელდროშოვან არმიის სახით.

ამხანაგო წითელარმიელებო!

გააძლიერეთ ქვეყნის და წითელი არმიის საომარი მომზადება, განამტკიცეთ მშრომელთა ერთობა!

მანევრების დროს თქვენ საშუალება გაქვთ საქმით დაანახვოთ ეს მშრომელთა მასებს. წითელი არმია არის მშრომელთა სამხედრო და პოლიტიკური მომზადების სკოლა.

უჩვენეთ საქართველოს მშრომელ მასებს, რას გასწავლიდენ წითელ არმიაში, როცა გამზადებდენ როგორც არა მარტო მეომარს, არამედ მოქალაქესაც.

დაეხმარეთ, რომ ღარიბი გლეხები კოლექტივებში ჩაეწერონ თქვენი რჩევა-დარიგებით, დაეხმარეთ კოოპერაციას, კოლექტიურ მეურნეობას.

ხელი შეუწყეთ სოფლად საბჭოთა და კულტურულ-განმანათლებელი მუშაობის გაუმჯობესებას. თქვენმა მოქმედებამ უნდა გამოიწვიოს ძმური შეხვედრა საქართველოს მშრომელთა მხრივ.

მუშებისა და გლეხების სახელით საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური და თბილისის კომიტეტები და საქართველოს პროფესიონალურ კავშირების საბჭო თქვენი სახით სალამს უძღვნიან მუშურ-გლეხურ არმიას და ამიერ-კავკასიის მშრომელთა ერთობას!

გაუმარჯოს კავკასიის წითელდროშოვან არმიას!

გაუმარჯოს მუშებისა და გლეხების ბელადსა და ხელმძღვანელს—კომუნისტურ პარტიას!

წინ, ახალი გამარჯვებისაკენ, სოციალისტური მშენებლობის და ქვეყნის თავდაცვის გაძლიერების ფრონტზე!

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრ. და თბილისის კომიტეტები.

საქ. პროფკავშირთა საბჭო.

ათასეულებში იქნება კავშირის განყოფილებები და მძიმე და მსუბუქი მეტყვიამფრქვევთა გუნდები.

ათასეულები და ცალკე განაყოფები უზრუნველყოფილ იქნებიან მეთაურებით და პოლიტხელმძღვანელებით.

ათასეულების გარდა მანევრებში მიიღებენ მონაწილეობას მუშათა სპეციალური ნაწილები.

ავიაქიმის თბილისის საბჭო გზავნის მანევრებზე ქალების საკავშირო წრეს, ველოსიპედისტების ჯგუფს და მეტრედეთა 3 ჯგუფს. მანევრებზე ავიაქიმის თბილისის საბჭოს მიერ მივლინებული იქნება სამი ავიაქიმური ჯგუფი, რომლებსაც გამოჰყოფენ თავის შემადგენლობიდან თბილისის ქიმიური რაზმები.

ავიაქიმიური ჯგუფები უზრუნველყოფილ იქნებიან საჭირო ტანსაცმელით, იარაღით და ხელსაწყოებით.

მეთაურებს ქიმიურ ჯგუფებისათვის გამოჰყოფენ ავიაქიმიური რაზმები.

ავიაქიმიური ჯგუფები მანევრებზე შეასრულებენ სხვადასხვა სახის სამუშაოს, როგორიც არის გაზებით მოწამლული არე-მარის გასუფთავება (დეგაზაცია), ქიმიური პუნქტების მოწყობა და სხვა.

ავიაქიმიური ჯგუფების შედგენა უნდა დამთავრდეს 26 აგვისტოს. 28 აგვისტოს ავიაქიმის თბილისის საბჭო მოახდენს ჯგუფების შემოწმებას, თუ რამდენათ მომზადებულნი არიან ისინი მანევრებში მონაწილეობის მისაღებად.

—:—

მანევრების დაწყების წინ გამოშვებული იქნება ჟურნალ „ავიაქიმელი"-ს სპეციალური ნომერი, რომელშიაც მოთავსებული იქნება წერილები მანევრების შესახებ.

—:—

21 აგვისტოს მოწვეულია მუშათა ათასეულების და სპეციალური ნაწილების მეთაურთა თათბირი, რომელიც განიხილავს ხსენებულ ნაწილების მანევრებში მონაწილეობის საკითხს.

—:—

ავიაქიმის თბილისის საბჭომ გამოჰყო სპეციალური კომისია, რომელსაც დაავალა ადევნოს თვალყური მუშათა ათასეულების ორგანიზაციას.

კომისიაში შედიან ამხ. დოიჯაშვილი (თავმჯდომარე), თავაძე, სალირაშვილი და მაჭავარიანი (წევრები).

—:—

რადიოს მოყვარულთა საზოგადოება მანევრებზე გზავნის რადიო-ვაგონს, რომელშიაც დადგმული იქნება რადიო მიმღები და გადამცემი სადგური.

ხსენებული საზოგადოების მიერ მანევრებზე მივლინებული იქნება 15 წევრი.

სამზადისი მანევრებისათვის

ავიაქიმის ორგანიზაციები უკვე შეუდგნენ მუშაობას მუშათა ათასეულების შესადგენით.

თბილისის ავიაქიმი გზავნის მანევრებზე ორ ათასეულს.

პირველი ათასეულში შევა 2 ასეული ლენრაიონიდან და 1 ასეული ქალაქის რაიონიდან.

მეორე ათასეულში შევა 2 ასეული „26 კომუნარის" სახ. რაიონიდან და 1 ასეული ქალაქის რაიონიდან.



მანევრების წინ. № საკავშირო ასეული საველე მეცადინეობაზე

სად იწარმოებს მანევრები

კავკასიის წითელ-დროშოვან არმიის დიდი მანევრები იწარმოებს საქართველოს ტერიტორიაზე გორის და თბილისის ოლქების საზღვრებში.

მანევრების რაიონში არ არის შეტანილი თბილისის ოლქის სამხრეთი ნაწილი (ყოფ. ბორჩალოს მაზრა).

მანევრების რაიონის დიდი ნაწილი მდებარეობს მდ. მტკვრის ხეობაში.

წითელი ჯარის ნაწილები, რომლებიც ღებულობენ მონაწილეობას მანევრებში, შეუდგნენ მანევრების რაიონის საფუძვლიან შესწავლას. არმიელები და მეთაურნი ეცნობიან რაიონის ადგილ-მდებარეობას, მოსახლეობას, მცხოვრებთა საქმიანობას და სხვა.

რაიონის შესწავლა აუცილებელია მანევრების ყველა მონაწილისათვის, რადგან რაიონის ცოდნა დიდათ გაუადვილებს მათ მუშაობას და შეუწყობს ხელს ამა თუ იმ ნაწილის თავისუფალ მოქმედებას.

მუშათა ათასეულები, რომლების შედგენასაც შეუდგა საქ. ავიაქიმი, აუცილებლად უნდა გაეცნონ მანევრების რაიონს, რათა ჰქონდეთ შესაძლებლობა თავისუფლად იმოქმედონ „ბრძოლის" ველზე.

მორიგი გაწვევა წითელ ჯარში

გამოქვეყნებულია თბილისის აღმასრულებელი კომიტეტის და სამხედრო კომისარიატის განცხადება 1907 წელში დაბადებულთა გაწვევის შესახებ წითელი ჯარის რიგებში.

გაწვევა ეხება აგრეთვე 1901, 1902, 1903, 1904, 1905 და 1906 წელში დაბადებულ იმ მოქალაქეებს, რომლებსაც გასული წლების გაწვევის დროს რაიმე მიზეზის გამო გაუგრძელდა ჯარში გაწვევის ვადა.

გაწვევისაგან თავისუფალნი არიან ის მოქალაქენი, რომლებიც უკვე მსახურობენ წითელ ჯარში და სახ.პოლიტსამმართველოს ჯარებში.

გაწვევა არ ეხება 1907 წელში დაბადებულ მოსწავლეებს, რომლებსაც გაუგრძელდათ წელს ჯარში გაწვევის ვადა.

ჯარში გაწვევა თბილისში იწყება 2 სექტემბერს.

გასაწვევი ახალგაზრდები ვალდებულნი არიან გამოცხადდენ შესკრებ პუნქტებზე სამხ. კომისარიატის მიერ გამოცხადებულ ვადებზე. ყოველი გასაწვევი ახალგაზრდა მიიღებს პირად გასაწვევ ბარათს. იმ შემთხვევაში, თუ რაიმე მიზეზის გამო ბარათი არ იქნა მიტანილი გასაწვევის ბინაზე, გასაწვევმა იგი უნდა მოიკითხოს სათანადო სამილიციო რაიონში. ბარათში აღნიშნულია გაწვევის დღე, საათი და ადგილი.

ყველა სახელმწიფო, საზოგადო და კერძო დაწესებულებები და წარმოებები ვალდებულნი არიან განთავისუფლონ დროებითი გასაწვევი ახალგაზრდები გაწვევაზე გამოსაცხადებლად.

1907 წელში დაბადებული ის ახალგაზრდები, რომლებიც არ გამოცხადდებიან გაწვევაზე, ან ეცდებიან თავიდან აიცილონ გაწვევა, მიცემულ იქნებიან პასუხისგებაში. პასუხისგებაში მიიცემიან ის მოქალაქენიც, რომლებიც შემჩნეული იქნებიან ჯარში გაწვევისაგან მორიდებულ ან დეზერტირ მოქალაქის ხელის შეწყობაში ან დაფარვაში.

—

თბილისის 1-ლ სამილიციო უბანში მცხოვრები გასაწვევი ახალგაზრდები უნდა მოცხადდნენ საექიმო შემოწმებაზე 2, 3, 4, 5, 6 და 7 სექტემბერს დილის 7 საათზე 1-ლი სამილიციო უბნის სამმართველოში (საბჭოს ქუჩა — № 141).

—

20 აგვისტოს მოწვეულია მე-5 სამილიციო უბანში მცხოვრებ გასაწვევ ახალგაზრდების კონფერენცია.

—:—

გარე-კახეთის რაიონში ჯარში გაწვევა დაიწყება 5 სექტემბერს და გასტანს 5 დღეს.

უთავბოლო მუშაობა

აზნავთშენის მე-5 უბანში

აზნავთშენის მუშაობაში, რომ ადგილი აქვს შრომის დისციპლინის დარღვევას და სამუშაო დღეების მასიურ გაცდენას, ეს არავისათვის საეჭვო არ არის. მიუხედავად იმისა, რომ უბანმა სოცშეჯიბრებაში გამოიწვია სხვა უბანი, [illegible] ერთ რეალურ შედეგისათვის არ მიუღწევია. პირიქით, ადგილი აქვს წარსულ თვეებთან შედარებით მდგომარეობის უფრო გაუარესებას. დავასახელოთ ფაქტები:

ამჟამად სწარმოებს ორმოების (თხრილების) გაჭრა და მილების შეღება. მიწის თხრას აწარმოებენ არტელები, რომელთა შემადგენლობის უმრავლესობა არ არის დაინტერესებული წარმოებით და უფრო ცუღლუტობაში ატარებენ დროს. უბანში არსებობს, რაღაც ბნელი ჯგუფი, რომელიც დადის ხაზზე და ხელს უშლის წესიერ მუშაობას. უწევენ აგიტაციას მიწის მთხრელებში და მოითხოვენ ისეთ სამუშაო პირობების შემოღებას, რომელიც არ არის კოლხელშეკრულებით გათვალისწინებული. ხაზზე დადის მოხეტიალე-შემთხვევითი ხალხი. დაიწყებენ ერთ ადგილზე მუშაობას და თავის წარმომადგენელს გაგზავნიან კანტორაში ავანსების მისაღებად. ადმინისტრაცია არ უშვრის ასეთ ავანსებს. ისინი მიიღებენ თუ არა ავანსს, მიანებებენ თავს მუშაობას და მიდიან სხვა ადგილზე. ასე, რომ ავანსის განაღდება „იწერება ყინულზე".

ხშირია შემთხვევა, როდესაც არტელის ხელმძღვანელები არ ემორჩილებიან ტეხნიკოს და ინჟინერის მითითებებს და თავის ჭკუაზე აწარმოებენ მუშაობას. ამნაირი მოქმედებით მარტო გორის მახლობლად წარმოებამ იზარალა 2.000 მან. ამავე გარემოებით გამოწვეულია ტეხნიკების და გამოცდილი ათისთავების მიერ განცხადებების მასიურად შემოტანა სამუშაოდან განთავისუფლების შესახებ.

მილების საღებავი მეტად ძვირია. ამის გამო მისი დახარჯვა ფრთხილად და ზოგვით უნდა სწარმოებდეს. მაგრამ ეს ასე არ ხდება. მღებავებათ უმეტესად მუშაობენ ადგილობრივი მცხოვრები, არა კვალიფიციური გლეხები, რომლებიც გარდა იმისა, რომ საღებავს უყაირათოდ ხარჯავენ, თავიანთ სახლებსაც და ბოსლებსაც ღებავენ. სოფელში ამჟამად ხშირად ნახავთ „აზნევთი"-ს საღებავით შეღებილ სახლებს. იმ ადგილებში, სადაც მილები მიდის, შეხვდებით შეღებილ ხეებს, ყორეებს, სახლის ყურეს და სხვა.

ამას წინად სადგ. უფლისციხის მახლობლად ხულიგან ცრუ მუშებმა წითელი საღებავით შეღებეს ტელეგრაფის და ტელეფონის ბოძები და ისიც რკინის გზის ლიანდაგზე. იყო შემთხვევა, რომ მატარებელიც გაჩერდა ამ წითელი ნიშნის გამო. რამდენიმე ასეული მანეთი დაუზარალა ადმინისტრაციას, რომ ბოძებიდან ჩამოერეცხა წითელი საღებავი.

საჭირო სამშენებლო მასალის გაფლანგვამ და გატაცებამ მასიური ხასიათი მიიღო. ამ მოვლენას მუშათა კომიტეტი არავითარ ყურადღებას არ აქცევს. იგი კუდში მიჩანჩალებს მეტს არაფერს აკეთებს.

მუშკომის თავმჯდომარე თვითონ არის მოწამე იმისი, რომ დაუზოგავად ანიავებენ აზნავთის ქონებას ზოგიერთი ხულიგანი და ქურდი ელემენტები.. იმის მაგიერ, რომ კავშირმა ასეთი პირები თავის რიგებიდან გარიცხოს, პირიქით, აქეზებენ და სრულიად დაუშვებელ და უკანონო მოთხოვნილებებში მხარს უჭერენ გადაგვარებულ ელემენტებს. არ არსებობს არავითარი აღმზრდელობითი კულტურული მასიური მუშაობა. საწარმოო თათბირი მუშაობს არა მუშკომის ხელმძღვანელობის ქვეშ, არამედ ადმინისტრაციის კარნახითა და ინიციატივით, ამიტომ თათბირის მუშაობაც ძლიერ სუსტია. არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, რომ კავშირს თავისი მსჯავრი დადოს კავშირის უღირს წევრებზე.

სისტემატიური ლოთობა მუშაობის დროს, ხულიგნობა, ქურდობა, უყაირათობა და სრული უპასუხისმგებლობა დავალებულ საქმეების შესრულებაში, სამუშაო დროის სისტემატიური გაცდენა, მავნებლობა და სხვა ასეთი მოვლენები, აი რა ახასიათებს აზნავთშენის სამუშაოებზე დაფანტულ ზოგიერთ მუშებს. კავშირში შეიპარნენ ბობოლა გლეხები და „იყოფილი ხალხი". მოიჯარადრეებიც კი მიიღეს კავშირში (ანდრონიკაშვილი).

სამუშაოების კანტორაში სხედან ქართულის არა მცოდნე ხალხი და მოსულ მუშებს თარჯიმნების საშუალებით უხდებათ საქმის გაკეთება. კანტორის მოხელეთა შტატიც მეტად გაბერილია. მაგ. მე-5 უბნის კანცელარიაში ზოგიერთი თანამშრომლები ისე სხედან, რომ დღეში ერთ ქაღალდსაც არ გადააბრუნებენ. უფლისციხის კანტორაში უფრო უარესი მდგომარეობაა. სამუშაოს მწარმოებელმა მაკაროვმა კანტორაში შეჰყარა „ლამაზი არსებები", რომლებიც ბაქოდან ჩამოიყვანა სპეციალურად. აბა რა მოხელეა აქ მემანქანე და ისიც ას მანეთიანი განაკვეთით, როდესაც დღეში 2—3 მიმართვის მეტი არ იბეჭდება?

აღმშენებელთა კავშირის თბილისის ამბავი გორშიდაც ფეხმოკიდებულია. სამაზრო განყოფილება ერთი კაცით ფიზიკურად ვერ აუდის ამ საქმეს და ამიტომ ძირითადი უჯრედები ძლიერ დაავადმყოფებულია სასტიკი ბიუროკრატიზმით, მასიდან მოწყვეტით და კუდში ჩანჩალით.

კ. შ.

კულაკების ოინები

(თბილისის მაზრა)

როგორც ვიცით, თბილისის მაზრაში 1-ლ ივლისიდან დაიწყო მთლიან სას. სამ. გადასახადთა ობიექტების აღწერა, რომელსაც ყველა თემებს და სოფლებში ხელმძღვანელობას უწევენ სათემო-საალრიცხვო კომისიები. კომისიების შემადგენლობაში ჩაბმული ღარიბი გლეხობა, მოჯამაგირეები და სოფლის აქტივი. მშრომელთა ასეთი დარაზმვა საგადასახადო ობიექტების საალრიცხვო მუშაობას უზრუნველყოფს ობიექტების სისწორით აღნუსხვას, რაც თავიდანვე გახდება სოფლად საგადასახადო პოლიტიკის სწორად გატარების საქმეში.

როგორც ვიცით, სოფლად მუშაობის ერთ-ერთ აქტუალურ საკითხს მიმდინარე პერიოდში წარმოადგენს აღნიშნული საკითხი, რომელსაც ვერ ურიგდებიან სოფლის კულაკური ელემენტები. ისინი შეურიგებლად ებრძვიან ამჟამად მიმდინარე საალრიცხვო კომისიის მუშაობას. კულაკები როგორც ყოველთვის, ისე ეხლაც დარაზმულად გამოდიან და ცდილობენ საალრიცხვო კომისიებს მოახვიონ ფიქტიური ცნობები ობიექტების არასისწორით ჩვენების შესახებ.

აგრეთვე აღსანიშნავია ამ უკანასკნელ პერიოდში კულაკების ღარიბ გლეხობაზე აშკარა შეტევის ფაქტები. მუხრანის თემში, სოფ. ძალისში კულაკები თავგამოდებით იბრძოდენ, ისინი სცდილობდნენ ობიექტების გადამალვას, მაგრამ ღარიბი გლეხობის დახმარებით მჟღავნდებოდა, რამაც გამოიწვია ერთმანეთის შორის დამუქრებაც კულაკების მიერ. კულაკი რუბაშვილი, ბიზარაშვილი, გათენაშვილი და სხვ. ცდილობდენ ობიექტების გადამალვას, რასაც ღარიბი გლეხობა ხშირ შემთხვევაში პირისპირ ამჟღავნებდა, რომელზედაც აღნიშნული პირები მალული მუქარით აწყობდენ ღარიბ გლეხობას დამალულ ობიექტების აღმოჩენის შესაძლებლობას. აგრეთვე უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც სხვა თემებში, ისე ამ სოფელშიც ღარიბ ჯგუფებმა დახმარება გაუწიეს საალრიცხვო კომისიას გადამალულ ობიექტების აღმოჩენაში. აგრეთვე საგრძნობი დახმარება აღმოუჩინეს საალრიცხვო კომისიას ამ სოფელში მყოფ მიწისმზომლებმა.

ასეთივე მდგომარეობა იყო ძეგვის, ბოგვის და აღბულაღის თემებში: მაგალითად ბოგვის თემში კულაკებს შეეძლოთ ობიექტების გადამალვა, მაგრამ ღარიბი გლეხობის უშუალო დახმარებით აღმოჩენილ იქნა გადამალულ ობიექტების რაოდენობა, რამაც გამოიწვია კულაკ ალაბაშვილის, ოგანოვის და სხვების მეურნეობის ფაქტიური დათვალიერება. ფაქტიურ დათვალიერებამ სავსებით დაადასტურა ღარიბი გლეხობის წინასწარი განცხადებები ობიექტების გადამალვის შესახებ, რის გამო სათემო საგადასახადო კომისიამ აღნიშნული მეურნეობები ინსტრუქციის თანახმად დააჯარიმა. ამრიგად კულაკური ელემენტები სასოფლო-სამეურნეო საგადასახადო ობიექტების საალრიცხვო კამპანიების დროსაც დარაზმულად გამოდიან ყველა სხდომებზე და მთელი ძალღონით ცდილობენ თავის გავლენის ქვეშ მოაქციონ მოჯამაგირეობა, ღარიბი გლეხობა და თან ცდილობენ გადამალონ საგადასახადო ობიექტები, რაც ერთხელ კიდევ გვიმტკიცებს კულაკების დარაზმულობას სოფლად და კლასიური პოლიტიკის გამწვავებას.

თუმცა სოფლის ღარიბი და საშუალო გლეხობის აქტივის ყურადღება მიპყრობილია კულაკურ ელემენტების წინააღმდეგ საბრძოლველად, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ ვერ არის მათ მხრივ სრული გამბედაობა. აგრეთვე უნდა აღინიშნოს, რომ არ არიან დამაკმაყოფილებლად ჩაბმული ამ ჯერ მუშაობაში მოჯამაგირეთა კომიტეტები, რასაც მომავალ მუშაობაში უნდა მიექცეს მეტი ყურადღება, რაც თავიდანვე გახდება კულაკურ ელემენტების საბოლოო დამარცხებისა.

ვ. კვირიკაძე.

ქრონიკა

ამიერ-კავკ. კოლმეურნეობათა სექცია

ამიერ-კავკ. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის კავშირთან დაარსდა ამიერ-კავკ. კოლმეურნეობათა ხელმძღვანელობისათვის სპეციალური სექცია. ამიერ-კავკ. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის კავშირის გამგეობის წევრად და კოლმეურნეობათა სექციის თავმჯდომარედ დანიშნულია ამხ. ვლ. ცაგარელი.

საგარეო საქმეთა კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოში

საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის რწმუნებული ამიერ-კავკასიაში ამხ. კარკლინი გაემგზავრა მორიგ შვებულებაში ერთი თვის ვადით. საგარეო საქმეთა კომისარიატის რწმუნებულის მოვალეობათა შესრულება დაევალა ამხ. ბ. კვიტაშვილს.

სოფლად პროფმუშაობის გასაძლიერებლად

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა სოფლად მუშაობის გაძლიერების მიზნით გამოჰყო 10 პროფმუშაკი, რომლებიც გაგზავნილი იქნებიან ადგილებზე.

1907 წ. დაბადებულთა საყურადღებოდ

მეოთხე და მეხუთე სამილიციო უბნებში მცხოვრები მოქალაქენი, რომელნიც დაბადებულნი არიან 1907 წ. და აგრეთვე ისინი, რომელთაც ეხებათ ჯარში გაწვევა, ვალდებულნი არიან გამოცხადდნენ ა. წ. 20 აგვისტოს, საღამოს 6 საათზე მედსანშრომის კლუბში (ყოფ. „სტელა“). სოლოლაკის ქ. № 13. სადაც ჩატარებული იქნება კონფერენცია სამხედრო სამსახურში გაწვევასთან დაკავშირებით.

თბ. ალმასკომში

◆ **ახალი სადარაჯო.** სამხედრო გზაზე სოფ. ქერენასთან თბ. ალმასკომის დადგენილებით მოეწყო სამილიციო სადარაჯო.

◆ ფშავ-ხევსურეთში სასკოლო და საგზაო მშენებლობისათვის და ახალი საავადმყოფოს ასაგებათ თბ. ალმასკომმა გადასდო 46.000 მ., ამავე მიზნით კომბანკიდან სესხად გამოთხოვილია 60.000 მანეთი.

სხვადასხვა

◆ **თათბირი.** უკრაინაში არსებულ შევჩენკოს სახელობის საბჭოთა მეურნეობის „გიგანტი“-ს და სხვა მნიშვნელოვან ადგილების დათვალიერების შემდეგ დაბრუნებული მიწსახკომის აგრო-ექსპედიცია 20 აგვისტოს, საღამოს 6 ს. პროფსაბჭოს მცირე დარბაზში გააკეთებს მოხსენებას: „სასოფლოთაშორისო მანქანა-ტრაქტორების სადგურები“.

მოხსენებაზე მოწვეულნი არიან თბ. ოლქის სასოფლო მეურნეობის სპეციალისტები.

◆ **ვერის ბორანი,** შეკეთების დამთავრების შემდეგ, გუშინ განახლდა მოძრაობა ვერის ბორანზე.

● **„როგორ უნდა ჩატარდეს ლიტერატურული საღამოები“.** ოთხშაბათს, 21 აგვისტოს, დილის 9 საათზე, შრომის სასახლის მცირე დარბაზში ლენინგრადიდან ჩამოსული ამხ. ფილიპოვი წაიკითხავს მოხსენებას შემდეგ თემაზე: „როგორ უნდა ჩატარდეს ლიტერატურული საღამოები“.

— **გამოვიდა ამხ. ი. ვარძიელის წიგნი** — „საბჭოთა აპარატის წმენდისათვის“. გამოცემა სახელგამის. ფასი 40 კაპ.

რა ხდება ადგილებზე

საბჭოთა აპარატის წმენდა

ქუთაისი, 18 აგვისტო. მუშათა და გლეხთა ინსპექციის რწმუნებული შეუდგა საბჭოთა აპარატის წმენდისათვის საჭირო მასალის დაგროვებას, წმენდა დაიწყება 1 სექტემბერს. პირველ რიგში შემოწმებული იქნებიან ალმასკომი, სასამართლო, მილიცია და შემდეგ სხვა საბჭოთა და სამეურნეო ორგანოები. პროფორგანიზაციები შეუდგნენ წმენდის მიზნებისა და მნიშვნელობის განმარტებითი კამპანიების ჩატარებას (ადს).

კულაკის შურისძიება

ქუთაისი, 18 აგვისტო. პროკურატურამ დაამთავრა ღარიბი გლეხის აგაბო ლილუაშვილის მკვლელობის საქმის გამოძიება. საქმის შინაარსი შემდეგია: საბჭოთა ხელისუფლების მიერ მიწის რეფორმის ჩატარების დროს სოფელ ვარციხის შეძლებულ გლეხს ნიკოლოზ ცაგარეიშვილს ჩამოერთვა ზედმეტი მიწა, რომელიც წილად ხვდა მის ღარიბ მეზობელს აგაბო ლილუაშვილს. ცაგარეიშვილი ამით მეტად უკმაყოფილო დარჩა.

რამდენიმე ხნის შემდეგ ცაგარეიშვილს გაძარცვის მიზნით, თავს დაესხნენ ვიღაც ბანდიტები. ცაგარეიშვილმა ხელისუფლებას მიუთითა ღარიბ გლეხ აგაბო ლილუაშვილზე, ვითომ ის დაესხა თავს. ლილუაშვილი დააპატიმრეს და საქმის გამორკვევამდე რამდენიმე თვეს იჯდა საპყრობილეში. როდესაც გამოირკვა, რომ მძარცველები სულ სხვა პირები არიან, ლილუაშვილი განთავისუფლეს. პატიმრობის დროს ლილუაშვილს ისედაც ღარიბი ოჯახი ძალზე დაქვეითდა, მაგრამ ეს არ იკმარა ცაგარეიშვილმა.

31 დეკემბერს მან სახლში მოიწვია მეზობლები სიმინდის საქურჩავად. მიწვეულთა შორის იყო ლილუაშვილიც თავისი ვაჟით. იქვე იყვნენ აკაკი სულაგანიძე და ალექსანდრე ტყეშელაშვილი. მუშაობა ჩვეულებრივი სმით დამთავრდა, რის შემდეგაც ყველა წავიდ-წამოვიდა. გზათ მიმავალ ლილუაშვილს უეცრად მივარდნენ აკაკი სულაგანიძე და ალექსანდრე ტყეშელაშვილი და კეტებით თავი გაუჩეჩქვეს. ლილუაშვილი იქვე გარდაიცვალა. პასუხისგებაში მიცემულნი არიან სულამანიძე და ტყეშელაშვილი, როგორც უშუალო მკვლელები და ცაგარეიშვილი, როგორც მკვლელობის წამქეზებელი (ადს).

გვალვა

ონი, 18 აგვისტო. ხანგრძლივი გვალვის გამო სიმინდის ნათესები იღუპება, განსაკუთრებით მაზრის დაბლობ ადგილებში. (ადს).

საექიმო დახმარება

ონი, 18 აგვისტო. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატმა ზემო რაჭის მოსახლეობისათვის საექიმო დახმარების გასაწევად ონის საავადმყოფოში მიავლინა ექიმი-გინეკოლოგი, რომელიც ჩამოვიდა და შეუდგა მუშაობას. (ადს).

აბრეშუმის პარკი

ონი, 18 აგვისტო. აბრეშუმის პარკის დამზადება ქრებალოს პუნქტში და ონის რაიონში წარმატებით მიმდინარეობს. წელს აბრეშუმის პარკი შეგროვებულ იქნა 120 პროცენტით მეტი, ვიდრე შარშან, თუმცა პარკი ნაწილობრივ ეხლაც უვარდება ხელში კერძო გადამყიდველებს. ბაზარზე ხშირად შეიძლება შეხვედრა გადამყიდველებთან, რომლებიც ყიდულობენ როგორც აბრეშუმის პარკს, ისე გრენას. (ადს).

სეტყვა

სოხუმი, 19 აგვისტო. წებელდიდან იუწყებიან, რომ იქ მოვიდა სეტყვა, რომელმაც დააზიანა თამბაქო 17 პლანტაციაზე. აფხაზეთის სახელმწიფო დაზღვევის კანტორამ რაიონში გაგზავნა თავისი წარმომადგენელი ზარალის რაოდენობის გამოსარკვევად და პლანტატორთათვის ზარალის ასანაზღაურებლად. (ადს).

საყვედური ბოროტმოქმედებათა გამომჟღავნებისადმი გულგრილად მოკიდებისათვის

სოხუმი, 19 აგვისტო. მუშგლეხინის დადგენილებით „აბსოიუზ“-ის გამგეობას, წებელდის სამომხმარებლო საზოგადოების გამგეობას და საკონტროლო საბჭოს გამოეცხადა საყვედური პრესაში გამოქვეყნებით—წებელდის კოოპერატივის სალაროში გამომჟღავნებულ ბოროტმოქმედებისადმი დაუდევრათ და გულგრილად მოკიდებისათვის. (ადს).

სოხუმის ნავთსადგური

საბოლოოდ გადაწყდა სოხუმში ნავთსადგურის აშენების საკითხი. მთავრობის დადგენილებით ნავთსადგური უნდა აშენდეს რაც შეიძლება მოკლე დროის განმავლობაში.

სამშენებლო მუშაობა უნდა დაიწყოს ამ წლის 1 ოქტომბერს და დამთავრდეს ორ წელიწადში.

გადადებულია სათანადო თანხები ადგილობრივ კვლევა-ძიებითი სამუშაოების ჩასატარებლად და ამ დღეებში სოხუმში გაემგზავრება სპეციალური კომისია, რომელიც იქ ჩაატარებს კვლევა-ძიებას.

სამზადისი შემოდგომის თესვისათვის

(საგარეჯოს რაიონი)

საშემოდგომო თესვისათვის მოსამზადებელი მუშაობა საგარეჯოს რაიონში უკვე დაიწყო. ამ საქმისათვის ცენტრიდან მოვლინებული იყო ამხანაგი, რომელმაც ჩაატარა საორგანიზაციო ხასიათის მუშაობა. დაარსდა თესვის ხელისშემწყობი კომისია, რომელიც უკვე შეუდგა მუშაობას. კომისიამ შეადგინა გეგმა საშემოდგომო თესვის ჩასატარებლად. გამომუშავდა სავალდებულო აგრომინიმუმი. რაიონის სხვადასხვა სოფლებში ჩატარდა გლეხთა სასოფლო ყრილობები, რომლებზედაც განხილული და დამტკიცებული იქნა საშემოდგომო თესვის ჩასატარებელი გეგმა და აგრომინიმუმი.

გეგმის მიხედვით თემში არსებული დაწესებულება-ორგანიზაციების მანქანა-იარაღები უნდა გადავიდეს დამთეს კომისიის განკარგულებაში. აგრორწმუნებულების საშუალებით ჩატარდება მტკიცე აღრიცხვა მოხნულ მიწების ფართობის. 15 აგვისტოდან — 1 სექტემბრამდე აგრო-რწმუნებულთათვის მოეწყობა ორკვირეული კურსები, სადაც შეისწავლიან პურის დარკვევას, მოწამვლას, სათესლე სიმინდის გადარჩევას, მწკრივზე თესვას და სხ.

საშემოდგომო თესვის კამპანიასთან დაკავშირებით ჩამოყალიბდება თემში ექვსი კოლექტიური მეურნეობა: ორი სოფელ საგარეჯოში, ერთი გიორგიწმინდაში, ერთი ნინოწმინდაში, ერთი მანავში და ერთიც თოხლიაურში. მიღებული იქნება ზომები არსებულ კოლმეურნეობათა გაჯანსაღება-განმტკიცებისათვის. რაიონში 1 სექტემბრამდე გაიწმინდება ყველა სარწყავი არხები და სხვ. შედგენილი გეგმა არ დარჩენილა ქაღალდზე. ადგილობრივ უკვე დაიწყო შესაფერი მუშაობა გეგმის განსახორციელებლად. რაიონში არჩეულია 40-დე აგრო-რწმუნებული. შედგენილი აგრომინიმუმი ითვალისწინებს შემდეგს:

რაიონის ყველა სოფლებიდან გადატანილი უნდა იქნეს მთლიანად ნაკელი მინდვრათ მიწების მოხვნამდე, 1 სექტემბრამდე გაიწმინდება რაიონში არსებული ყველა სარწყავი არხები (ვიდრე დაიწყება ანეულების თესვა), სავალდებულოთაა შემოღებული ყველა მეურნესათვის სათესლე ხორბალის დარკვევა და შეწამვლა, სავალდებულოა ყველა კოლმეურნეობათათვის პურისა და სიმინდის მწკრივში დათესვა, სავალდებულოა ყველა მეურნესათვის ყანების გამარგვლა სარეველა ბალახებისაგან და ყველა კოლექტივებისათვის კი ორი დესეტინა საკვები ბალახის და ნახევარი დესეტინა საკვები ჭარხლის დათესვა, სავალდებულოა ყველა კოლექტივებისათვის სასიმინდე მიწების ორჯერ მოხვნა; რაიონში დაკვრით წესით (საჭირო შემთხვევებში) ჩატარდება ბრძოლა მავნებლების წინააღმდეგ და სხვ.

მეურნე.

ღონისძიებანი მუშაობის გაცდენის წინააღმდეგ

ა.-კ. სახალხო კომისართა საბჭომ შრომის დისციპლინის განმტკიცების მიზნით ა.-კ. შრომის სახალხო კომისარიატს და ა.-კ. ფედერაციაში შემავალ რესპუბლიკების სახკომსაბჭოებს დაავალა—მიიღონ ზომები, რომ ყველა ორგანოებმა სისწორით შეასრულონ შრომის კონფლიქტების გარჩევის წესები. კონფლიქტების გარჩევა უნდა ხდებოდეს მხოლოდ იმ ორგანოთა მონაწილეობით, რომლებსაც ეს დავალებული აქვთ და სხვა ორგანოების ჩარევა (ვისაც კანონით არ აქვს მინიჭებული ეს უფლება) დაშვებული არ უნდა იქნეს. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის ორგანოებს ევალება შეიმუშაონ სათანადო ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველჰყოფენ საექიმო კონტროლის გაძლიერებას სახლში მყოფ ავადმყოფებზე. სანატორიუმებში და დასასვენებელ სახლებში გასაგზავნ პირების შერჩევა უნდა ხდებოდეს მხოლოდ არა სამუშაო დროს. საქართველოსა და აზერბეიჯანის რესპუბლიკების სახკომსაბჭოებს დაევალა, წინადადება მისცენ ბაქოსა და თბილისის ალმასკომებს, რომ ტრამვაის მოძრაობა შეთანხმებული იქნეს წარმოებებში მუშაობის დაწყებასთან და გათავებასთან, ხოლო ა.-კ. რკინის გზის სამმართველოს ევალება ქალაქების მახლობლად მდებარე რაიონების მატარებლების მიმოსვლის ცხრილი შეუთანხმოს რესპუბლიკანურ სახკომსაბჭოებს.

ა.-კ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატს დაევალა, რათა მან ა.-კ. შრომის სახალხო კომისარიატთან და პროფსაბჭოსთან შეთანხმებით გაადიდოს ვაჭრობის დრო (დღეში 10 საათამდე) იმ სავაჭრო დაწესებულებებში, რომლებიც ვაჭრობენ სურსათით და პირველი მოთხოვნილების საგნებით.

სახალხო კვების მუშაკთა ყრილობა

(მეექვსე, მეშვიდე და უკანასკნელი სხდომა)

18 აგვისტოს დილის სხდომაზე ყრილობამ მოისმინა შრომის სახ. კომისარიატის წარმომადგენელის ამხ. სოხიაშვილის მოხსენება სახალხო კვების მუშაკთა შრომის დაცვის საქმის მდგომარეობის შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სახალხო კვების მუშაკები შრომის დაცვის მხრივ ყველაზე ცუდ მდგომარეობაში იმყოფებიან. თბილისში მუშაობს სულ შრომის დაცვის სამი ინსპექტორი, რომლებიც ყველა კავშირებს ემსახურებიან. სახალხო კვების წამოწყებათა (სასადილოების და სხვ.) დათვალიერებამ ნათელჰყო, რომ არა მარტო კერძო, არამედ კოოპერატიულ სასადილოებშიც დამქირავებლები არღვევდნენ შრომის კანონმდებლობას, ამიტომ დაჯარიმებული იქნა 109 დამქირავებელი (2.300 მანეთით) და პასუხისგებაში მიცემულია 85. უნდა აღინიშნოს, რომ შრომის კანონების დარღვევას ზოგჯერ თვით დაქირავებულები უწყობენ ხელს, (უმთავრესად კერძო სასადილოებში), რაც გამოიხატება იმაში, რომ დაქირავებულთან დამქირავებელი სდებს ფიქტიურ ხელშეკრულებას, თითქოს ის დაქირავებული კი არაა, არამედ ამხანაგია სასადილოს პატრონის. ამით დაქირავებული შეგნებულად აუარესებს თავის შრომის პირობებს. გარდა ამისა, შრომის ინსპექტორის მიერ სასადილოს დათვალიერების დროს, ზოგიერთები მალავენ, რომ ისინი ზედმეტ საათებს მუშაობენ და სხვ.

ამიტომ განსაკუთრებით კერძო სასადილოებში მომუშავეთა შორის შრომის პირობებზე გაძლიერებული უნდა იქნეს კავშირის ყურადღება და ამით გაადვილებული იქნება შრომის კანონმდებლობის დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლა.

კამათში გამოსული ორატორები მოითხოვდნენ მეტ სიმკაცრეს შრომის კანონმდებლობის დამრღვევთა მიმართ და ამავე დროს საჭიროდ სცნობდნენ პროფმუშაობის გაძლიერებას კერძო სასადილოებში მომუშავეთა და შინამოსამსახურეთა შორის. მაზრებიდან ჩამოსული დელეგატები, ეხებოდნენ რა შრომის ინსპექტორების მუშაობას, აღნიშნავდნენ, რომ შრომის ინსპექტორები გამოკვლევებს აწარმოებენ უმთავრესად დიდ წარმოებებში, რომლებიც სახელმწიფოს გამგებლობაში იმყოფება და ამავე დროს გაურბიან ისეთ წვრილ წამოწყებების გამოკვლევას, რომლებიც კერძო მესაკუთრეებს ეკუთვნის, მიუხედავად იმისა, რომ ამ უკანასკნელებში გაცილებით ხშირად ირღვევა შრომის კანონმდებლობა, ვინემ სახელმწიფო წარმოებებში.

საღამოს სხდომაზე ყრილობამ მიიღო რეზოლიუციები ყველა მოხსენებების გარშემო. აჭარისტანის დელეგაციამ ყრილობაზე შემოიტანა წინადადება, რათა 26 კომუნარის დახვრეტის და აგრეთვე დამატებით სხვა რომელიმე დღე გამოცხადებული იქნეს ინდუსტრიალიზაციის დღედ. ყრილობამ ეს წინადადება მიიღო. გუშინდელ დილის სხდომაზე მოხდა ცენტრალური გამგეობის არჩევნები. ცენტრალური გამგეობა განახლებულია 70 პროცენტით. ცენტრალურ გამგეობაში არჩეულია 26 წევრი და 5 კანდიდატი. პლენუმის პირველ სხდომაზე ც. გამგეობის თავმჯდომარედ არჩეული იქნა ამხ. გოგორიშვილი, მდივნად კი ამხ. კასიმკაია.

საბჭოთა აპარატის წმენდისათვის

საბჭოთა და სავაჭრო დაწესებულებების მუშაკების კავშირის მზადება საბჭოთა აპარატის წმენდისათვის

საქართველოს საბჭოთა და სავაჭრო დაწესებულების მუშაკების პროფკავშირის ცენტრალური გამგეობა ამჟამად გაცხოველებულ მოსამზადებელ მუშაობას აწარმოებს საბჭოთა აპარატის წმენდისათვის. თბილისში კავშირის წევრთა საერთო კრებებზე უკვე დამუშავებულ იქნა საბჭოთა აპარატის წმენდის მნიშვნელობა. ც. გამგეობამ დაამზადა პლაკატები, ფურცლები და სხვ. საბჭოთა აპარატის წმენდის მნიშვნელობის პოპულიარიზაციის მიზნით მაზრებში სამუშაოდ გაგზავნილია ცენტრალური გამგეობის მიერ სპეციალურად ამ საქმისათვის გამოყოფილი მუშაკი. დაწესებულებებში დაარსებულია აპარატის წმენდისათვის ხელისშემწყობი კომისიები, რომლებიც უკვე შეუდგნენ მასალების შეგროვებას და მომუშავეების დახასიათებების შედგენას.

მოწოდებაში, რომლითაც ცენტრალურმა გამგეობამ მიმართა კავშირის წევრებს, ნათქვამია: ქვეყნის ინდუსტრიალიზ. და სახ. მეურნ. სოციალისტური გარდაქმნის ამოცანები მოითხოვენ ჩვენი სახელმწიფო აპარატის მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებას. პარტიისა და საბჭოების ბრძოლა სახელმწიფო აპარატის ბიუროკრატიულ დამახინჯებასთან წარმოადგენს კლასობრივი ბრძოლის ერთ-ერთ ფორმას. ჩვენი სახელმწიფო დაწესებულებათა მუშაობაში ხშირია შემთხვევა, როცა მახინჯდება ან სულ არ სრულდება ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებანი, ამიტომ საბჭოთა აპარატის გასაუმჯობესებლად საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს შესრულების შემოწმებას. პარტია და ხელისუფლება ყოველთვის აქეზებდნენ და აფასებდნენ ყოველ პატიოსან მუშაკს, ამიტომ ისინი უნდა დარჩნენ საბჭოთა აპარატში და ამავე დროს მათ ხელი უნდა შეუწყონ სახელმწიფო აპარატიდან უვარგის ელემენტების მოშორებას.

წმენდასთან ერთად ჩვენს წინაშე სდგას ამოცანა, გაწმენდილების ადგილი შევავსოთ დაწინაურებული მუშებით. პროფკავშირებმა ხელი უნდა შეუწყონ თვითკრიტიკის განვითარებას და დაეხმარონ მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოებს საბჭოთა აპარატის წმენდის საქმეში, ამასთანავე უნდა აღმოფხვრან ბიუროკრატიული დამახინჯებანი თავიანთ აპარატში და ებრძოლონ მუშათა მოთხოვნილებებისა და კრიტიკისადმი უყურადღებო და უგულო დამოკიდებულებას“.

შირაქის ნავთიანი ადგილების დამუშავება

დაიწყება შემოდგომიდან

საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს სამთო განყოფილების ცნობებით, მომავალი შემოდგომიდან დაიწყება პრაქტიკული მუშაობა შირაქის ნავთიანი ადგილების დასამუშავებლად. შირაქის ველზე მუშაობას დაიწყებს აგრეთვე იტალია-ბელგიის ნავთის სამრეწველო საზოგადოება, რომელმაც შირაქის ნავთიანი ადგილების ერთ-ერთ უბანზე უკვე ამოიღო პირველი საცდელი ჭაბურღილი. ამ ჭაბურღილიდან გასული წლის შემოდგომაზე ამოხეთქა ნავთის შადრევანმა, მაგრამ რადგან ამჟამად ადგილზე არ მოიპოვებოდა ნავთის შესაკრები მოწყობილობა, ნავთის ამოღება გადასდეს რამოდენიმე ხნით.

იტალია-ბელგიის საზოგადოების წარმომადგენელი ინჟ. როდრიგეცი ამჟამად მოსკოვში იმყოფება მთავარ საკონცესიო სამმართველოსთან ახალი ხელშეკრულების დასადებად შირაქის ველზე უკვე გამოყოფილ რაიონში ნავთიანი ადგილის დამუშავების შესახებ.

ახლო ხანში საკავშირო ს.მ.უ. საბჭოში შესდგება სპეციალური თათბირი შირაქის ველზე საექსპლოატაციო სამუშაოების დაწყების შესახებ.

თათბირზე მონაწილეობის მისაღებად თბილისიდან გაწვეულია ს.მ.უ.ს. სამთო განყოფილების წარმომადგენელი ინჟ. ი. ყიფშიძე.

უკვე ჩატარებული წინასწარი გამოკვლევებისა და დაკვირვებების თანახმად შირაქის ველზე მოიპოვება ნავთის მდიდარი წყაროები.

მომავალ ოქტომბრიდან ამოღებული იქნება ნავთის საცდელი ჭაბურღილები შირაქის ნავთიანი რაიონის რამოდენიმე უბანზე.

თბილისის ოლქის 1929—30 წ. ხარჯთაღრიცხვა

თბილისის ალმასკომის საფინანსო განყოფილებამ შეიმუშავა 1929—30 წლისათვის თბილისის ოლქის ადგილობრივ ბიუჯეტის საკონტროლო ციფრების გეგმა, რომელიც ამ დღეებში წარედგინება დასამტკიცებლად თბ. ალმასკომის პრეზიდიუმს.

გასავალი

ამ გეგმის მიხედვით 1929—30 წელში თბილისის ოლქში ადგილობრივ საბჭოებისა და ალმასკომების შესანახად დაიხარჯება — 963.970 მანეთი, ადმინისტრატიულ ხარჯების დასაფარავად და საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად გადაიდება 916.205 მან.; იუსტიციის ორგანოების შესანახად დაიხარჯება — 292640 მანეთი.

სახალხო განათლების საქმეს მოხმარდება—5.787.338 მანეთი; სახალხო ჯანმრთელობის დაცვას—3.219.251 მანეთი; სოციალურ უზრუნველყოფის საქმეზე დაიხარჯება—128.379 მანეთი, შრომის დასაცავად—124.000 მანეთი.

სასოფლო-მეურნეობის გასაძლიერებლად თბილისის ოლქში 1929—30 წელში დაიხარჯება 585.439 მანეთი; ადგილობრივ მრეწველობის გასაფართოებლად—644.357 მანეთი, კომუნალურ მეურნეობაზე—2.916.531 მანეთი; ახალ კომუნალურ მრეწველობის მოსაწყობათ—12.801.217 მანეთი; საგზაო მშენებლობისათვის—361.157 მანეთი.

სპეციალურ ფონდში გადაირიცხება — 1.433.000 მანეთი; მოულოდნელ ხარჯების დასაფარავად გადაიდება—2.444.574 მანეთი და დავალიანებათა დასაფარავად—402.185 მანეთი.

ამრიგად 1929—30 წელში თბილისის ოლქში ადმინისტრატიული, სოციალ-კულტურული, სამრეწველო—სამეურნეო და სხვა სახის ხარჯები უდრის 33.020.243 მანეთს.

შემოსავალი

შემოსავალი დამტკიცებული იქნა 33.020.243 მანეთის რაოდენობით.

თბილისის ოლქს 1929—30 წელში შემოუვა: სასოფლო-სამეურნეო გადასახადიდან — 126.508 მანეთი; მრეწველობიდან და ვაჭრობიდან—111.374 მანეთი; კომუნალურ ქონებიდან—4.630.461 მანეთი; კომუნალურ წარმოებიდან—12.111.211 მანეთი, სხვადასხვა წარმოებებიდან და დაწესებულებებიდან—158.750 მანეთი, სახელმწიფო შემოსავლის ანარიცხებიდან—870.802 მანეთი.

გარდა ამისა ადგილობრივ გადასახადიდან თბ. ოლქს შემოუვა—1.957.915 მანეთი, სახელმწიფო გადასახადიდან და ანაკრებებიდან—947.479 მანეთი, სახელმწიფო გადასახადის ანარიცხების სახით—7.147.667 მანეთი.

წინა წლის ბიუჯეტის ნარჩენი უდრის — 133.780 მანეთს, სხვადასხვა შემოსავალი — 284.538 მ. ამრიგად მარტო შემოსავალი უდრის 28.470.485 მანეთს.

გარდა ამისა თბ. ოლქი 1929—30 წელში საერთო სახელმწიფო ფონდიდან მიიღებს — 392.758 მანეთს, სპეციალური ფონდიდან მიზნობრივ დახმარების სახით—1.112.000 მანეთს და სესხით მიიღებს—3.045.000 მანეთს.

ამიერ-კავკასიის კოლმეურნეობათა სექციის ჩამოყალიბება

ამიერ-კავკ. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ცენტრალურ კავშირთან („ზაკსელსოიუზ“-თან) დაარსდა ამიერ-კავკ. კოლმეურნეობათა ხელმძღვანელი ორგანო—ამიერ-კავკ. კოლმეურნეობათა სექცია. აღნიშნული სექციის თავმჯდომარემ და „ზაკსელსოიუზი“-ს გამგეობის წევრმა ამხ. ვლ. ცაგარელმა გუშინ ჩვენი გაზეთის თანამშრომელთან საუბარში კოლმეურნეობათა სექციის დაარსების შესახებ განაცხადა შემდეგი:

— კოლმეურნეობათა სექციის მიზანია ხელი შეუწყოს და ყოველმხრივ განმტკიცოს ამიერ-კავკ. კოლმეურნეობათა მუშაობა. სექციამ ხელი უნდა შეუწყოს კოლმეურნეობათა მომარაგებისა და მათი ნაწარმოების გასაღების საქმეს. მათთვის სესხების მიწოდებით, ინსტრუქტორული გამოკვლევების მოხდენით, როგორც ცალკე რესპუბლიკანური ცენტრებს, ისე ცალკე კოლმეურნეობათა გამოკვლევებით და სხვა ღონისძიებებით. უახლოეს მომავალში სექცია დაამუშავებს კოლმეურნეობათა მოძრაობის აქტუალურ საკითხებს, როგორიცაა: მებამბეობის კოლექტივიზაციის გასაჯანსაღებელ ღონისძიებათა შემუშავება თანახმად ს.კ.პ. (ბ) ცეკას უკანასკნელი დადგენილებისა, მესაქონლეობის კოლექტივიზაციის საკითხების შესწავლა, კოლმეურნეობათა სისტემაზე სამეურნეო-ოპერატიული ფუნქციების მინიჭების გამო პრაქტიკული ღონისძიებების დამუშავება—სათანადო ორგანოებთან შეთანხმებით. კოლმეურნეობათა ჯგუფური განაერთების მუშაობის შესწავლა და მომავალი მუშაობისათვის საჭირო ღონისძიებების გამომუშავება, აგრონომიული ხელმძღვანელობის საკითხი კოლმეურნეობებში; (აქ შესწავლილი იქნება როგორც კოლმეურნეობათა სპეციალური აგრონომიის მუშაობა, ისე მიწსახკომების და სხვა ორგანიზაციების აგრო-ძალების ხელმძღვანელობის საკითხი), მიწათ-მოწყობა კოლმეურნეობებში, კულტურული მუშაობა, კაპიტალების ორგანიზაცია, კოლმეურნეობათა გავლენა სოფლის ფენებათ დაყოფაზე, მანქანა-იარაღების და მუშა-საქონლის დატვირთვა. მოსავლიანობის გადიდება, კოლმეურნეობათა გამსხვილების საკითხი, სამანქანო-სატრაქტორო კოლონების ორგანიზაციის საკითხი, კოლმეურნეობათა ლიკვიდაციის და წევრთა ცვალებადობის შესწავლის საკითხი, შრომის ორგანიზაცია და მოსავლის განაწილება კოლმეურნეობის წევრთა შორის და სხვ.—აი ნაწილი გადაუდებელ იმ აქტუალური საკითხებისა, რომელიც შესწავლილი უნდა იქნეს ახლად დაარსებულ ცენტრის მიერ იმ მიზნით, რომ ამიერ-კავკ. კოლმეურნეობათა მშენებლობაში შემჩნეული დეფექტების და მიღებული მიღწევების მიხედვით გამომუშავდეს მთლიანი გეგმა, კოლმეურნეობათა შემდეგი ჯანსაღი მუშაობისათვის. კოლმეურნეობათა ახალი ცენტრის მიერ მიღებული მუშაობის სისტემა სავსებით განსხვავდება კოლმეურნეობათა არსებულ მუშაობათა სისტემისაგან იმით, რომ ცენტრის მომუშავეების მიერ დამუშავდება და საფუძვლიანად იქნება შესწავლილი კოლმეურნეობათა მუშაობის ცალკე საკითხები და გამოკვლევით მიღებულ მასალებზე გამომუშავდება გეგმა აღნიშნული საკითხების პრაქტიკულად განხორციელებისათვის.

სააგიტაციო ველო-გადარბენა

საბჭოთა-სავაჭრო მუშაკების კლუბის ახალგაზრდათა სექციასთან არსებულმა ველოსიპედისტების ჯგუფმა მოაწყო სააგიტაციო ველო-გადარბენა დუშეთის რაიონში.

შაბათს საღამოს თბილისიდან გაემგზავრა 17 კაცი, შათ მცხეთამდე გააყვნენ კლუბის გამგეობის ორი წევრი: ამხ. ჩარავა და კანანენკო.

გადარბენის მიზანი იყო 1907 წელში დაბადებულთა ჯარში გაწვევისა და ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხთან დაკავშირებით მოსახლეობაში აგიტაცია-პროპაგანდის გაწევა.

გადარბენის მონაწილეთ შემოიარეს ხუთ სოფელი და კვირას, საღამოს დაბრუნდნენ თბილისში. გადარბენა კარგად ჩატარდა.

მომავალ კვირას ეწყობა ასეთივე გადარბენა მცხეთის რაიონში.

სამკითხველოების ქსელის გაფართოება

საქ. პოლიტგანთლების ხუთწლიანი გეგმის მიხედვით, ერთ-ერთ ძირითად ამოცანათაა დასმული სოფლის სამკითხველოების მუშაობის გაჯანსაღება იმ მიზნით, რომ სოფლად სამკითხველოები გახდეს კულტურული მუშაობის დასაყრდენ პუნქტად. სადირექტივო ორგანოების დადგენილების მიხედვით, სოფლად სამკითხველო უნდა იყოს პრაქტიკული საქმიანობის ცენტრად ჩვენი სოციალისტური მშენებლობის საქმეში. ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს სათემო სამკითხველოების ქსელის გაზრდას და მათი რიცხვის გათანასწორებას სათემო ერთეულებთან. საპერსპექტივო გეგმა ითვალისწინებს სათემო-სამკითხველოების შენობათა აგებას სტანდარტული გეგმის მიხედვით და ამასთან ერთად მატერიალური ბაზის გაძლიერებას.

გარდა სათემო სამკითხველოებისა, ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულია სასოფლო-სამკითხველოების გახსნაც. ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს აგრეთვე სამკითხველოს გამგის ხელფასის გათანასწორებას პირველი საფეხურის სკოლების მასწავლებელთა ხელფასთან. აღნიშნული საჭიროებისათვის თანხები გათვალისწინებულია სახ. განათლების კომისარიატის ფინანსიურ გეგმაში. ახალ მშენებლობის ხარჯების 50 პროც. უნდა იკისროს ადგილობრივმა მოსახლეობამ.

შემთხვევები

მოწამვლა

პეტრე საძაგლიშვილი და მისი ქალიშვილი (მცხ. ხუდადოვის ქ. № 60) მოიწამლენ თევზის ჭამის დროს. ორთავე გადაიგზავნა საავადმყოფოში.

თავის მოწამვლა

მარო იოსების ასულმა კაზაროვამ (მცხ. ელისაბედის ქ. № 117) ოჯახურ უსიამოვნების ნიადაგზე მოიწამლა თავი. კაზაროვა სიკვდილს გადაარჩინეს.

დაჯახება

თავისუფლების მოედანზე ტრამვაის ვაგონი № 5 დაეჯახა მოქ. მიხეილ ნიკოლოზის ძე ჩიჯავაძეს და დააშავა.—ლერმონტოვის ქუჩაზე მოტოციკლეტი № 73, დაეჯახა ველოსიპედით მიმავალ მირიან ჯემიანცს და მძიმედ დააშავა. შოფერმა მოასწრო მიმალვა. დაშავებული გადაგზავნეს საავადმყოფოში.

ცხენის დაფრთხობა

კაკეთის ახლო ივანე ივანეს ძე მესტვირიშვილს მანგლისში მიმავალმა ავტომობილმა დაუფრთხო ფურგუნში შებმული ცხენები, რის დროსაც მძიმედ დაშავდა თვითონ მესტვირიშვილი.

ფქვილის პოვნა

მუხრანის მოედანზე იპოვეს ერთი ტომარა მეორე ხარისხის პურის ფქვილი.

ტრამვაის მსხვერპლი

გუშინ საბჭოთა ქუჩაზე ტრამვაის ვაგონი დაეჯახა უცნობ მოხუც ქალს, რომელიც უგრძნობ მდგომარეობაში გადაგზავნეს რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოში. ვატმანი დაპატიმრებულია.

ქურდობა

გაქურდეს ალექსანდრე მაჭავარიანის ბინა (ბრძოლის ქ. № 14).—გაქურდეს სერაფიონ ანთიძის ბინა (აუზის ქ. № 18), წაღებულ ნივთების რაოდენობა გამოურკვეველია,—ვლადიმერ ლომიძის ბინიდან (არაგვის ქ. № 23) მოიპარეს 150 მ. ნივთები.—გაქურდეს კოოპერატივი „მეომარი“-ს მაღაზია, წაღებულია ფულად 200 მ., წაღებულ საქონლის ღირებულება გამოურკვეველია.

ჯიბგირობა

ცენტრალურ ბაზარში შაფათა ენუქაშვილს ამოაცალეს 32 მ.—ტრამვაის ვაგონში შიო კენჭიაშვილს ამოაცალეს 27 მანეთი.—შეიპყრეს ხაიმ წამალაშვილი, რომელმაც მოქ. მოტაფრენოვს ჯიბიდან ამოაცალა 35 მან.

ძნების დაწვა

10 აგვისტოს სოფ. ძეგვში დაიწვა მ. კვახაძის, ვანო და გიორგი მარქარაშვილების ძნები, რომლიდანაც გამოელოდნენ 60 კოდ პურს.

სასამართლო

დაუდევარ გამგის მსხვერპლნი

ჩვენი სამეურნეო-სამრეწველო დარგის ზოგიერთი მუშაკები ჯერ კიდევ არ განთავისუფლებულან ქალებზე ძველი, ყალბი შეხედულებისაგან.

მათ არ მოსწონთ, როცა ქალები მამაკაცების გვერდით დაზგებზე მუშაობენ და საზოგადოებრივ საქმეშიაც აქტივობას იჩენენ.

სამწუხაროდ ასეთ მუშაკების რიცხვი საგრძნობია. ისინი ყოველ ფეხის ნაბიჯზე ავიწროვებენ მუშა-ქალებს, ალმაცერად უცქერიან, გულგრილად ეპყრობიან მათ მოთხოვნილებებს, ხშირად უმიზეზოთ ტუქსავენ, ადგილიდან ხსნიან და სხვ.

იყო შემთხვევები, როცა მუშა-ქალებს აიძულებდნენ სქესობრივი კავშირი დაეჭირათ მათთან.

თუ როგორ ავიწროვებენ მუშა-ქალებს, ამის საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს ამას წინად საზოგადოება „მკერავი“-ს მეორე ქარხანაში მომხდარი ფაქტი.

ამ ქარხნის გამგემ კოლხიდოვმა სამუშაოდან მოხსნა ნივთიერად მეტად გაჭირვებული მუშა-ქალი დ. კანდელაკი.

მისი სამუშაოდან მოხსნა გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ ქალმა უარი განაცხადა სხვა ცეხში სამუშაოდ გადასვლაზე. როგორც გამოირკვა ამას არც საჭიროება მოითხოვდა.

კოლხიდოვმა იუკადრისა კანდელაკის უარის განცხადება და ის სამუშაოდან მოხსნა.

ამის გამო კანდელაკის ქალმა ქარხანაშივე მოიკლა თავი რევოლვერით.

ამ გარემოებას ოდნავადაც არ შეუშფოთებია ქარხნის გამგე კოლხიდოვი და მან იმავე დღეს სამუშაოდან მოხსნა კიდევ რამდენიმე მუშა-ქალი, იმ მიზეზით, თითქოს ისინი სუსტად მუშაობდნენ.

სამუშაოდან მოხსნის გამო თავი მოიწამლა მუშა-ქალმა ლიდა კასიაკოვამ, რომელიც სიკვდილს გადაარჩინეს.

ამ გარემოებამ მიიქცია სათანადო ორგანოების ყურადღება და შეუდგნენ მიზეზების გამოკვლევას. წინასწარი გამოძიებით გამოირკვა, რომ „მკერავი“-ს მეორე ქარხნის ადმინისტრაცია, კერძოდ ქარხნის გამგე კოლხიდოვი ყურადღებას არ აქცევდა ქალებს, გულგრილობას იჩენდა მათდამი, ავიწროებდა მათ და სხვ.

გრიგოლ კოლხიდოვი მიცემულ იქნა პასუხისგებაში დაუდევრობისათვის, მუშა-ქალებისადმი გულგრილად მოპყრობისა და მათი მოთხოვნილების ანგარიშ გაუწევლობისათვის, რამაც თვითმკვლელობამდე მიიყვანა ქარხნის ორი მუშა-ქალი.

კოლხიდოვის საქმე ახლო ხანში გაირჩევა თბილისის მაზრა-ქალაქის სასამართლოში.

—:—

უღირსი კომკავშირელი

საბჭოს ქუჩაზე მდებარე ერთ-ერთი დიდი სახლი (№ 143), მისი უკეთესად მოვლა პატრონობის მიზნით, თბ. ალმასკომმა ჩამოართვა კერძო მეპატრონეს და გადასცა კომუნალურ განყოფილებას.

სახლის გამგეთ დაინიშნა კომკავშირელი ქურიძე.

მდგმურებს ეგონათ, რომ ახალი გამგე კარგათ მოუვლიდა სახლს და მეტ ყურადღებას მიაქცევდა მათ მოთხოვნილებას.

მაგრამ ქურიძემ არც მდგმურების იმედები გაამართლა და კომუნალურ განყოფილების და კომკავშირის ნდობაც ბოროტად გამოიყენა, მას ერთხელაც არ შეუწუხებია თავი სახლის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. აგროვებდა მარტო ბინის ქირას და ხარჯავდა თავის ნება-სურვილზე. მთელი ნახევარი წლის განმავლობაში შეკრებილ ბინის ქირიდან უმნიშვნელო თანხა შეიტანა მხოლოდ ალმასკომის სალაროში.

სახლის გამგე ქურიძე ბოროტმოქმედების კვალის დაფარვის მიზნით მდგმურებს აძლევდა ყალბ ხელწერილებს, ასწორებდა ქვითარებს და შიგ სამი თუმნის მაგიერ სწერდა 3 მანეთს. ქურიძემ ბოლო ხანებში თვითონ იკისრა წყლის ფულის შეგროვება, მაგრამ წყალსადენის სამმართველოში კაპეიკიც არ შეუტანია.

ბევრჯერ მოსთხოვეს ქურიძეს ანგარიშის წარმოდგენა და როცა ამ „თხოვნამ“ არ გასჭრა, კომუნალურმა განყოფილებამ მიმართა სისხლის სამართლის მილიციას, რომელმაც გამოაშკარავა ქურიძის ბოროტმოქმედება. მას გაფლანგული აღმოაჩნდა 2.000 მანეთზე მეტი.

ქურიძე შეიპყრეს. კომკავშირმა, როგორც უღირსი წევრი, ის გარიცხა თავის რიგებიდან.

ქურიძეს გაასამართლებს თბ. მაზრა-ქალაქის სასამართლო.

ჟასიო.

რკინის გზებზე

მარგანეცის გადაზიდვის რაციონალიზაცია

ამიერ-კავკ. რკინის გზების გამგეობის სხდომაზე განხილულ იქნა ჭიათურის მარგანეცის გადაზიდვის რაციონალიზაციის საკითხი.

გამგეობის სხდომამ მოისმინა გზის საგეგმო-საკონტროლო განყოფილების მოხსენება, საიდანაც გამოირკვა, რომ მარგანეცის გადაზიდვის რაციონალიზაცია უნდა მოხდეს მარგანეცის საქმეში მთელ რიგ მექანიზატორულ ღონისძიებათა გატარებით, გზის გადაზიდვითი უნარიანობის გადიდებით და სხვა.

გამგეობამ საჭიროდ სცნო მარგანეცის გადაზიდვის რაციონალიზაციის გატარება 1930—31 წელში.

ამასთან დაკავშირებით, გადასინჯული იქნება შორაპან-ფოთის უბანზე არსებულ ხიდების განახლების პროგრამა ისეთი ანგარიშით, რომ 1929—30 წელში ამ უბანზე ყველა ძველი ხიდები შეცვლილ იქნენ ახლებით.

ყველა ის ხარჯები, რომლებიც საჭიროა მარგანეცის რაციონალიზაციასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა ცხოვრებაში გასატარებლად შეტანილი იქნებიან 1929—30 წლის ხარჯთ-აღრიცხვაში.

წევის დარგს დაევალა დაუყოვნებლივ დასვას ცენტრის წინაშე საკითხი ფართო და ვიწრო ხაზების დიდი ტვირთის ამწევი ვაგონების პროექტების შედგენის აუცილებლობის შესახებ. ამასთანავე შედგენილი უნდა იქნეს შორაპანში მადანის მექანიკურად გადმოტვირთვის პროექტი.

სალიანდაგო დარგმა უნდა დაამუშაოს ჭიათურის შტოს ერთ მეტრამდე გაფართოების საკითხი და წარუდგინოს ცენტრს.

ეს საკითხი იმგვარად უნდა იქნას დამუშავებული, რომ შესაძლებელი გახდეს ფართო და ვიწრო შტოების ექსპლოატაციის შეთავსება, ე. ი. შტოს გაფართოება უნდა მოხდეს ვიწრო ხაზის მოუშლელად.

მინერალური წყლების ხაზის ელექტროფიკაცია

ამიერ-კავკ. რკინის გზების გამგეობაში მიღებული ცნობით, გზათა სახ. კომისარიატის კოლეგიაში განიხილეს მინერალური წყლების ხაზის (ჩრდილო-კავკასია) ელექტროფიკაციის საკითხი.

რკინის გზების ცენტრალურ სამმართველოს დავალებული აქვს შეისწავლოს ხსენებული, საკითხი დეტალურად დაინტერესებულ ორგანიზაციებთან ერთად და წარუდგინონ კოლეგიას.

პრინციპიალურად, მინერალური წყლების შტოს ელექტროფიკაცია ცნობილია აუცილებლად.

აცილებული კატასტროფა

რედაქციაში მიღებული ცნობით, 13 აგვისტოს ლიბანი-ცემის შუა, ადგილი ჰქონდა ასეთ შემთხვევას: ბაკურიანიდან მომავალი სახალხო მატარებელი დაეშვა არაჩვეულებრივი სისწრაფით. მგზავრები პანიკამ მოიცვა, ასტყდა აურ-ზაური და ზოგიერთი მათგანი გადასახტომადაც კი მოემზადა.

მემანქანე ღებულობდა ყოველგვარ ზომებს მატარებლის სისწრაფის შესანელებლად, და როგორც იყო მშვიდობით ჩაიყვანა იგი ცემში.

როგორც გამოირკვა, მატარებელზე გაფუჭებული ყოფილა ავტომატიური მუხრუჭები და ხელის მუხრუჭები კი სუსტნი აღმოჩნდნენ მატარებლის სვლის შესანელებლად.

ნარევი

შეჯიბრება შნეიდერის ფიალაზე

უცხოეთის საავიაციო წრეები დიდის ინტერესით მოელიან გიდროპლანების მომავალ შეჯიბრებას შნეიდერის ფიალაზე, რომელიც მიმდინარე წლის 6 სექტემბერს უნდა გაიმართოს. ასეთი შეჯიბრება იმართება ყოველ ორ წელიწადში და თავდება ახალ საავიაციო რეკორდების დამყარებით. მიმდინარე წელს შეჯიბრება გაიმართება სოლვენტის ყურეში (კუნძულ ვაიტზე) ინგლისში, რომელმაც 1927 წელს მოიგო ფიალა. ინტერესს შეჯიბრებისადმი აძლიერებს საფრანგეთის და შეერ. შტატების მონაწილეობა მასში (მათ მონაწილეობა არ მიუღიათ უკანასკნელ შეჯიბრებაში). მზადება შეჯიბრებისათვის სწარმოებს საიდუმლოდ და ჩქარის ტემპით.

ჯილდოზე მთავარი პრეტენდენტებია ინგლისი და შეერთებული შტატები. ინგლისი შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებათ გზავნის ნაცად საფრენ აპარატებს: „სიუპერმერინ“, „ნეპირ“ და „გლოსტერს“, რომელზედაც დადგმულია „ნეპირ-ლადონის“ ათასძალოვანი მოტორები. ერთ ამგვარ აეროპლანზე ინგლისელმა მფრინავმა გრეგმა 1928 წელს მიაღწია 519 კილომეტრის სისწრაფეს საათში, მაგრამ გაფრენა არაოფიციალურ პირობებში მოხდა და ამიტომ სისწრაფის რეკორდი დღემდე ითვლება 457 კილომეტრი, რომელსაც მიაღწია იტალიელმა მფრინავმა მაიორმა დე-ბერნარდიმ.

შეერთებული შტატები შეჯიბრებაზე გზავნის „კერტისის“ ტიპის სასპორტო აეროპლანებს პაკკარდის 1200 ცხ. ძალიან მოტორით.

საფრ. სამხედრო სამინისტრომ შეჯიბრებისათვის დაუკვეთა „ნიუ-იორკისა“ და „ბერნარის“ ტიპის 6 გიდროპლანი „ისპანო-სიუზისა“ და „გნომ-რონის“ 1200 ცხ. ძალიან მოტორებით.

იტალიიდან შეჯიბრებაში მონაწილეობას იღებს „ფიატის“, „მაკკი“-სა და „სავოიას“ ტიპის ოთხი გიდროპლანი „იზოტა-ფრასკინის“ და „ფიატის“ სისტემის 1.200 ცხ. ძალიან მოტორებით.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

დღეს თბილისის შრომის ბირჟა სამუშაოზე გასაგზავნად იწვევს შემდეგ უმუშევრებს:

შავ მუშათა სექციიდან. მარქაროვი, კატაევი გრიგორი, სარუხანიანი ანუშევანი, კევლიაშვილი ნიკოლოზი, ასლანიანცი მიკირტიჩი, ლუმბაძე, მღებროვი გიორგი, პარუნბეგოვი, ყვარულავა ივანე, ბათუმაშვილი დავით, ბიბულოვი გრიგორი, აკოფოვი, ნაზაროვი გრიგორი, წულაძე ელენა, გეორგოვი დავით, მელკონინი, გოგიჩეიშვილი, ისრატოვი სერგო, ნაზაროვი ივანე, ასატუროვი ხაჩატურ, პეტროვა მარიამი, გელაშვილი სარდიონი, აბელიანცი ასილავა შალვა, [illegible] შვილი ნინია, კვირიკაშვილი რომანოზი.

მოზარდთა სექციიდან— [illegible] ჩაჩანაძე, ნაცვლიშვილი მიხეილი, [illegible] შვილი რუბენი, საკურენკო ვერა, პუშკარევი პროკოფი, კაშინინი ვასილი.

კვალიფიციურ მუშათა სექციიდან—აკოფოვი, ბეგთაბეგოვი კონსტანტინე, დავიდოვი რუბენი, გოგოშვილი შალვა, გარბენოვი ნიკოლოზი, მიქაელიანცი სურენ, კობერიძე ოქროპირი, შათირაშვილი კონსტანტინე, ეგიაზაროვი ალექსანდრე.

ოფიციალური განყოფილება

დადგენილება

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

„სანაპირო ადგილების აღმასრულებელი კომიტეტებისათვის კონტრაბანდისტების ადმინისტრატიულ წესით განდევნის უფლების მინიჭების თაობაზე“—გამოცემული დადგენილების გაუქმების შესახებ

სსრკ-ის საბაჟო კოდექსის დამტკიცების შესახებ გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. დეკემბრის 19-ს დადგენილების (სსრკ კან. კრ. 1927 წ. პირველი №-რი, მუხ. 1) მეშვიდე მუხ. თანახმად სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1928 წ. სექტემბრის 19-ს თარიღითა და 78 ნომრით გამოცემული დადგენილება „სანაპირო ადგილების აღმასრულებელი კომიტეტებისათვის კონტრაბანდისტების ადმინისტრატიული წესით განდევნის უფლების მინიჭების შესახებ (კან. კრ. 1928 წ. № 15, მუხ. 145) გაუქმებულ იქნეს.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე
მ. ცხაკაია.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე
მგალობლიშვილი.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი
ს. თოდრია.

1929 წ. ივლისის 11.
თბილისი-სასახლე.

დადგენილება

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

სისხლის სამ. კოდ. დანართის—სამხედრო დანაშაულთა დებულების—1 მუხლის მეორე ნაწილის რედაქციის შეცვლის შესახებ

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-2 მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-ის დადგენილების მეორე მუხლის წესისამებრ (კან. კრებ. 1924 წ. № 1, მუხ. 7) და თანახმად სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. იანვრის 30-ის დადგენილებისა „სამხედრო ტრიბუნალისა და სამხედრო პროკურატურის დებულების შეცვლისა და შევსების შესახებ“). (სსრკ კან. კრებ. 1929 წ. № 13, მუხ. 106), სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

სამხედრო დანაშაულთა დებულების (სისხ. სამ. კოდ. დანართი) 1 მუხლის მეორე ნაწილი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

1 მუხ. მეორე ნაწილი. „სამხედრო დანაშაულად ჩაითვლება აგრეთვე სამხედრო სამსახურის შესრულების წესის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, რასაც ჩაიდენს გზათა სახალხო კომისარიატის გზების დამცველ გამხედროებული რაზმისა და განსაკუთრებული სახელმწიფო მნიშვნელობის მქონე საწარმოთა და ნაგებობათა დამცველი გამხედროებული რაზმის შედგენილობის პირი“.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე
მ. ცხაკაია.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე
მგალობლიშვილი.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი
ს. თოდრია.

1929 წ. ივლისის 11.
თბილისი-სასახლე.

იურიდიული დახმარება

კავშირის წევრს (წიგ. № 718)

კ ი თ ხ ვ ა:

ვმსახურობ კომუნალურ მეურნეობაში. ვიღებ ჯამაგირს 75 მან. თვეში. სოფლად მაქვს 3—4 ქცევა სახნავი მიწა, ეზო $1\frac{1}{2}$ ქცევა, ორივე მიწაზე მომდის 20 ფუთამდე ჭირნახული და 10 ფ. ღვინო, თუ კარგი მოსავლიანი წელიწადი იქნა. მყავს ერთი ძროხა. გთხოვთ გვიპასუხოთ რამდენი მომიწევს სასოფლო-სამეურნეო გადასახადი და კანონიერია თუ არა თვიური ხელფასი მიწერილი იქნეს სოფლის შემოსავალზე, რამდენ მანძილზე უნდა ვიყო დაშორებული სოფლიდან, რომ ჩემი ხელფასი იქნეს ნაანგარიშევი სასოფლო-სამეურნეო შემოსავალთან ერთად გადასახადის გამოსაანგარიშებლად.

პ ა ს უ ხ ი:

ხელფასი იანგარიშება სასოფლო-სამეურნეო შემოსავალთან ერთად სასოფლო-სამეურნეო გადასახადის განსაზღვრისათვის, იმ შემთხვევაში, თუ მეურნე მსახურობს იმ ადგილას, სადაც მას მიწა აქვს. რაც შეეხება იმას, თუ რამდენი მოგიწევთ გადასახადი, ამაზე პასუხის მიცემა შეიძლებოდა მაშინ, თუ თქვენს შეკითხვაში აღნიშნული იქნებოდა, რომელ მაზრაში გაქვთ მამული, შემოსავლის წყარო (მიწა, ნათესი, საქონელი და სხვ.) ყველგან ერთნაირად არ იანგარიშება.

პარტიული კალენდარი

მუშათა ფართე კონფერენცია

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის „26“ კომუნართა სახელობის რაიკომი იუწყება, რომ ოთხშაბათს, 21 აგვისტოს საღამოს სრულ 6 საათზე, სარეწაო კოოპერაციის კლუბში (პლეხანოვის პრ. № 6), შესდგება მუშათა ფართე კონფერენცია. დღის წესრიგი: 1) საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა (ამხ. მამია ორახელაშვილის [illegible]); 2) სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის შესახებ. (მომხსენებელი ამხ. ავაქოვი).

—:—

სრ. საქ. ახ. ლენ. კომკავშ. მე-3 კონფერენცია

დღეს, 20 აგვისტოს, საღამოს 6 საათზე, სასახლეში გაიხსნება სრ. საქართველოს ახ. ლენ. კომკავშირის მე-3 კონფერენცია. კონფერენციის დღის წესრიგში დასმულია შემდეგი საკითხები: 1) ამხ. მამია ორახელაშვილის პოლიტიკური მოხსენება; 2) ცეკას ანგარიში (მომხსენებელი ამხ. ჯავახიძე), 3) საქართველოს ბავშვთა კომუნისტური ორგანიზაციის მდგომარეობა და მიმდინარე ამოცანები (მომხსენებელი ამხ. მაზათაძე, 4) სოფლად მუშაობის შესახებ (მომხსენებელი ამხ. ნესტეროვი), 5) ინფორმაცია კომუნისტური ახალგაზრდობის ინტერნაციონალის შესახებ.

—·—

საქართველოს კომპარტიის ცეკას საორგანიზაციო განყოფილებაში, 24 აგვისტოს უნდა გამოცხადდეს სახ. პოლიტ. ინსტიტუტის სტუდენტი მიხეილ კუხალეიშვილი.

ს.კ.პ. (ბ) ქუთაისის სამაზრო კომიტეტი და სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტი აუწყებენ ძველი გამობრძმედილი ბოლშევიკის, საუკეთესო მუშაკის
თადეოზ ექვთიმეს-ძე გუგელაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდა სოფ. პატრიკეთში 17 აგვისტოს. 3115

სოფიო ათანასეს ასულ ჯავახიშვილის
ხსოვნის აღსანიშნავად გადახდილ იქნება დღეს, საღამოს 6 ნახ. საათზე, კუკიის სასაფლაოზე, სამოქალაქო პანაშვიდი, რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის შვილები: ივანე ცოლშვილით და გიორგი ჯავახიშვილები, ეკატირინე კრივეცკისა და ალექსანდრა რჩეულიშვილისა ქმარშვილით. 2926

სახკინმრეწველობის კინოები
საზაფხულო აპოლო (დარბაზის ბაღში) — ახალი საზღვარგარეთული ფილმი **ცეცხლის კაცი**
საზაფხულო ეთერი — უკანასკნელი დღე მონტი ბენქსი კომედიაში **მფრინავი ბედნიერება**
საზაფხულო პალასი — ფრანგული კინო-რომანი **ვინდიქტა** უკანასკნელი 3 და 4 სერია
მალე: „კაცის ფასი“. 0—14

თბ. ქ. ლომბარდის სააუქციონო კამერა
აცხადებს, რომ ა. წ. 27 აგვისტოს, სამშაბათს, 12 საათზე ლომბარდის შენობაში (კეცხოველის ქ. № 8)
დ ა ნ ი შ ნ უ ლ ი ა
საჯარო ვაჭრობა
ფინსახკომისადმი დავალიანების ასანაზღაურებლად შემოძლეულ ფასიდან გაიყიდება როზალია ტერ-რაფაელოვის კუთვნილი 1/3 ნაწილი სახლისა, მდებარე (კალინინის ქ. № 31). საჯარო ვაჭრობის დროს დაცული იქნება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 311 და 312 მუხლები. ნ. 3117

საქართველოს სარეწაო კოოპერაციის კავშირის გამგეობა ამით აცხადებს
ქვემოთ აღნიშნულ სარეწაო კოოპერატიული არტელების:
„ახალი აგური“, „მუშის ხერხი“, „26 კომუნარი“ (კასრების მკეთებელი), „ფერმერი“, „მეწისქვილე“, „კულტურა“, „იონჯა“, „ერთობა“, „აგურხანა“, „რავენსტვო“, „ჟოკეი“, „ტრანშენი“, „ტრუჟენიკ“ საყურადღებოთ, რომ თუ აღნიშნულ ორგანიზაციები ორი კვირის განმავლობაში არ გატარდებიან რეგისტრაციაში სარეწაო კოოპერაციის კავშირის საორგანიზაციო განყოფილებაში მიღებული იქნება ზომები, რათა აღნიშნული არტელები გამოცხადებული იქნან არა კოოპერატიულ ორგანიზაციებათ.
2927 „სარეწკოოპკავშირი“-ს **გამგეობა.**

დაიკარგა სოფელ ბარში (რაჭ. მ.) ცხენი ა. წ. 29 ივლისს შემდეგი ნიშნებისა: ტანად მაღალი, თაგვის ფერი, საჯდომზე ორივე მხარეზე თეთრი, ფაფარი ორივე მხარეს გადახრილი, ულაყი, კუდი საშუალოთ გრძელი. რეგისტრაციაში გატარებული სოფ. სორში, **მალაქია კერვალიშვილის** სახელზე. 2931

ქ. თბ. 1-ლი რაიონ. სასამართლოს აღმასრულებელი
ბაგინოვი სერგო
ამით აცხადებს, რომ ის 22 აგვისტოს 1929 წ. დღის 2 საათზე სახლში № 26 ბელინსკის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მოქ. გელოვანის უძრავ ქონებას: ორ სართულიან, თუნუქით დახურულ, ცხრა ოთახისა და ორი სამზარეულოსაგან შემდგარ სახლს შეფასებულს 30.0 0 მანეთად, სახალხო მამულთა ტრესტის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქალ. თბ. მაზრა-ქალაქის სახალხო სასამართლოსაგან 9 აპრილი 1928 წ. თარიღით, № 1379 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ვაჭრობა იწარმოებს ს.ს. კოდექსის 311 და 312 მუხლების დაცვით. 2933

კბილის ექიმი
დ. ს. რიჟინაშვილი
კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები, კბილების **უმტკივნეულოდ** ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა, ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე. ტელ. 10—14 412 25—1

ე ქ ი მ ი
ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს. ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოეს“) პირდაპირ ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8. ნ. 10. 25—1

ე ქ ი მ ი
ი. პ. მჭედლიშვილი
წ ა ს უ ლ ი ა. განაახლებს ავადმყოფების მიღებას 1 სექტემბერს.
253325—15

ქ. ქობულეთში
ბავშვების ექიმი
ალ. მაღალაშვილი
იღებს ავადმყოფებს დილით 9—12 საათამდე. მესხეთის ქ. № 14. 2838 25 | 1

ე ქ ი მ ი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება
პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12. საღ. 7—8 საათამდე ტელეფ.—12—67. 25—1

გ. მ. ფხალაძე
სიფილისი, სუსუნატი (მისი გართულებანი) და კანის სნეულებანი.
მიღება: დილის 7—7 ნახ. საათ. საღამ. 6—7 საათ. ქალები, 7—9 საათ. კაცები
მარტის ქ. (ყ. ბოგოსლოვის) № 6, (გადასახვევი ოლღას ქუჩიდან აფთიაქთან). 25—1

ე ქ ი მ ი
ი. ი. ქეიშვილი
სიფილისი („914“ შეშხაპ.) **ვენერიული** (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი) და **კანის** სნეულება.
მიღება: დილ. 7—9 საათ. ნაშუადღ. 4—5 საათ. საღ. 8—9 საათ.
მისამართი კამოს ქ. № 72 (ყოფილი დიდი-მთავრის ქუჩა), ქალ. მეორე საავადმყოფოს პირდაპირ. 2578 25—1

ე ქ ი მ ი
მ. გ. შახნაზაროვი
სპეციალურად
სიფილისი, „914“ შეშხაპუნება, ტრიპერი მწვავე და ქრონიკული და სხვა ვენერიული სნეულებანი
ავადმყოფების მიღება ნაშუადღევის 4-დან 8 საათამდე. ქალებია 4—5 საათამდე. ვასერის ქ. (ყოფ. კრასნოგორის) № 33 (ყოფ. თუმანოვის ქუჩის კუთხე). 25—1

დაიკარგა: სამხედრო კომისარიატიდან გაცემული სააღრიცხვო ბარათი № 253 ნიკოლოზ გიორგის-ძე თოიძეს სახელზე, ჩ. გ. 2924

დაიკარგა: სამხედრო სააღრიცხვო წიგნაკი მოცემული ქ. თბილისის ყოფ. მე-3 უბნის სამხედრო მაგიდის მიერ რომან სამსონის-ძე დუნდუას სახელზე. ჩ. გ. 2928

დაიკარგა პურის წიგნაკის 4 სულის ჩაბარების ქვითარი, კავშირის წიგნაკი, ცაკთან არსებულ ყოფ. მეშ. კეთილ საიმედო მოწმობა, ოზურგეთის მაზრიდან გაცემული კეთილ საიმედო მოწმობა მასთან სასწავლებლის დამთავრების მოწმობა № 56 ნოე ფილიპეს-ძე ჯიბლაძის სახელზე, ჩ. გ. 2925

დაიკარგა: სამხედრო ბეგარასთან დამოკიდებულების პირადი წიგნაკი ევდოკიმე ერმალოზის-ძე ენუქიძის სახელზე. ჩ. გ. 2932

დაიკარგა: მეტრიკული ამონაწერი გაცემული ქუთაისის მმაჩის მიერ მამიას (იგივე ივანე) არტემის-ძე აბაშიძის სახელზე, ჩ. გ. ნ. 3115

დაიკარგა: პირადობის მოწმობა № 4019, კავშირის საწევრო წიგნაკი № 16460, სასურსათო წიგნაკი № 902702, ქარტა ბილეთის № 37186 გიორგი ესტატეს-ძე მაისურაძის სახელზე, ჩ. გ. 2934

ტირაჟი—43.612
პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, ცამოს ქუჩა № 68.
მთავლიტი № 904.